

საზოგადოებრივი

ექსპრესი

#1 2020



ეთნო-აგები
ისტორია

ადამიანის და საოქალაქო
უფლებების გარანტიები

კანონმდებლობა

სარედაქციო საბჭოს ხელმძღვანელი
რაჟდენ კუპრაშვილი

რედაქტორი
ბიძინა მაყაშვილი

რედაქტორის მოადგილე
ნინო ჩუბაყაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ბობა დავითიანი

ნომერზე მუშაობდნენ:
ნინო მელაძე
სულხან გველესიანი
ზაზა ჭლარკავა
ლელა ბერიშვილი
მარიამ ბარიძე
ოთარ ყელაურიძე



იურიდიული
დახმარების
სამსახური

თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 140 ა
ტელ: 032 293 20 90 / 032 398 84 93
www.legalaid.ge

სარჩევი

- 3 რედაქციის სვეტი
- 4 მიმოხილვა
- 11 გზა მომავლისკენ
- 14 იურიდიული დახმარების
სათავეებთან
- 20 ასე დაიწყო და...
- 24 დამოუკიდებლობიდან
სამართლებრივი
სახელმწიფოსკენ
- 30 უფლებათა დაცვის
ევროპული კონვენცია
- 36 სასამართლო ახალ რეალობაში
- 42 დისტანციური
სამართალდარსება
- 50 მდინარე
- 54 ბავშვთა უფლებები
- 58 ნაფიხ მსაჯულთა სასამართლო
- 64 რამ განარისხა მამაკაცები?
- 68 შარდნი ქართულ სამართალზე
- 70 ფოტოგრაფირება
- 72 წერილი & სინარული
- 73 იუმორი
- 74 დაგვიკავშირდით!

რედაქციის სვეტი

თქვენს წინაშეა ჟურნალ „საზოგადოებრივი ადვოკატი“ პირველი ნომერი, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის პირველი ბიუროების შექმნიდან 15 წლის წლის შემდეგ დაარსდა. გაჩნდა კიდევ ერთი, ახალი ბეჭდური სივრცე სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისთვის.

არისტოტელე ამბობდა: „ერთადერთი სტაბილური მდგომარეობა არის ის, რომელშიც ყველა ადამიანი თანასწორი კანონის წინაშე“. აღნიშნულის მიღწევა საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების გარეშე შეუძლებელია.


კანონის უზენაესობა არსებობს მხოლოდ მაშინ, თუ კანონი მოქმედებს ყველასათვის. კანონის ცოდნა, სამართლებრივი ცნობიერება, მათ შორის, კანონის აღსრულების მექანიზმების ცოდნა არ არის ცალკეული ინდივიდის პრივილეგია, არამედ ეს არის ყველა ადამიანის უფლება. შესაბამისად, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს და განსაკუთრებით, იურიდიული დახმარების სამსახურს აქვს ვალდებულება, იზრუნოს საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებაზე.

იურიდიული დახმარების სამსახურის ჟურნალის – „საზოგადოებრივი ადვოკატი“, მიზანია, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას და განსაკუთრებით იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირებს, მიაწოდოს ინფორმაცია იმ უფლებებსა და თავისუფლებებზე, რომლებიც აღჭურავს მათ ცოდნითა და უნარებით, რომ უზრუნველყონ თავიანთი უფლებების ეფექტური რეალიზაცია.

ჟურნალი, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებსა და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს მიაწოდებს პრაქტიკულ და თეორიულ ინფორმაციას საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხების შესახებ.

იმედი გვაქვს, მდიდარი და მრავალფეროვანი ისტორიის მქონე ქართულ ბეჭდურ მედიაში ჟურნალი „საზოგადოებრივი ადვოკატი“ თავის გამორჩეულ ადგილს დაიმკვიდრებს და იქნება საინტერესოდ წასაკითხი როგორც იურისტებისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის.

რაჟდენ კუპრაშვილი
იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი



ჟურნალ „საზოგადოებრივი ადვოკატი“ მიერ 2021 წლის ბოლოს გამოვლინდება „წლის საზოგადოებრივი ადვოკატი/ები“ დამატებით ინფორმაციას აღნიშნულ ნომინაციასთან დაკავშირებით ჟურნალის მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ.





რამაზ ჩინქალაძე
იურიდიული დახმარების
საბჭოს თავმჯდომარე,
ადვოკატთა ასოციაცია



ზაზა ხარაბავა
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
წარმომადგენელი



თეა ჭიჭვილი
იურიდიული დახმარების საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე,
ადვოკატთა ასოციაციის
წარმომადგენელი



ბება ძამაშვილი
იუსტიციის სამინისტროს
წარმომადგენელი



ირაკლი გვარამაძე
სახალხო დამცველის
წარმომადგენელი



ემმა ნორაკიძე
იურიდიული დახმარების
ბიუროების წარმომადგენელი



თამარ გვარამაძე,
სახალხო დამცველის
წარმომადგენელი



ვაჟლა აბაშიაძე,
ადვოკატთა ასოციაციის
წარმომადგენელი



სოფიო ჩაჩავა,
სახალხო დამცველის
წარმომადგენელი

იურიდიული დახმარების საბჭო

იურიდიული დახმარების საბჭო ულოცავს იურიდიული დახმარების სამსახურს 15 წლის იუბილეს. მართლმსაჯულების სისტემაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ჯერ კიდევ 2005 წელს უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის საპილოტე პროექტის – გესტაფონისა და გლდანი-ნაძალადევის იურიდიული დახმარების ბიუროების შექმნამ, რომლის საფუძველზეც 2007 წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდა იურიდიული დახმარების სამსახური და ჩამოყალიბდა სამსახურის საზედამხედველო კოლეგიური ორგანო – იურიდიული დახმარების საბჭო.

სამსახურს უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოში მართლმსაჯულების სწორად და ეფექტიანად განხორციელების პროცესში. გამართული იურიდიული დახმარების სისტემა სახელმწიფოს სწორად განვითარების საფუძველია, რაშიც სამსახურს წამყვანი ადგილი უჭირავს.

იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლები, თავდაუზოგავი შრომის შედეგად უზრუნველყოფენ ჩვენი მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენისათვის და სხვა მონყვლადი ჯგუფებისათვის დროული და ხარისხიანი იურიდიული მომსახურების მიწოდებას. მათი ჩართულობით საქართველოში უზრუნველყოფილია ადამიანთა უფლებების ეფექტური დაცვა. იურიდიული მომსახურების განვითარება შეუფერხებლად მიმდინარეობს გლობალური პანდემიის პირობებშიც კი, აღნიშნულ სირთულეებს სამსახურმა წარმატებით გაართვა თავი, რაც, რა თქმა უნდა, აღსანიშნავი და დასაფასებელია.

იურიდიული დახმარების საბჭო ულოცავს ყველა თანამშრომელს სამსახურის იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას და წარმატებას როგორც პირად, ასევე სამსახურებრივ საქმიანობაში.



დავით ასათიანი

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და პირადად ჩემი სახელით, გულითადად ვულოცავ თითოეულ საზოგადოებრივ ადვოკატს, სამსახურის დირექტორსა და საბჭოს წევრებს იურიდიული დახმარების სამსახურის შექმნის იუბილესა და ჟურნალ „საზოგადოებრივი ადვოკატის“ დაარსებას.

ადვოკატებს, კლიენტის ერთგულებასთან ერთად, განსაკუთრებული როლი გააქვს ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. ამ მხრივ, საზოგადოებრივ ადვოკატთა საქმიანობა ორმაგად საპასუხისმგებლოა, რადგანად საქმე ეხება ჩვენი საზოგადოების სოციალურად დაუცველი წევრების ინტერესების დაცვას, რაც კანონის წინაშე თანასწორობასა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

თითოეული ჩვენგანი ადვოკატთა ერთიანი კორპორაციის, პროფესიული ერთობის ნაწილი ვართ და კვლავაც ერთად ვიბრძოლებთ, რათა ადვოკატი იყოს დამოუკიდებელი და თავისუფალი, არ მოხდეს მის საქმიანობაში რაიმე სახით ჩარევა, მუდმივად ამაღლდეს ჩვენი კომპეტენცია და პროფესიული ეთიკა.

ძალზედ ვაფასებ თქვენს ყოველდღიურ შრომას, ბრძოლასა და შემართებას, განსაკუთრებით პანდემიით გამოწვეული სირთულეების დროს. ვამაყობ თქვენი წარმატებითა და იმ ძალისხმევით, რითაც ჩვენს მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ ესოდენ საჭირო სამართლებრი-

ვი მხარდაჭერა და თავი იგრძნონ დაცულად.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და მრავალ პროფესიულ წარმატებას იმ საპასუხისმგებლო და საპატიო საქმიანობაში, რასაც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ჰქვია.

ერთად გავაძლიეროთ ჩვენი პროფესია!

ნინო ქადაგიძე

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე



სასიხარულოა, რომ იურიდიულ პერიოდიკას ჟურნალის, „საზოგადოებრივი ადვოკატის“ სახით შეემატა ახალი გამოცემა. მისასალმებელია თავად იდეა, რომელიც მიმართულია იურიდიული დახმარების სამსახურის ბენეფიციარების მხარდასაჭერად, იმისათვის, რომ მათ უკეთ და უფრო ეფექტურად შეძლონ სამართლებრივი სერვისებით სარგებლობა.

დღევანდელ პირობებში, როდესაც სამართლის განვითარების თვალსაზრისით ქვეყანა ცდილობს დასავლური ღირებულებებითი სტანდარტების დანერგვას, მეტად მნიშვნელოვანია იურიდიულად გაცნობიერებული საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელსაც ექნება ნათელი წარმოდგენა საკუთარი უფლებების, არსებული სამართლებრივი შეზღუდვების, სამართლებრივი ნორმების და მათი პრაქტიკაში გამოყენების ტენდენციების შესახებ. სათანადოდ ინფორმირებული მოქალაქე სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების საფუძველს ქმნის, რაც თავის მხრივ, განსაკუთრებულ როლს ასრულებს

თანამედროვე სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებაში. სამართლებრივად გაცნობიერებული საზოგადოება დიდწილად ხელს უწყობს ქვეყანაში მართლმსაჯულების ანგარიშვალდებულებისა და ხარისხის გაუმჯობესებას.

ვფიქრობ, რომ ჟურნალი თავის წვლილს შეიტანს სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებაში და მოკლე დროში მოიპოვებს საკუთარ ერთგულ მკითხველს, როგორც იურიდიული დახმარების სამსახურის ბენეფიციარების, აგრეთვე, იურიდიული საზოგადოების წარმომადგენლების სახით.

ვიმედოვნებ, რომ ჟურნალის „საზოგადოებრივი ადვოკატის“ მეშვეობით ბევრი ადამიანი მიიღებს სრულყოფილ პასუხს მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხზე. ამდენად, მაქვს მოლოდინი, რომ ჟურნალს ექნება საზოგადოებისთვის საინფორმაციო გზამკვლევის როლი, რითაც ხელს შეუწყობს სამართალწარმოების პროცესში უფლებების შესახებ სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას.

ვისურვებდი, რომ ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა ნაყოფიერი და პრაქტიკული ყოფილიყოს იურიდიული დახმარების სამსახურის ბენეფიციარებისთვის საკუთარი უფლებების ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალიზებისთვის.

ჟურნალს ვუსურვებ, წარმატებით დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი სხვა იურიდიულ გამოცემათა შორის. ჩემის მხრივ, კი სიამოვნებით მივადევნებ თვალს ყველა იმ სიახლეს, რასაც ეს ჟურნალი შემოგვთავაზებს.

მერაბ ტურავა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სახელით, მსურს, გულითადად მივულოცო იურიდიული დახმარების სამსახურს 15 წლის იუბილე.



იურიდიული დახმარების სამსახურს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია ქვეყანაში სამართლიანი და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. იურიდიული დახმარების მიღების მეშვეობით მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ პირებს და ასევე სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებს აქვთ შესაძლებლობა, დაიცვან საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით გარანტირებული უფლებები. შესაბამისად, მათი კვალიფიციური იურიდიული მომსახურებით უზრუნველყოფა წარმოადგენს კანონის უზენაესობის დაცვის, თანასწორი და სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების აუცილებელ წინაპირობას.

იურიდიული დახმარების სამსახური თავისი საქმიანობის მანძილზე მიღებული გამოცდილებით მნიშვნელოვნად განვითარდა. გაუმჯობესდა და არსებითად დაიხვეწა განუვლი იურიდიული კონსულტაციის ხარისხი, რამაც განაპირობა მისდამი ფართო ცნობადობისა და ნდობის ჩამოყალიბება.

ჟურნალი "საზოგადოებრივი ადვოკატი" იურიდიული დახმარების სამსახურის ახალი პროექტია, რომელიც მკითხველისთვის საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდების გზით, კიდევ უფრო ამაღლებს საზოგადოების სამართლებრივ ცნობიერებას.

ვულოცავ იურიდიული დახმარების სამსახურს აღნიშნული წამოწყების განხორციელებას და ვუსურვებ წარმატებებს თავის საქმიანობაში.

ირაკლი შოთაძე

საქართველო გენერალური პროკურორი



საქართველოს პროკურატურის სახელით, მსურს იურიდიული დახმარების სამსახურს მივულოცო ძალიან საინტერესო და საჭირო პროექტის, ჟურნალ "საზოგადოებრივი ადვოკატი"-ს წამოწყება, რომელიც, დარწმუნებული ვარ, პოპულარობას მოიპოვებს, როგორც იურიდიულ სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს, ასევე ზოგადად მოქალაქეებს შორის. ჟურნალ „საზოგადოებრივი ადვოკატი“ იდეა ნამდვილად დროულ ინიციატივას წარმოადგენს, ვინაიდან ხსენებული პროექტის მთავარი მიზანი უფასო იურიდიული დახმარების უფლებით მოსარგებლე პირთათვის მათი უფლებების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება და საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებაა. ამ უკანასკნელი მიზნის მიღწევა დღეს უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს, არამარტო იურიდიული დახმარების სამსახურისთვის, არამედ მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ყველა მხარისთვის და იმის გათალისწინებით, რომ ძალიან დიდი სამუშაო არის გასაწევი ამ მიმართულებით, პროექტს განსაკუთრებულად მივესალმები.

მჯერა, რომ აღნიშნული ჟურნალის არსებობა პოზიტიურ გავლენას იქონიებს იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით და ბენეფიციარებს მისცემს სრულყოფილ წარმოდგენას მათი უფლებების რეალიზების გზების შესახებ, ასევე შესაძლებლობას, მარტივად მიიღონ სამართლებრივი რჩევები მათთვის საინტერესო იურიდიულ საკითხებზე.

ვად მიიღონ სამართლებრივი რჩევები მათთვის საინტერესო იურიდიულ საკითხებზე.

მისასალმებელია, რომ ჟურნალი ასევე საინტერესო იქნება იურიდიული საზოგადოების ყველა წარმომადგენლისთვის, ვინაიდან მასში განთავსდება ინფორმაცია ადამიანის უფლებათა დაცვის და ზოგადად სამართლებრივ სფეროში წამოჭრილ სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე.

დარწმუნებული ვარ, რომ ჟურნალ „საზოგადოებრივი ადვოკატი“ არსებობა გაზრდის სამსახურის ფუნქციების, როლისა და მიზნების შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, აამაღლებს საზოგადოებაში სამართლებრივ ცნობიერებას ზოგადად და კონკრეტულად იურიდიული დახმარების სამსახურის მიმართ, რომლის როლი ჩვენს ქვეყანაში კანონის უზენაესობის განმტკიცების გზაზე ძალიან მნიშვნელოვანია.

ანრი ოხანაშვილი

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე



იურიდიული დახმარების სამსახურს ვულოცავ ჟურნალის „საზოგადოებრივი ადვოკატი“ შექმნასა და მისი პირველი ნომრის გამოცემას. ჟურნალი, რომელშიც განთავსდება მთელი რიგი სამართლებრივი სტატიები და სასარგებლო ინფორმაცია, ნამდვილად საგრძნობლად შე-

უწყობს ხელს არა მხოლოდ იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურების ბენეფიციართა ინფორმირებას, არამედ სამართლის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიულ საქმიანობასაც.

სასიხარულოა, რომ ჟურნალი ორიენტირებულია, ერთი მხრივ, იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურებით მოსარგებლეებისთვის მათი უფლებების, სამართლებრივი გარანტიებისა და უფლებათა დაცვის კანონით გათვალისწინებული მექანიზმების შესახებ საჭირო ინფორმაციის გაცნობაზე და, მეორე მხრივ, სამართლის სფეროში მოღვაწე ადამიანების ცოდნის გაღრმავებასა და მათთვის სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე ძველი და ახალი ხედვების, მათ შორის, განსხვავებული მიდგომების შემცველი სტატიების მიწოდებაზე.

იურიდიული დახმარების სამსახური კანონის ფარგლებში აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან. სამსახურის როლი მნიშვნელოვანია ადამიანებისთვის იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების გაწევის ხელმისაწვდომობის, მათი კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმების რეალიზების საქმეში. ეს ჟურნალი კი ამ საქმის შესრულებისკენ წინ გადადგმული კიდევ ერთი კარგი ნაბიჯია.

ვულოცავ იურიდიული დახმარების სამსახურს ამ ჟურნალის გამოცემას, თხუთმეტი წლის იუბილეს და თავის საქმიანობაში წარმატებებს ვუსურვებ.

ნინო ლომჯარია

საქართველოს სახალხო დამცველი



15 წლის განმავლობაში იურიდიული დახმარების სამსახურმა შეძლო თავისი მნიშვნელოვანი სიტყვა ეთქვა სამართლებრივი კულტურის დამკვიდრების საქმეში. თქვენ იცავთ იმ ადამიანებს, რომელთაც ყველაზე მეტად სჭირდებათ დახმარება, გვერდში დგომა და იმის ჩვენება, რომ მართო არ არიან.

გილოცავთ ამ ახალ წამოწყებას, გისურვებთ ბევრ მკითხველს; იმედს გამოვთქვამ, თქვენი დაუღალავი შრომა თავის შედეგს გამოიღებს და საქართველო გახდება კანონის უზენაესობის პრინციპებზე დაფუძნებული სამაგალითო სამართლებრივი სახელმწიფო, რაც შესაბამისი ინსტიტუტების შრომაზეა დიდწილად დამოკიდებული.

წარმატებას გისურვებთ თქვენს საქმიანობაში და წარმატებას ვუსურვებ თქვენს ჟურნალს „საზოგადოებრივი ადვოკატი“!




თამარ ზარანდია,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი



სამართალი, როგორც სისტემა, ადამიანის მიერაა შექმნილი და სოციალური თანაცხოვრების მართვას და მოწესრიგებას ემსახურება. ღირებულებათა იერარქიის შუაგულში დგას ადამიანი და მართლწესრიგი მისთვის საშუალებაა და არა მიზანი. ამასთან, სამართლებრივი კონსტრუქციები, მთელი თავისი შემოქმედებითობითა და მოსახერხებელი წვრილმანებით ხშირად გაუგებარია ადამიანებისათვის. საზოგადოების ნაწილისათვის სამართალი არის „სხვა სამყარო“ და იმისათვის, რომ არ მოხდეს ადამიანის გაუცხოება სამართლისაგან, მნიშვნელოვანია, რომ სამართლებრივი ინსტიტუტები გასაგები იყოს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთათვის და მათ სწორად ესმოდეოთ მისი მნიშვნელობა.

სამართალი საკანონმდებლო პროცესის პროდუქტია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია სამართლებრივი განათლების როლი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სწორედ იურიდიული განათლების მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება და სტუდენტებს აძლევს ფუნდამენტურ იურიდიულ განათლებასა და საკუთარი პროფესიის კარგ ცოდნას, რათა მათ შეძლონ პირადი პასუხისმგებ-



ლობის გრძნობით სამართლის უზენაესობის დაცვა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში ღირებული წვლილის შეტანა. მიხარია, რომ ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ იურიდიული დახმარების სამსახურთან, რომელიც, უკვე 15 წელია, ჩვენი საზოგადოების ყველაზე მოწვევად ჯგუფებს უფასო იურიდიულ დახმარებას სთავაზობს და ადამიანებს ეხმარება სამართლებრივი საკითხების გაგებასა და დავების გადაწყვეტაში. ეს უმნიშვნელოვანესი საქმეა. სამართალი კულტურის პროდუქტია და არსებობს მხოლოდ კულტურულ საზოგადოებაში, სადაც ადამიანებს ესმით სამართლის ღირებულება.

ძალიან მახარებს იურიდიული დახმარების სამსახურის ინიციატივა ჟურნალ „საზოგადოებრივი ადვოკატი“ დაფუძნების შესახებ. ეს არ არის მხოლოდ ვიწრო პროფესიული დისკუსიის პლატფორმა, არამედ ემსახურება ფართო საზოგადოებას, იურიდიული დახმარების სამსახურის იმ როლიდან გამომდინარე, რასაც მთელი საქართველოს მასშტაბით სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებისა და სამართლებრივი კულტურის მხარდასაჭერად ასრულებს.

ჟურნალის გამოცემის ინიცირება რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. ვისურვებდი, რომ ჟურნალმა შეძლოს საკუთარი საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულება და იმ მკითხველისათვის, ვინც ჟურნალში განხილულ საკითხებზე დაფიქრდება, მოეტანოს თანამედროვე, სამართლებრივი, პროგრესული და ინდივიდუალური აზროვნება, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების აუცილებელი წინაპირობაა.



გზა მომავლისაკენ

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი **ირაკლი კიკაბიძე** ჟურნალის მკითხველს უზიარებს საკუთარ ხედვას სამსახურის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით:

– ბატონო ირაკლი, თქვენ მრავალწლიანი წარმატებული საადვოკატო პრაქტიკა გაქვთ. ორი წლის წინ კი დაიკავეთ სსიპ იურიდიულ დახმარების სამსახურის დირექტორის თანამდებობა. როგორია თქვენი ხედვა სამსახურის მომავალზე, როგორც ადამიანის უფლებადამცველ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციაზე?

– მოგეხსენებათ, რომ კანონის უზენაესობა არსებობს მხოლოდ მაშინ, თუ ის მოქმედებს ყველასათვის. იურიდიული დახმარების სამსახურის გზა მომავლისაკენ სწორედ ამ იდეის ეფექტურ რეალიზაციას ემსახურება.

საქართველო იმყოფება ევროატლანტიკური ინტეგრაციის ბლურბლზე და მისი წარმატებით გადალახვა მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე გამოწვევებთან შესაჭიდებლად დემოკ-

რატიული ქვეყნების მიდგომებზე აქცენტების გაკეთებითა და მათი იმპლემენტაციით არის შესაძლებელი.

საქართველოში, უფასო იურიდიული დახმარების არსებობის 15 წლის განმავლობაში, სამსახურმა არაერთი ცვლილება და რეფორმა განიცადა, თუმცა 2019 წლიდან სამსახურმა დაიწყო განვითარების ახალი ეტაპი, რომელიც ფებს უწყობს ჩვენი ქვეყნის დეკლარირებულ კურსს და ორიენტირად განსაზღვრავს დასავლურ ღირებულებებს, ფასეულობებსა და პრინციპებს.

– როგორ შეაფასებდით იურიდიული დახმარების სამსახურისა და საზოგადოებრივი ადვოკატის როლს ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემაში და ზოგადად საზოგადოებაში?

– მართლმსაჯულების სისტემა არის დემოკრატიის ფუნდამენტი. იურიდიული დახმარების სამსახურიც ამ ფუნდამენტის ერთ-ერთი ნაწილია და შესაბამისად, მას ქვეყნის დემოკრატიულ მშენებლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

მოგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ, 1958 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების ადვოკატთა ასოციაციისა და ამერიკის სამართლის სკოლების წარმომადგენლები, არდენის სახლის კონფერენციაზე შეეცადნენ განემარტათ ადვოკატის როლი საზოგადოებაში. მათ მიერ მიღებულ რეპორტში ყურადღება გამახვილებულია ადვოკატის პასუხისმგებლობაზე, როგორც სამართლიანი პროცესის დარაჯზე, ასევე სამართლებრივი მომსახურების ყველასათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სამართლებრივ რეფორმებში ლიდერობის შესახებ ადვოკატის ვალდებულებაზე.

იურიდიული დახმარების სამსახურისა და საზოგადოებრივი ადვოკატის როლი მართლმსაჯულების, ასევე ზოგადად, სამართლებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოიცავს არა მხოლოდ სამსახურის ძირითადი მიზნის ეფექტურად და მაღალი ხარისხით განხორციელებას, არამედ საქმიანობას საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების, სამართლის განვითარების, პროგრესული სასამართლო პრაქტიკის დადგენის ნახალისების, ახალი თაობების მიერ სამართლებრივი პრაქტიკის ათვისებისა და სამართლებრივ საკითხებში საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების სფეროებში.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება არის ქვეყნის წინსვლისა და წარმატების წინაპირობა.

საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება არის ქვეყნის წინსვლისა და წარმატების წინაპირობა

ბა. სამსახურს ამ მიმართებით მნიშვნელოვანი მისია აქვს. სოციალურად დაუცველი პირებისა და სხვა მონყვლადი ჯგუფების ჩართულობა საზოგადოებრივ, სამართლებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში საჭიროებს მათ გაცნობიერებას თავიანთი უფლებებისა და ამ უფლებების რეალიზაციის საკითხებში. სწორედ ეს არის უპირველესი და უმთავრესი ნაბიჯი მათი უფლებების დაცვისათვის. ამ მიზნით სამსახურმა დაიწყო ფართომასშტაბიანი საინფორმაციო-საკონსულტაციო ღონისძიებები, რომლებიც მომდევნო წლებში კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს შეიძენს და მეტ სფეროზე გავრცელდება.

მრავალმხრივი სამართლებრივი პრაქტიკა სამსახურსა და საზოგადოებრივ ადვოკატს აძლევს საშუალებას თავისი წვლილი შეიტანოს იურიდიული პროფესიის განვითარებისა და ახალი თაობების აღზრდის საქმეში. შესაბამისად, მიმდინარე რეფორმების ფარგლებში იურიდიული კლინიკების განვითარება, უნივერსიტეტებთან ახლო თანამშრომლობა, სტუდენტების ჩართულობა სამსახურის პროექტებში, დამწყებ იურისტებს მისცემს საშუალებას წარმატებით დაიმკვიდრონ თავი იურიდიულ პროფესიაში და ამასთან, მიიღონ ინფორმაცია პრობონო საქმიანობის საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ.

– იურიდიული დახმარების სამსახური ემსახურება სოციალურად დაუცველი პირების უფლებების დაცვასა და რეალიზაციას. რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის სამსახურის სერვისები საქართველოს მასშტაბით?

– სოციალურად დაუცველი პირებისა და სხვა მონყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა, სამსახურის ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გარეშე წარმოუდგენელია, რისთვისაც სამსახურის 2019 წლის ერთ-ერთი უმთავრესი ნაბიჯი იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში წარმომადგენლობების გაფართოვება. 2019-2020 წლებში საქართველოს მასშტაბით 20 ახალი წარმომადგენლობა გაიხსნა და 2021 წლის ბოლომდე დაგეგმილია კიდევ 21 წარმომადგენლობის დამატება, რომელიც სრულად გადაჭრის სამსახურის ტერიტორიული

ხელმისაწვდომობის პრობლემას და საქართველოს მასშტაბით მოსახლეობას მისცემს საშუალებას დროულად მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში იურიდიული დახმარება.

– რა მიგაჩნიათ სამსახურის მთავარ გამოწვევად და როგორია თქვენი პასუხი ამ გამოწვევაზე?

– ტერიტორიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პარალელურად სამართლებრივი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება არის სამსახურის ძირითადი პრიორიტეტი. ხარისხის შეფასების სისტემის დანერვა, რომელიც სამსახურის არსებობის 15 წლის მანძილზე გამოწვევად რჩებოდა, 2020 წელს წარმატებით დაგვირგვინდა. 2019 წელს 3 თვის ვადაში, საერთაშორისო აქტებისა და პრინციპების საფუძველზე შეიქმნა ხარისხის შეფასების სისტემა, რომელიც სარგებლობს ეროვნული და საერთაშორისო პარტნიორების აღიარებითა და მხარდაჭერით. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ასევე სამსახურის შემადგენლობაში სასწავლო ცენტრის შექმნა, რომელიც 2020 წლის 1 იანვრიდან ბრუნავს თანამშრომელთა მუდმივ გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. სამსახურში მიმდინარე რეფორმების ფარგლებში დაგეგმილი შიდა საქმიანობის, სამსახურის მონყობის, ადვოკატთა საქმისწარმოების დახვეწა და განვითარება, თავის მხრივ, ხარისხიანი მომსახურების მიწოდების მნიშვნელოვან წინაპირობებს ქმნის.

– ცნობილია, რომ თქვენ მჭიდროდ თანამშრომლობთ სხვადასხვა ქვეყნის იურიდიულ წრეებთან. როგორია მათი მხარდაჭერა იურიდიული დახმარების სამსახურისადმი?

– სამსახურის პოტენციალის სრული რეალიზაცია საჭიროებს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას, რისთვისაც სამსახურმა 2019 წლიდან აქტიური თანამშრომლობა დაიწყო გერმანიის ადვოკატთა ასოციაციასთან, სამეცნიერო წრეებთან ასევე საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ იურისტებთან. უცხოეთში დასაქმებულ ჩვენს თანამემამულეებთან და

სამსახურის პოტენციალის სრული რეალიზაცია საჭიროებს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას

სხვა კოლეგებთან ახლო თანამშრომლობა სამსახურს მისცემს დამატებით კომპეტენციას ბენეფიციარების უფლებების საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებით დაცვისათვის. გარდა ამისა, მათი თანადგომით სამსახურს ექნება შესაძლებლობა სამართლებრივი დახმარება გაუწიოს საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს.

– ბატონო რაჟდენ, რა არის თქვენი, როგორც იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის საქმიანობის საბოლოო მიზანი?

– ამერიკის უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გამორჩეული მოსამართლე, ქალთა და მონყვლადი ჯგუფების უფლებების ყველაზე დიდი გულშემატკივარი რუთ ბეიდერ გინსბურგი ამბობდა: მე ადვოკატი გავხდი ეგოისტური მიზნებიდან გამომდინარე, მეგონა, რომ იურისტის საქმეს სხვებზე კარგად გავართმევდი თავს. ჩვენ დღეს, როგორც არასოდეს გჭირდება მსგავსი „ეგოისტური“ სულიკვეთებით მოქმედება და ჩემი „ეგოისტური“ მიზანიც არის ის, რომ ჩვენი საზოგადოების მონყვლადი ჯგუფის ყველა წარმომადგენლის უფლებები იყოს სათანადოდ დაცული და ჩემი სამსახური იყოს მონინავე ორგანიზაცია არა მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვის, არამედ სამართლისა და ზოგადად, საზოგადოების განვითარების საქმეში.

ესაუბრა ნინო ჩუტკერაშვილი





იურიდიული დახმარების სათავაშობთან

ინტერვიუ USAID/საქართველოს კანონის უზენაესობის პროგრამის მენეჯერთან, რუსუდან ტაბატაძესთან

ქალბატონო რუსუდან, მოხარული ვართ, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის ჟურნალის „საზოგადოებრივი ადვოკატის“ პირველი ნომრის სტუმარი ბრძანდებით. თქვენ 15 წლის წინ იყავით ერთ-ერთი პირველი, ვინც საქართველოში უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის შექმნაში მონაწილეობდა. თქვენს სახელს უკავშირდება ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმები, რაც იმ დროს განხორციელდა სამსახურში. როგორ დაიბადა სამსახურის შექმნის იდეა და როგორ გამოიყურება მისი შექმნის პროცესი?

ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო „საზოგადოებრივი ადვოკატის“ პირველი ნომრის სტუმარი. მივესალმები თქვენს მკითხველს და წარმატებებს ვუსურვებ ჟურნალს. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, იურიდიული დახმარების სამსახურის დღევანდელი ფორმით შექმნის იდეას რამდენიმეწლიანი ინტენსიური მუშაობა უძღოდა წინ. მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მემკვიდრეობად გვერგო იურიდიული დახმარების გაუმართავი, არაეფექტური სისტემა. სახელმწიფოს მიერ დანიშნული ადვოკატი ოფიციალურად არაადაქტიურად დაბალ ანაზღაურებას იღებდა, რასაც ხშირად ბრალდებულისაგან აღებული ჰონორარით ავსებდა. არავინ ამოწმებდა, თუ რამდენად კვალიფიციური იყო განუული მომსახურება. საზოგადოებას ეჭვი ჰქონდა ადვოკატსა და პროცესის მწარმოებელს შორის კორუფციულ კავშირებზე. სამწუხაროდ, ტერმინი „სახაზინო ადვოკატი“, რომელიც ფორმალურ დაცვასთან ასოცირდება, სწორედ იმ დროიდან მოგვყვება. 2003-2004 წლებში, ვარდების რევოლუციის შემდეგ, გარკვეულ ცვლილებებზე მუშაობის შესაძლებლობა გაჩნდა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის - საიას მაშინდელი ხელმძღვანელობის ძალისხმევით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც თავდაპირველად უფასო იურიდიული დახმარების სისტემის ქართული მოდელის კონცეფციაზე დაიწყო მუშაობა. ჩვენ ვიცოდით, თუ რა იყო შესაცვლელი, თუმცა იურიდიული დახმარების განვს რა მოდელისთვის მიგვენიჭებინა უპირატესობა, რა მოდელისთვის გავგენია რეკომენდაცია, რა თქმა უნდა, თავი-

“ იურიდიული დახმარების სამსახურის დღევანდელი ფორმით შექმნის იდეას რამდენიმეწლიანი ინტენსიური მუშაობა უძღოდა წინ.

დანვე ცნობილი არ ყოფილა. ამ კითხვებზე პასუხი მრავალი განვითარებული ქვეყნის გამოცდილების კვლევამ გვაპოვნინა. კონცეფციით საია-ს სამუშაო ჯგუფი რეკომენდაციას უწევდა მოდელს სისტემისა, რომელიც იმართებოდა დამოუკიდებელი ორგანოს - კომისიის მიერ. ხოლო მთავარი დატვირთვა სამართლებრივი მომსახურების გამწვავთა რამდენიმე ტიპს შორის, უნდა დაკისრებოდა იურიდიული დახმარების ოფისებს/ბიუროებს.

საია-ს შეთავაზება სახელმწიფოსთვისაც საინტერესო აღმოჩნდა და იუსტიციის სამინისტროს ქვეშ 2005 წელს შეიქმნა, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საზოგადოებრივი-სახაზინო ადვოკატის სამსახური თავისი ორი საპილოტე ოფისით თბილისსა და ზესტაფონში. პარალელურად გაგრძელდა იურიდიული დახმარების შესახებ კანონის პროექტზე მუშაობა. სწორედ, პილოტირების შედეგებმა განსაზღვრა მომავალი სამსახურის სტრუქტურის კონტურები. აქვე უნდა აღვნიშნო, ამ პროცესში ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილის შესახებ. რომ არა ფონდის უდიდესი მატერიალური და ექსპერტული მხარდაჭერა, სავარაუდოდ, საქართველოს იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა რამდენიმე წელიწადს დააგვიანებდა.

როგორ ფიქრობთ, რა იყო სამსახურის მთავარი გამოწვევა და როგორ უპასუხეთ მას?

სამსახურის წინაშე არსებული გამოწვევები ევოლუციას განიცდის. არცთუ შორეულ წარსულში სამსახურისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა ინფრასტრუქტურის გამართვა იყო. ადვოკატებს უნდა ჰქონოდათ სათანადო სამუშაო პირობები და საქმიანობისთვის აუცი-



სამსახურის მთავარი გამოწვევა მისი შეზღუდული დამოუკიდებლობა გახლდათ.

ლებელი ელემენტარული ტექნიკური საშუალებები. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს პრობლემა ძირითადად დაძლეულია. მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო სამსახურის მანდატის გავრცობა – სისხლის სამართლის საქმეებთან ერთად, უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე. ეს პროცესი 2015 წლიდან დაიწყო. 2017-2018 წლებში საკანონმდებლო ცვლილებებით გაიზარდა სამსახურის მანდატი და ბენეფიციართა წრე. უამრავი ადამიანის დიდი შრომა და ძალისხმევა დასჭირდა ამ გამოწვევის წარმატებით დასრულებასაც.

ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია იმ მრავალ გამოწვევათაგან, რომელთან გამკლავებაც თავისი არსებობის სხვადასხვა ეტაპზე უწევდა სამსახურს. თუმცა, ჩემი აზრით, სამსახურის მთავარი გამოწვევა მისი შეზღუდული დამოუკიდებლობა გახლდათ. იურიდიული დახმარების შესახებ კანონზე მუშაობისას, პროექტის არაერთი ვერსია შეიქმნა. კანონპროექტის თავდაპირველი ვერსია სამსახურის შექმნას დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით გვთავაზობდა. დამოუკიდებლობა რამდენიმე მიზეზის გამო იყო მნიშვნელოვანი – პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს საზოგადოების ნდობას უკავშირდებოდა. ზემოთაც აღვნიშნე ე.წ. „სახაზინო ადვოკატის“ სახელგატეხილი ინსტიტუტის თაობაზე. ამ ახალ სტრუქტურას სახელწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული მომსახურების შესახებ საზოგადოების წარმოდგენების შეცვლა უნდა მოეხერხებინა. ამის მიღწევა კი, საზოგადოებრივი ადვოკატების თავდაუზოგავ შრომასთან ერთად, სხვა სახელმწიფო ინსტიტუტთაგან, განსაკუთრებით, პროცესის მწარმოებელი ორგანოებისაგან დისტანცირებით იყო შესაძლებელი. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იყო სამსახურის პოლიტიკური ზეგავლენის რისკებისაგან დაცვაც. შემოთა-

ვამებული პროექტით, სახელწიფო მოახდენდა დამოუკიდებელი სსიპ-ის სახით შექმნილი მმართველი ორგანოს – საბჭოს ფორმირებას, თუმცა სამსახურის ყოველდღიურ საქმიანობაზე პოლიტიკური ხელისუფლების მიერ ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობები მინიმალური იქნებოდა. ამ არგუმენტების მიუხედავად, სახელმწიფომ მაშინ ჩათვალა, რომ სამსახურის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით შექმნა ნაადრევი იყო. 2007 წელს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი იურიდიული დახმარების შესახებ, რომლის მიხედვითაც სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური იუსტიციის სამინისტროს მმართველობის ქვეშ იქმნებოდა. მხოლოდ 2014 წელს ჩატარებული რეფორმისა და საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე გამოეყო სამსახური სასჯელაღსრულების სამინისტროს და დამოუკიდებელი სსიპ-ის სტატუსი შეიძინა. კანონის დღევანდელი რედაქციით სამსახური „არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო ორგანოს და ანგარიშვალდებულია მხოლოდ პარლამენტის წინაშე“ – ეს დიდ მონაპოვარს წარმოადგენს.

როგორ ფიქრობთ, რა არის სამსახურის მიმდინარე გამოწვევა და როგორ გესახებათ მისი გადალახვა?

ჩემი აზრით, სისტემის არსებობის ამ ეტაპზე მთავარ ამოცანას მისი მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს. იურიდიული დახმარების სამსახური საბიუჯეტო დაწესებულებაა – ხარისხიანი და არა ილუზორული მომსახურების უზრუნველყოფას მას კანონი ავალდებულებს. ეს საკითხი წლების წინაც იდგა დღის წესრიგში, თუმცა სხვა გამოწვევების ფონზე მთავარ პრიორიტეტად ვერ იქცა. ჯერ კიდევ 2008-2009 წლებში ჰქონდა ადგილი ადვოკატის საქმიანობის შეფასების სისტემის შექმნის პირველ მცდელობებს. მაშინაც, ამ სისტემის მთავარ ამოცანად, თანამშრომელთა ნახალისება, მათი ძალისხმევის ადექვატური დაფასების გზების პოვნა, ასევე ხარვეზების იდენტიფიცირება და სწავლების გზით, მათი აღმოფხვრა გვესახებოდა.

დღეს უკვე დადგა ის დრო, როცა ხარისხის თვალსაზრისით, ასე ვთქვათ, „ჩავარდნას“, გამართლება აღარ აქვს. ამას მოელის სამსახურისგან მისი დამკვეთი – საქართველოს სახელმწიფო, ასევე მისი ბენეფიციარი. იურიდიული დახმარების სამსახურის ძალა მისი თანამშრომლებია. აქ დასაქმებული ადვოკატები და იურისტები ძალიან მძიმე და საპასუხისმგებლო საქმიანობას ასრულებენ. სწორედ ისინი წარმოადგენენ სამსახურისა და გნებავთ, სახელმწიფოს სახესაც, მათი კლიენტების – უმრავლეს შემთხვევაში, საქართველოს ყველაზე დაუცველი მოქალაქეების თვალში. სამსახურის ვალია, ისეთი მოტივაციის სისტემა შექმნას, რომელიც სამართლიანად შეაფასებს ადვოკატთა და სხვა თანამშრომელთა შრომას.

თქვენთვის კარგადაა ცნობილი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემები. რომელი ქვეყნის გამოცდილება მიგაჩნიათ ყველაზე სრულყოფილად და ამ სისტემაში როგორ შეფასებდით საქართველოს ადგილს?

ვფიქრობ, არ იქნება სწორი, რომელიმე ქვეყნის იურიდიული დახმარების სისტემა შევაფასო, როგორც სრულყოფილი. ალბათ, იდეალურია ის სისტემა, რომელიც ამართლებს შესაბამის ქვეყანაში ამ ქვეყნის კონტექსტისა და მისი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური დონის გათვალისწინებით. იურიდიული დახმარება შედარებით ახალი კონცეფციაა. მისი ჩანასახები მსოფლიოში დაახლოებით ერთი საუ-

კუნის წინ გაჩნდა და მას შემდეგ მუდმივად ვითარდება. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ევროპის განვითარებული ქვეყნების დიდ ნაწილში მოქმედებს ე.წ. ჟუდიცარე მოდელი – რომლის მიხედვითაც კერძო ადვოკატი იცავს სოციალურად დაუცველ პირს და ანაზღაურებას კონკრეტულ საქმეზე განეული მუშაობისთვის იღებს სახელმწიფოსგან. საზოგადოებრივი დამცველის ოფისების მოდელი – დიდწილად სისხლის სამართლის საქმეებზე სამუშაოდ არის გამოყენებული აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე უფასო იურიდიულ დახმარებას აშშ-ში მოქალაქეებს არასამეწარმეო იურიდიული პირები უწევენ. მათი საქმიანობისთვის გრანტებს გასცემს იურიდიული დახმარების კორპორაცია – კონგრესის წინაშე ანგარიშვალდებული ფედერალური ორგანიზაცია. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში იურიდიული დახმარების სქემის ნაწილს საუნივერსიტეტო კლინიკებიც კი წარმოადგენს.

ქართული სისტემა საკმაოდ მოქნილი სახით ჩამოყალიბდა. იურიდიული დახმარების სამსახური შეიქმნა, როგორც ორგანო, რომელიც ადმინისტრირებას უწევს იურიდიული დახმარე-



სისტემის არსებობის ამ ეტაპზე მთავარ ამოცანას მისი მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს.



ბელა ბერაძე,
ზესტაფონის იურიდიული
დახმარების ბიუროს უფროსი



ასე დაიწყო და...

2005 წლის გაზაფხულზე ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ ზესტაფონში, ერთნაირი იურიდიული პროექტის ფარგლებში იგეგმებოდა ოფისის გახსნა და შემომთავაზა, მეც მიმელო მონაწილეობა შესარჩევ კონკურსში. მონაწილეობისაგან თავი შევიკავე, რადგან, როგორც გავიგე, პროექტს სისხლის სამართლის მიმართულებით უნდა ემუშავა, მე კი სისხლის სამართალში ცოდნა თითქმის არ მქონდა და ეჭვი მეპარებოდა, რომ შევძლებდი კონკურსში გამარჯვებას. თუმცა, მას შემდეგ, რაც პირველი კონკურსი ჩაიშალა, ვიფიქრე, იქნებ ღირდა ცდა. მით უმეტეს, რომ იმ პერიოდში დასაქმებული არ ვიყავი, ჩვენი ოჯახის შემოსავალიც მეტად მწირი იყო.

თუმცა იმასაც ვხვდებოდი, რომ თუ რამის იმედი მინდოდა მქონოდა, ძალიან უნდა მომენდომებინა. იმისათვის, რომ კონკურსისათვის მოვმზადებულიყავი, სისხლის სამართლის ძირითადი საკითხებიც კი ლამის თავიდან უნდა მესწავლა. თითქმის ორი კვირის განმავლობაში, პირდაპირი გაგებით, დილიდან დაღამებამდე ვკითხულობდი შესაბამის კანონმდებლობას.

პირველი ტური წარმატებით, თუმცა გამსვლელი ქულის ზღვარზე გადავლახე. გასაუბრება 5 ივნისს – ჩემი დაბადების დღეს დაემთხვა. შეიძლება ამ სიმბოლოურმა დამთხვევამაც შეიტანა წვლილი საკონკურსო კომისიის გადამწყვეტილებაში და როცა გასაუბრებიდან თითქმის უიმედოდ დაბრუნებუ-

ლი, დაბადების დღის სუფრასთან ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად ვიჯექი, დამირეკეს და მითხრეს, რომ საკონკურსო კომისიამ ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტის თანამდებობაზე შემარჩია. რა თქმა უნდა, ძალიან გახარებული, თუმცა ამასთანავე დაბნეულიც ვიყავი, რადგან არ ვიცოდი – შევძლებდი თუ არა ჩემზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის პილოტური პროექტის ფარგლებში ზესტაფონის ბიუროსთან ერთად ასევე შეიქმნა გლდანი-ნაძაღდევის იურიდიული დახმარების ბიუროც. მთელი სამსახური სულ 15 თანამშრომლისგან შედგებოდა. სამსახურის ორგანიზაციის ადმინისტრაცია იუსტიციის სამინისტროს შენობაში იყო განთავსებული.

შემდეგ იყო ტრენინგები, თანამშრომელთა გაცნობა და პირველი სამუშაო დღე 2005 წლის 2 ივლისი, რომელიც ასევე კურიოზულად დაიწყო. სამსახურში მისულებს უკვე დაგვხვდა პირი, რომელსაც საადვოკატო მომსახურება ესაჭიროებოდა. ზესტაფონის ბიუროს ოთხი თანამშრომელიდან, მე უმნიშვნელო სამუშაო გამოცდილება მქონდა ღვინის ქარხანაში იურისტის თანამდებობაზე, ბიუროს ადმინისტრატორს (უფროსს) გელა სიორდიას გამოცდილება საჯარო დაწესებულება-

ში მუშაობის ჰქონდა, ადვოკატის თანამდებობაზე დანიშნული მიღერინა მემანიშვილი კი მანამდე მოსამართლის თანამდებობაზე იყო. ამიტომ ყველა დაბნეულები ვიდექით და არცერთმა არ ვიცოდით, რა უნდა გვექნა და რითი დავხმარებოდით პირს, რომელსაც ადვოკატი ესაჭიროებოდა. უცებ გაგვახსენდა, რომ მეორე ადვოკატს, თენგიზ ასლანიკაშილს ჰქონდა საადვოკატო გამოცდილება და ლამის ერთად ვიყვირეთ: თენგიზ, მოდი, მოგვეხმარე, ამ კაცს რაღაცა უნდა....

სამსახურის მაშინდელი ბიუჯეტი 30 ათას ლარს შეადგენდა. გვეხმარებოდა ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოც“.

მწირი გამოცდილების მიუხედავად, სამუშაოს ალღო სწრაფად ავუღეთ და ჩვენი ადგილიც სამართლებრივ სისტემაში მალევე დავიკავეთ. საინტერესო იყო ისიც, თუ როგორ იცვლებოდა იმ ორგანიზაციების დამოკიდებულება ჩვენს მიმართ, რომლებთანაც გვინევდა საქმიანი ურთიერთობა (პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო). თავიდან ეს იყო გაღიზიანება და სიბრაზე იმის გამო, თუ რატომ ვიყავით ასე პრინციპულები ე.წ. „სახაზინო ადვოკატები“ (მაშინ ჯერ კიდევ ასე მოგვისხევიან) და რატომ არ დავდიოდით მათ ჭკუაზე. თუმცა ეს განწყობა თანდათან პატივისცემამ შეცვალა და არაერთი შემთხვევა იყო, როცა აღნიშნული ორგანიზაციების თანამშრომლები გვიკავშირდებოდნენ და გვთხოვდნენ, მათი ახლობლებისათვის სხვადასხვა სახის იურიდიული დახმარება გაგვეწია.

პროექტის წარმატების ნიშანი იყო ისიც, რომ საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის პილოტური პროექტი ჯერ ერთი წლით გაგრძელდა, ხოლო 2007 წლის 2 ივლისს მიღებულ იქნა კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“, რომლითაც მოკლევადიანი პროექტის ფარგლებში წამოწყებული საქმიანობა სრულფასოვან სამსახურად ჩამოყალიბდა, რომელმაც უკვე თითქმის მთელი საქართველო მოიცვა.

საქართველოში, ფაქტიურად, არ არსებობდა მსგავსი სამსახურის ფუნქციონირების გამოცდილება, ხოლო მსოფლიოშიც კი ასეთი ტიპის მომსახურებას არც თუ დიდი ხნის ისტორია გააჩნია და ბევრ განვითარებულ ქვეყანაშიც დღემდე მიმდინარეობს უფასო იურიდიული დახმარების სერვისების ჩამოყალიბების პროცესი, ჩვენთან წარმოდგენილად შემჭიდროებულ ვადებში ხდებოდა სამსახურის სრულფასოვანი მუშაობისათვის საჭირო გადამწყვეტილებების შემუშავება და მიღება. ალბათ ამის მთავარი მიზეზი გუნდური მუშაობა და იმის შეგრძნება იყო, რომ ჩვენ ერთობლივად

ქრონიკა:

2005-2006 წწ. იუსტიციის სამინისტროს სისტემაში, საცდელი პროექტის ფარგლებში, შეიქმნა „საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახური“. თბილისსა და ზესტაფონში გაიხსნა პირველი ბიუროები.

2007 წ. ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“, რომელმაც იურიდიული დახმარების სისტემის ინსტიტუციური მოწყობა, ბენეფიციართა წრე და სერვისით სარგებლობის პირობები განსაზღვრა. ქვეყნის მასშტაბით, დამატებით ამოქმედდა იურიდიული დახმარების 8 ახალი ბიურო.

2008 წ. გაიხსნა პირველი საკონსულტაციო ცენტრები ოზურგეთსა და ამბროლაურში. დაიწყო მუშაობა იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სისტემაზე, ასევე საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიულ სტანდარტებზე. ამოქმედდა სისხლის სამართლის იურიდიული კლინიკის პროექტი.


2009 წ. შეიქმნა მონვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი. მასში რეგისტრირებული ადვოკატები საქმეებში ერთვებიან ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში.

2010 წ. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ახალციხეში, მარნეულში, ახალქალაქსა და წალკაში ამოქმედდა იურიდიული დახმარების ბიუროები, სადაც ორენოვანი იურისტები დასაქმდნენ.

2011 წ. სამსახურის გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართველოს, სხვადასხვა დროს, ეწვივნენ იორდანის, ყაზახეთის, ინდონეზიის, ბანგლადეშისა და უკრაინის, ასევე ერაყის დელეგაციები. საქართველო გაერთიანდა იურიდიული დახმარების რეფორმატორთა ქსელში (LARN).

2012 წ. გაერომ მიიღო რეზოლუცია იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობაზე, რომელმაც პირველად დაადგინა ეფექტური იურიდიული დახმარების გაწევის ძირითადი პრინციპები და ინსტრუქციები სისხლის სამართლის საქმეებზე. საქართველო იყო დოკუმენტის მიღების ერთ-ერთი ინიციატორი.

2013 წ. დაიწყო კომპიუტერული პროგრამა CaseBank, რომელიც ამარტივებს ბიუროს საქმიანობის ორგანიზებას. გარდა ამისა, შემუშავდა „საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის სახელმძღვანელო წესები“, აგრეთვე „განუყოფილი იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები“.





უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის ქართული მოდელი ერთ-ერთ პროგრესულ მოდელად ჩაითვალა საერთაშორისო საზოგადოების მიერ

რალაც ახალს და მნიშვნელოვანს ვქმნიდით.

სამსახურის შექმნაში, მთავარი რეფორმების განხორციელებაში, უდიდესი წვლილი შეიტანა პროექტის ერთ-ერთმა შემოქმედმა და სამსახურის ერთ-ერთმა პირველმა ხელძღვანელმა რუსუდან ტაბატაძემ. როცა მას შევხვდით, სულ ახალგაზრდა გოგონა იყო და ჩემი მაშინდელი წარმოდგენით, დიდი გამოცდილება არ უნდა ჰქონოდა არც იურისპრუდენციაში და არც მენეჯმენტში. მაგრამ ჰქონდა გამორჩეული თვისება – ძალიან ყურადღებით გვისმენდა და მუდამ რაღაცას ინიშნავდა ბლოკნოტში. სხვადასხვა საკითხის განხილვის შემდეგ, თითქოს ერთ დასკვნამდე, შეთანხმებამდე ვერ მივდიოდით ხოლმე, მაგრამ ბოლოს სწორედ ჩვენი ახალგაზრდა დირექტორი იტყოდა სიტყვას, სადაც აბსოლუტურად ყველა მოსაზრება არგუმენტირებულად იყო გააზრებული და შესაბამისად, სწორი გადაწყვეტილებები მიღებული. რუსუდან ტაბატაძის მთავარი დამსახურება მაინც ის მგონია, რომ იცოდა ადამიანური რესურსის სრულფასოვანი გამოყენება და გუნდური მუშაობის სულისკვეთების წინა პლანზე წამოწევა. ამიტომ სამსახურის თითოეული თანამშრომელი იყო არამხოლოდ შემსრულებელი, არამედ საერთო საქმის შემოქმედი.

სამსახურში სიახლეების დანერგვისას გარკვეულწილად უცხოურ გამოცდილებასაც ვეცნობდით, თუმცა ძირითადად გადანაცვლებების მიღებისას ყოველთვის საქართველოში არსებულ სიტუაციასა და პრაქტიკაში გამოვლენილ საჭიროებებს ვითვალისწინებდით. ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ ქართული იურიდიული დახმარების სამსახურს თავისი თვითმყოფადობა გააჩნია და ის არ წარმოადგენს რომელიმე სხვა

ქვეყნის სამსახურის ასლს.

მიუხედავად წარმატებული განვითარებისა, იურიდიული დახმარების სამსახურის შექმნის პროცესში იყო არაერთი ხელშემშლელი გარემოება. მაგალითად, იმის გამო, რომ სამსახურის დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა სამინისტროს ქვემდებარე ორგანიზაციას წარმოადგენდა, ყოველი მინისტრის ცვლილება, რაც საკმაოდ ხშირი მოვლენა იყო, სამსახურის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად იქცეოდა და გარკვეული პერიოდით აყოვნებდა სიახლეების დანერგვას, რადგან თითოეული მინისტრისთვის თავიდან ასახსნელი იყო სამსახურის როლი, მნიშვნელობა და საჭიროება სამართლის სფეროში.

ამიტომ სამსახურისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო – ყოფილიყო დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელზეც არ მოახდენდა გავლენას პოლიტიკური კონიუნქტურა. ამის გათვალისწინებით 2014 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები იურიდიული დახმარების სამსახურის განვითარების პროცესში უმნიშვნელოვანესი იყო, რადგან სამსახური გახდა ერთ-ერთი ყველაზე დამოუკიდებელი სტატუსის მქონე ორგანიზაცია ქვეყანაში და ის მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშეა ანგარიშვალდებული. შეიქმნა საზედამხედველო ორგანო – იურიდიული დახმარების საბჭო, რომელიც განსაზღვრავს სამსახურის ძირითად მიმართულებებს.

საყურადღებოა ისიც, რომ 2013 წლის 28 მარტს სწორედ საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახური იყო ერთ-ერთი ინიციატორი გაეროს #67/187 რეზოლუციის მიღებისა, რომლითაც განისაზღვრა სისხლის სამართლის სფეროში იური-

დიული დახმარების ხელმისაწვდომობის სახელმძღვანელო პრინციპები.

უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის ქართული მოდელი ერთ-ერთ პროგრესულ მოდელად ჩაითვალა საერთაშორისო საზოგადოების მიერაც. სწორედ ამიტომ, 2018 წლის 13-15 ნოემბერს, ევროპის კონტინენტზე პირველად, სწორედ საქართველომ უმასპინძლა „უფასო სამართლებრივ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის მე-3 საერთაშორისო კონფერენციას“, რომელსაც მსოფლიოს 68 ქვეყნის 300-მდე დელეგატი დაესწო. კონფერენციამ მიიღო „თბილისის დეკლარაცია“, სადაც მსოფლიოში არსებული უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის მთავარ გამოწვევებად მიჩნეულ იქნა „განეული სამართლებრივი დახმარების ხარისხის შეფასება, მისი გაუმჯობესების მიზნით“ და სამართლებრივი დახმარების საერთაშორისო ქსელის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ქსელში განევიანებული ქვეყნების მოქალაქეთა უზღუნველყოფას უფასო საადვოკატო მომსახურებით.

გასული წლების განმავლობაში იურიდიული დახმარების სამსახური მნიშვნელოვნად გაიზარდა – თუ დასაწყისში სამსახურში მხოლოდ 15 სამტატო ერთეული იყო, ახლა მისი რიცხვი 270-ს შეადგენს, ბიუჯეტი კი, რომელიც დასაწყისში სულ 30 ათას ლარს შეადგენდა, ახლა ექვს მილიონზე მეტია. ზესტაფონისა და გლდანი-ნაძალადევის ოფისებთან დავიწყეთ და ამჟერად 13 ბიურო და 25 საკონსულტაციო ცენტრი გვაქვს. სამსახურმა ამ წლების განმავლობაში ასობით ათასი სამართლებრივი კონსულტაცია გასწია და ათეულ ათასობით პირის საადვოკატო მომსახურება განახორციელა. საერთო სასამართლოებში წარმოებული საქმეების დიდი ნაწილი წარმოებულია სწორედ საზოგადოებრივი ადვოკატების მიერ. სახეზეა ათეულობით გამამართლებელი განაჩენი და წარმატებული კონსულტაცია.

ახლაც ბევრი გამოწვევის წინაშე ვდგავართ. გარკვეულწილად ფსიქოლოგებიც გავხდით და ხშირ შემთხვევაში, წინასწარაც კი ადვილად შეგვიძლია გამოვიცნოთ ხოლმე, ბიუროში დახმარებისთვის მოსული ადამიანს ზუსტად რა აწუხებს და როგორ შევძლებთ მისი პრობლემის მოგვარებას. მჯერა, 15 წელი მხოლოდ დასაწყისია და დიდი იმედი მაქვს, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის განვითარება მომავალშიც შეუფერხებლად გაგრძელდება და სამსახურის თანამშრომლები, საზოგადოებრივი ადვოკატები, კონსულტანტები კიდევ არაერთი ადამიანის ცხოვრებას გააუმჯობესებთ.

2014 წ. იურიდიული დახმარების სამსახური გახდა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული, დამოუკიდებელი ორგანიზაცია. შეიქმნა სამსახურის სამეთვალყურეო კოლეგიური ორგანო – იურიდიული დახმარების საბჭო, რომელიც 9 წევრითაა დაკომპლექტებული. საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა 3 წელია.

2015 წ. სამსახურის მანდატი გაფართოვდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე. კერძოდ, საადვოკატო მომსახურება უზრუნველყოფილი გახდა საოჯახო და სამემკვიდრეო დავებზე, ასევე სოციალური დაცვის საკითხებზე. როცა ბენეფიციარი გადახდისუუნაროა, ხოლო საქმე – რთული და მნიშვნელოვანი.

2016 წ. კვლავ გაიზარდა სამსახურის მანდატი და მოიცვა: 18-21 წლამდე ბრალდებულების სავალდებულო წესით დაცვა, ასევე არასრულწლოვანი დაზარალებულის და არასრულწლოვანი მოწმის დაცვა; საადვოკატო მომსახურება თავშესაფრის მაძიებლებისათვის. სიღნაღში ამოქმედდა იურიდიული დახმარების მე-12 ბიურო.

2017 წ. სამსახურს დაევალა ძალადობის მსხვერპლთა დაცვა გადახდისუუნარობის მიუხედავად. შეიქმნა იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელი. განახლდა სამსახურის ვებგვერდი. ჩატარდა რეგიონული კონფერენცია – „დამოუკიდებელი იურიდიული დახმარების გამოწვევები და მნიშვნელობა“.

2018 წ. თბილსში ჩატარდა „სისხლის სამართლის სისტემებში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის“ მე-3 საერთაშორისო კონფერენცია. სამსახური ახორციელებს სასამართლოში ძალადობის მსხვერპლთა/სავარაუდო მსხვერპლთა დაცვას მათი გადახდისუუნარობის მიუხედავად. გაფართოვდა მანდატი უძრავი ნივთებთან და შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ დავებზე.

2019 წ. უფასო სამართლებრივი დახმარების ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით საკონსულტაციო ცენტრები გაიხსნა დუისში, შუახევსა და ცაგერში. ოზურგეთში გაიხსნა იურიდიული დახმარების ბიურო. წეროვნის დევნილთა დასახლებაში ამოქმედდა იურიდიული დახმარების ონლაინ ოთახი.

2020 წ. დარსდა იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი. დაინერგა საზოგადოებრივი ადვოკატის მიერ განული იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სისტემა. გაიხსნა 16 საკონსულტაციო ცენტრი სხვადასხვა რეგიონში.

დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ

ისტორიას საკუთარი უღმრთელი კანონები აქვს. ადამიანების კოლექტიურ მეხსიერებაში მხოლოდ იმ ფაქტებს, იმ მოვლენებს და იმ თარიღებს ტოვებს, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს არა მათ პირად, არამედ ქვეყნის ცხოვრებაზე. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი და 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება სწორედ ასეთი თარიღებია. იმ ბოლოქარი დღეებიდან უკვე 30 წელი გავიდა. ამ დროის მიუხედავად, დღემდე მაინც უცნობია ის დეტალები, თუ რა ხდებოდა იმ დღეებში სახელისუფლო კორიდორებში და რა უძლოდა წინ ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიისთვის ამ უმნიშვნელოვანეს თარიღებს. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი ჭონი ხეცურიანი 30 წლის წინ სწორედ ამ მოვლენების ეპიცენტრში იყო და უშუალოდ მისი მონაწილეობით ხდებოდა ახალი საქართველოს დაბადება.

1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნების შემდეგ ჩამოყალიბებულ მთავრობაში საქართველოს იუსტიციის მინისტრის პოსტი დავიკავე. იუსტიციის მინისტრად შემდეგშიც დამნიშნეს და სხვა თანამდებობებზეც ვიმუშავე, მაგრამ ჩემთვის მაინც გამორჩეულად საამაყო და საპატიოა, რომ იმ მთავრობის წევრი ვიყავი, რომელმაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა.

რა პოლიტიკური პროცესები უძლოდა წინ 31 მარტის რეფერენდუმს?

საბჭოთა კავშირის იშვამინდელმა ხელმძღვანელობამ სსრ კავშირის ისტორიაში პირველად (და ეს უკანასკნელიც გამოდგა), გადაწყვიტა 1991 წლის 17 მარტს მთელ საბჭოეთში რეფერენდუმის ჩატარება „საბჭოთა კავშირის,

როგორც თანაბარუფლებიანი, სუვერენული რესპუბლიკების განახლებული ფედერაციის“ შენარჩუნების საკითხზე. ხალხის ნების აპელირებით ხელისუფლება ცდილობდა, შეეჩერებინა საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესი. ამასთან დაკავშირებით ჩვენ შევიკრიბეთ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, რომელიც იმ დროს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე იყო, და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ საქართველო არ მიიღებდა მონაწილეობას საკავშირო რეფერენდუმში, ე.ი. ბოიკოტს გამოვაცხადებდით მას, და, ამასთანავე, საქართველოში ჩავატარებდით რეფერენდუმს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე. ერთი სიტყვით, რეფერენდუმს რეფერენდუმსვე დავუპირისპირებდით. ეს სამართლებრივი ბრძოლის იშვიათი მაგალითი იყო.

რატომ აირჩიეთ რეფერენდუმის გზა? დამოუკიდებლობის გამოცხადება ხომ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოსაც შეეძლო, მით უმეტეს, კომუნისტები უმცირესობაში იყვნენ და ეროვნულ ძალებს ხმათა უმრავლესობით მარტივად შეეძლოთ ამ საკითხის გადაწყვეტა.

ჩვენ თავიდანვე ვფიქრობდით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოგვეცხადებინა არა მხოლოდ დეკლარაციით ან აქტით, როგორც ეს ჩვენმა წინაპრებმა 1918 წელს გააკეთეს, არამედ ეს ისტორიული ნაბიჯი ხალხის გადაწყვეტილებით გადაგვედგა. რეფერენდუმზე მიღებულ გადაწყვეტილებას ყველაზე მეტი იურიდიული ძალა აქვს, რომლის გაუქმება შეიძლება მხოლოდ რეფერენდუმით. ხელისუფლების არც ერთ ორგანოს მისი შეცვლის ან გაუქმების უფლებამოსილება არ გააჩნია. ამიტომ უკვე 1990 წლის დეკემბერში დავიწყე რეფერენდუმის შესახებ კანონპროექტზე მუშაობა. ამასთანავე გამოვაქვეყნე რამდენიმე წერილი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ამ კანონის ძირითადი დებულებები. კანონპროექტი წარვადგინე და 1991 წლის 20 იანვარს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი რეფერენდუმის შესახებ. სწორედ ამ კანონის საფუძველზე 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა საქართველოს ისტორიაში პირველი რეფერენდუმი. რეფერენდუმზე



დასმული იყო კითხვა: „თანახმა ხართ თუ არა, აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“. კითხვის ასეთ დასმას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ამ კითხვაში ნათლად ჩანდა, რომ ჩვენ სამართლებრივი კავშირი გვექონდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ვიყავით მისი სამართალმემკვიდრე და არ ვცნობდით იმ შუალედურ პერიოდს (1921-1991), როდესაც საქართველო იძულებით იყო ინკორპორირებული საბჭოთა იმპერიაში. რეფერენდუმი გაიმართა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ავტონომიურ რეგიონებშიც. შედეგი ფენომენალური იყო. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საარჩევნო უფლების მქონე მოსახლეობის 90,6 პროცენტმა, აქედან საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ხმა მისცა რეფერენდუმში მონაწილეთა 98,9 პროცენტმა.

როგორც წესი, რეფერენდუმის ჩატარებიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ერთი ნაბიჯია დარჩენილი. საქართველოშიც ასე მოხდა. რა ხდებოდა დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე იმ ერთ კვირაში?

რეფერენდუმის შემდეგ საჭირო იყო რეფერენდუმის შედეგებში გამოვლენილი ხალხის ნება სათანადო სამართლებრივ ფორმაში გამოგვეხატა. ამიტომ შევუდექით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის პროექტის მომზადებას. ამ პროექტის შედგენისას, რა თქმა უნდა, ჩვენი მხერა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტისკენ იყო მიპყრობილი, თუმცა მისი მიღები-





დან უკვე საკმაოდ დრო იყო გასული, რეალობე-
ბიც შეცვლილი იყო მსოფლიოში და ამასთან,
ზვიად გამსახურდიასაც ჰქონდა გარკვეული
შენიშვნები მის მიმართ. კერძოდ, იგი, ჩემი აზ-
რით, სრულიად სამართლიანად, გამოთქვამ-
და გულისწყრომას დამოუკიდებლობის აქტის
იმ ნაწილის მიმართ, რომელშიც პირდაპირ
ნათქვამია, რომ „მეთვრამეტე საუკუნის და-
სასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწრო-
ებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა
რუსეთს...“. ასევე არ მოსწონდა ისიც, რომ და-
მოუკიდებლობის აქტის გაცნობისას იქმნებო-
და შთაბეჭდილება, თითქოს საქართველო იმ
დროს არსებული საერთაშორისო მდგომარე-
ობის გამო, იძულებული იყო, გამოეცხადებინა
სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. რა-
საკვირველია, ეს გარემოებები სრულებითაც
არ აკნინებდა ამ აქტის უდიდეს პოლიტიკურ და
სამართლებრივ მნიშვნელობას და მისი გათვა-
ლისწინება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებ-
ლობის აღდგენის აქტის შემუშავებისას აუცი-
ლებელი იყო.

როდესაც დამოუკიდებლობის აღდგენის აქ-
ტის პროექტი წარვუდგინე ზვიად გამსახურდი-
ას, მან თავისი ხელით რამდენიმე არსებითი
ცვლილება და დამატება შეიტანა მასში. მაგა-
ლითად, პროექტში ეწერა, რომ მე-19 საუკუნის
დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოებრი-
ობა დაკარგულ იქნა გარეშე ძალის ჩარევით.
ზვიად გამსახურდიამ ამის ნაცვლად ჩაწერა:
საქართველოს სახელმწიფოებრიობა ქართ-
ველმა ერმა მე-19 საუკუნის დასაწყისში და-
კარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს
ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების
შედეგად. პროექტში მითითებული იყო, რომ
„საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქარ-
თველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი
აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიე-
ბით...“. ზვიად გამსახურდიამ ამ აზრს ასეთი
დამატება წაუძღვარა: „საქართველო საბჭოთა
კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით
არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიო-
ბა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი
და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის
მქონეა, ვინაიდან დემოკრატიულ მთავრობას

კაპიტულაციამ ხელი არ მოუწერია“.
ზვიად გამსახურდიამ კიდევ ორი მნიშვნე-
ლოვანი დამატება შეიტანა პროექტში. ერთი
ეხებოდა ავტონომიებს, ხოლო მეორე საქარ-
თველოს საგარეო პოლიტიკას. პირველი და-
მატება ასეთი შინაარსის იყო: „საქართველოს
რესპუბლიკა ავტონომიის მტკიცე კონსტიტუცი-
ურ გარანტიას აძლევს აფხაზ ხალხს, ხოლო
აჭარის ავტონომიის საკითხი გადაწყდება რე-
ფერენდუმით. მეორე დამატების თანახმად, სა-
ხელმწიფოთა შორის ყოველგვარ სამხედრო
კონფლიქტებში საქართველო ნეიტრალურ სა-
ხელმწიფოდ უნდა დარჩენილიყო.

**ეს ორი დამატება საბოლოო ტექსტში არ შესუ-
ლა. იქ არსადაა ნახსენები არც აჭარა და არც ნე-
იტრალიტეტი. რა მოხდა?**

მე ჩემი მოსაზრებები მოვახსენე ზვიად გამ-
სახურდიას ამ ორი დამატების თაობაზე. ჩემი
აზრით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლო-
ბის აღდგენის აქტში ავტონომიის შესაძლო გა-
უქმების შესახებ თუნდაც მინიშნება, არ იქნებო-
და მიზანშეწონილი, მეტადრე იმ პირობებში,
როდესაც ერთი ავტონომია უკვე გაუქმებული
გვქონდა და იქ წარმოშობილი კონფლიქტი
კვლავაც გრძელდებოდა. რაც შეეხება ნეიტრა-
ლიტეტს, მართალია, ეს იდეა მომხიბვლელად
გამოიყურებოდა, თანაც 1918 წლის 26 მაისის
დამოუკიდებლობის აქტის დებულებას იმეო-
რებდა, მაგრამ იმ დროს, როდესაც ქვეყანას
ჯერ კიდევ არ გააჩნდა საკუთარი შეიარაღებუ-
ლი ძალები, ნეიტრალურად ყოფნა სახიფათო
იყო. საბჭოთა იმპერიისაგან თავის დახსნა და
შესაძლო აგრესიის არდაშვება, მით უმეტეს,
მოგერიება, ძლიერი მოკავშირეების გარეშე
შეუძლებელი იქნებოდა. ამასთანავე, ორივე
ამ საკითხს საერთაშორისო კონტექსტი ჰქონ-
და და მათი გადაწყვეტა მხოლოდ ჩვენს ნებაზე
არ იყო დამოკიდებული. საბოლოოდ, სახელ-
მწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის
აქტის პროექტიდან ორივე ეს დამატება ამოვი-
ღეთ, ხოლო აქტის მიღების დღედ 1991 წლის
9 აპრილი განისაზღვრა.

**ქვეყნის პირველი პრეზიდენტის სიკვდილზე ლე-
გენდები დადიოდა. იმდროინდელი ოპოზიცია**


“
ჩვენ ავტონომიის მტკიცე
გარანტიას ვაძლევთ აფხაზ
ხალხს და რაც შეეხება აჭარის
საკითხს, ის გადაწყდება
რეფერენდუმით.

**მას სწორედ ამის გამოც აკრიტიკებდა. ეს ფაქტი
კი საპირისპიროზე მეტყველებს.**

მასთან თავისუფლად შეიძლებოდა კამათი,
ოღონდ საფუძვლიანი არგუმენტებით. ის შეხე-
დულება, რომ გამსახურდია დიქტატორი იყო
და რასაც ერთხელ იტყოდა, იმას არ შეცვლიდა,
ასე არ იყო. ის უსმენდა სპეციალისტებს და ისე
იღებდა გადაწყვეტილებას. ამას ჩემი პირადი
გამოცდილებით ვამბობ. როგორც დავინახეთ,
სწორედ ასე იყო შემუშავებული სახელმწიფო-
ებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტიც,
რომელიც მრავალპარტიული, დემოკრატიული
გზით არჩეულმა უზენაესმა საბჭომ 1991 წლის
9 აპრილს ზვიად გამსახურდიას წინადადებით
ერთხმად მიიღო. ჩემთვის განსაკუთრებული
პატივია, რომ ამ აქტზე ჩემი ხელმოწერაა.

**როცა პრეზიდენტ გამსახურდიას მმართველო-
ბაზე ლაპარაკობენ, ყოველთვის რეფერენდუმსა
და დამოუკიდებლობის გამოცხადებას იხსენე-
ბენ. გარდა ამ ორი ეპოქალური ფაქტისა, კიდევ
რისი გაკეთება მოესწრო მმართველობის იმ ერთ
წელიწადში?**

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 1990
წლის მინურულსა და 1991 წლის დასაწყისში
იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით უზენაესი
საბჭოს მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტე-
ბის მთელი პაკეტი, რომელიც სრულიად ახლე-
ბურად განსაზღვრავდა საქართველოში სასა-
მართლო წყობილების, მოსამართლეთა სტა-
ტუსისა და სასამართლო ხელისუფლების სხვა
საკითხებს. ახალი კანონმდებლობით, საბჭოთა
სივრცეში პირველად, მოსამართლეები თანამ-
დებობაზე უნდა განწესებულიყვნენ 10 წლის ვა-
დით, რაც იმას ნიშნავდა, რომ მოსამართლეე-
ბი არ იქნებოდნენ დამოკიდებული ხელისუფ-
ლების მონაცვლეობაზე და, ამდენად, მათ და-
მოუკიდებლობას მყარი გარანტია ექნებოდა.





ლევან კალანდიაძე

ადვოკატი, შპს „სამართლებრივი და ფინანსური კონსალტინგი - მეტრიკას“ დამფუძნებელი პარტნიორი და დირექტორი, ყოფილი მოსამართლე



უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია

უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის საფუძველზე ეროვნულ სასამართლოებში და კონვენციის როლი შიდა კანონმდებლობაში

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მიღება წარმოადგენს კაცობრიობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს, რომელიც ინდივიდს აძლევს საშუალებას იცხოვროს თავისუფალი და ღირსეული ცხოვრებით.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის იდეა ემყარება თავისუფლებისა და კანონიერების იდეას.

1948 წელს ჰააგაში გამართულ ევროპის კონგრესზე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ადამიანის უფლებათა კონვენციის შექმნას, დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა განაცხადა, რომ „ამ მოძრაობის ცენტრში დგას ადამიანის უფლებათა ქარტიის მიღება, რომელიც მოცულია თავისუფლებით და გამყარებულია კანონით“^{*1}.



საზოგადოებათა მზარდი ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში, საერთაშორისო და ევროპულ კანონმდებლობას და პრეცედენტულ სამართალს გააჩნია მზარდი გავლენა ეროვნულ კანონმდებლობაზე და სასამართლო პრაქტიკაზე^{*2};

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის როლი ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ეროვნულ დონეზე კონვენცია საშუალებას

*1 <https://www.amnesty.org.uk/what-is-the-european-convention-on-human-rights>
*2 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2006 წლის 10 ნომბრის (CCJE) დასკვნა #9 (2006) საერთაშორისო და ევროპული სამართლის ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფის საქმეში ეროვნული მოსამართლეთა როლის შესახებ.
*3 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2006 წლის 10 ნომბრის (CCJE) დასკვნა #9 (2006);
*4 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2006 წლის 10 ნომბრის (CCJE) დასკვნა #9 (2006)
*5 IMPLEMENTATION OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS AND OF THE JUDGMENTS OF THE ECtHR IN NATIONAL CASE-LAW, A comparative analysis. Janneke GERARDS Joseph FLEUREN. Cambridge - Antwerp - Portland. 2014.
*6 ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

გვაძლევს დავიცვათ ადამიანის უფლებები დემოკრატიული ქვეყნების მიერ გაზიარებული კანონის უზენაესობის პრინციპის შესაბამისად^{*3}, და აღნიშნულით გარკვეულწილად, ჩვენი წვლილიც შევიტანოთ და მონაწილეობა მივიღოთ სამართლებრივი პრაქტიკის საერთაშორისო ევოლუციაში^{*4}.

კონვენციის პრეამბულა ხაზს უსვამს საყოველთაო დეკლარაციით გაცხადებულ გარკვეულ უფლებათა „ერთობლივი აღსრულების“ სისტემის მნიშვნელობას, ვინაიდან უფლებების ფუნდამენტური ხასიათიდან გამომდინარე, მიუღებელია მათი აღსრულება განხორციელდეს იმისდა მიხედვით, თუ სად ცხოვრობს ადამიანი.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ნაწილს და ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იერარქიულად საქართველოს ორგანულ კანონსა და საქართველოს კანონზე მაღალი ადგილი უჭირავს^{*6}. მსგავსი მიდგომა არსებობს საფრანგეთშიც, სადაც საერთაშორისო ხელშეკრულებები დგას შიდა კანონმდებლობაზე მაღლა, კერძოდ, იერარქიულად კონსტიტუციის შემდგომ და შესაბამისად საერთაშორისო აქტებს აქვს პირდაპირი მოქმედება. გერმანი-



აშიც, საერთაშორისო ხელშეკრულებები არის შიდა კანონმდებლობის ნაწილი (ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას გერმანიაში აქვს ფედერალური კანონის სტატუსი) და აქვს პირდაპირი მოქმედება ანუ პირდაპირ ქმნის უფლებებსა და ვალდებულებებს პირებისათვის. მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა მსგავს ჩანაწერს არ შეიცავს. მაგალითად, ბელგიას არ აქვს პირდაპირი ჩანაწერი კანონმდებლობაში, რომელიც ადგენს საერთაშორისო აქტების პრიორიტეტს შიდა კანონმდებლობასთან მიმართებით, თუმცა ზოგადი პრინციპი ბელგიაში ავალდებულებს სასამართლოებს, რომ უპირატესობა მიანიჭონ საერთაშორისო აქტებს და გარკვეულ პირობებში ამ აქტებს ეროვნულ დონეზე გააჩნიათ პირდაპირი მოქმედება. დიდ ბრიტანეთში არსებობს დუალისტური მიდგომა. სასამართლოები ვალდებულნი არიან გამოიყენონ შიდა კანონმდებლობა იმ შემთხვევაშიც კი,

თუ ეს არღვევს სახელმწიფოს ვალდებულებას საერთაშორისო სამართლით, თუმცა კანონმდებლობის განმარტება უნდა მოხდეს კონვენციასთან შესაბამისობაში*7.

შესაბამისად, ქართულ კანონმდებლობაში არსებული პირდაპირი ჩანაწერიდან გამომდინარე, ევროპულ კონვენციას შეუძლია წარმოშვას უფლებები და მოვალეობები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის და ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია, სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე დაეყრდნოს ევროპული კონვენციის დებულებებს და მის საფუძველზე ამტკიცოს ადამიანის უფლებათა დარღვევა*8.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კონვენციის ავთენტურ და ავტორიტეტულ განმარტებას იძლევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი... სწორედ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და კონვენციის ნორმათა შეფასებები იძლევა სამართლებრივი დეფინიციების სწორად აღქმის, გააზრებისა და შემდგომ შეფარდების შესაძლებლობას*9.

კონვენციაში ჩამოყალიბებული მრავალი ნორმა ძალზე ზოგადად არის ფორმულირებული და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გაანალიზების გარეშე

რთულია კონვენციის დებულებათა სწორად განმარტება და გამოყენება*10. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფუნქცია მართალია, ინდივიდუალური განაცხადების განხილვა არის, თუმცა სასამართლოს როლი ზოგადად მოიცავს, რომ განმარტოს და განავითაროს კონვენციით დაცული უფლებები*11.

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები არ წარმოადგენს უფლებების მხოლოდ საერთაშორისო დონეზე, საერთაშორისო სასამართლოში დაცვისა და აღიარების მექანიზმს და მის გამოყენება ეროვნულ დონეზე შესაძლებელია და მას განსაკუთრებული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია.

ამასთან, კონვენციის გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ ფუნდამენტური უფლებების დაცვის, არამედ ნებისმიერი სხვა უფლებების დაცვისა და რეალიზაციისათვის, მაგალითად, როგორცაა შრომის სათანადო პირობები და უსაფრთხოება, სოციალური დაცვის საკითხები, ჯანმრთელობის დაცვის საკითხები, რეპროდუქტიული უფლებები, საოჯახო უფლებები და ა.შ. კონვენციის პირდაპირი მოქმედების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყველა ამ უფლების დაცვა შესაძლებელია დაეფუძნოს სწორედ კონვენციის ტექსტს.

ქართულ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გავლენა არ არის მცირე, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირდაპირი გამოყენება იშვიათად ხდება. მხოლოდ ადამიანის უფლებათა კონვენციის საფუძველზე უფლებების დაცვის და ამ საფუძველით სასამართლოსათვის თუ ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის პრაქტიკა თითქმის არ არსებობს. აღნიშნული უმეტესწილად საზოგადოებაში ამ საკითხის მიმართ სამართლებრივი ცნობიერების ნაკლებობით აიხსნება. ამასთან, არ არსებობს ფართო პრაქტიკა საერთო სასამართლოების მიერ

*7 IMPLEMENTATION OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS AND OF THE JUDGMENTS OF THE ECtHR IN NATIONAL CASE-LAW, A comparative analysis. Janneke GERARDS Joseph FLEUREN. Cambridge - Antwerp - Portland. 2014.

*8 ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, კორკელია კონსტანტინე, 2007;

*9 საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017 წ. ნანა მჭედლიძე, გვ. 10; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე no. 2/13664-15

*10 საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017 წ. ნანა მჭედლიძე, გვ. 10; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე no. 2/13664-15


*11 Ireland v. the United Kingdom, ECtHR 18 January 1978, appl. no. 5310/71, para. 154.

*12 Evans v. The United Kingdom, 2007, Application no. 6339/05;

მხოლოდ კონვენციისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ეროვნული გადაწყვეტილებების მიღებისა თუ კონვენციის უპირატესი ძალის აღიარებით შიდა ნორმებისაგან განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღების.

ამ მხრივ, მცირე გამონაკლისთა სიაში არის 2015 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ემბრიონთან დაკავშირებით. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე დაფუძნებით იმ მოტივით, რომ შიდა კანონმდებლობა არასრულად აწესრიგებდა სადავო საკითხს. სასამართლომ გამოიყენა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში (ევანსი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ*12) ჩამოყალიბებული განმარტებები და ეროვნული გადაწყვეტილება ძირითადად დააფუძნა ამ გადაწყვეტილების სამართლებრივ მოტივაციას. ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილება საინტერესოა იმ მიმართებით, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული დასაბუთების, განმარტებებისა და პრინციპების შესა-

“
უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ნაწილს





ქვეყნის შიდა პრაქტიკაში კონვენციის გამოყენება ასევე ქმნის შესაძლებლობას სამართლებრივი საკითხის შეფასება ეროვნულ დონეზე მოხდეს

ბამისობითა და მათზე დაფუძნებით, ეროვნულ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებების შეფასებისას, თბილისის საქალაქო სასამართლომ, შეიძლება ითქვას, რომ დაადგინა უფლებების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი^{*13}. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი არის კონვენციით გათვალისწინებული უფლებების მინიმალური დაცვის სტანდარტების დადგენა. სახელმწიფომ ყოველთვის შესაძლოა დაადგინოს და წახალისებულია კიდევ, რომ დაადგინოს უფლებების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი^{*14}. სწორედ აღნიშნული განხორციელება მითითებული გადანაცვებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებას აქვს განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან კონვენცია მოიცავს მრავალი ხასიათის უფლებას, ფუნდამენტური უფლებებიდან დაწყებული, როგორცაა გამოხატვის თავისუფლება, გარემოს დაცვისა და სოციალური უფლებებით დასრულებული.

გარდა ამისა, კონვენცია სახელმწიფოებს აკისრებს მრავალ პოზიტიურ ვალდებულებას, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა და რომლებიც აძლევს ინდივიდებს თავიანთი უფლებების ეფექტურად სარგებლობის საშუალებას^{*15}.

ქვეყნის შიდა სამართლებრივ სივრცეში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სამართლებრივი ეფექტი არის დიდი, ვინაიდან მისი გამოყენების შედეგად სასამართლო უზრუნველყოფს პირის უფლებათა დაცვას უფრო მაღალი სტანდარტით, ვიდრე ასეთი დაცვა უზრუნველყოფილი იქნებოდა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის საფუძველზე^{*16} და, თავის მხრივ, ეს ამკვიდრებს თანასწორობისა და სამართლიანობის განცდას.

ქართულ რეალობაში უფრო ხშირია კონვენციისა და ევროპული სასამართლოს გადანაცვებით გამოყენება ორი ფორმით: საქმის გადანაცვებისათვის ანუ შედეგის განსაზღვრისათვის და როგორც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის განმარტების საშუალება^{*17}, თუმცა იშვიათია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანაცვებით გამოყენების შემთხვევები შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტსა და კონვენციის შორის კოლიზიის დროს. ამასთან, კოლიზიის შემთხვევების მითითება მოდავე მხარეთა მიერ ან მისი გამოკვლევა სასამართ-

ლოს მიერ, შესაძლოა, ხშირად არც კი ხდებოდეს.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანაცვებით ავალდებულებს ეროვნულ სასამართლოებს, რომ გაითვალისწინონ კონვენციის მოთხოვნები შიდა კანონმდებლობის და ხელშეკრულებების განმარტების დროსაც კი^{*18}. შესაბამისად, თავის მხრივ, მხარეებიც უფლებამოსილი არიან ხელშეკრულების განმარტებისას თავიანთი პოზიცია დაასაბუთონ კონვენციის საფუძველზე. კერძო პირებს შორის ურთიერთობებზე კონვენციის დებულებების გამოყენების ფართო პრაქტიკა არსებობს, მაგალითად, საფრანგეთში^{*19}.

რაც შეეხება ეროვნულ კანონმდებლობასა და ევროპულ კონვენციას შორის კოლიზიის შემთხვევებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანაცვებით, შიდა კანონმდებლობაში კონვენციის ინკორპორაციის მიუხედავად ავალდებულებს სასამართლოებს უპირატესობა მიანიჭონ კონვენციას. აღნიშნული გულისხმობს შიდა კანონმდებლობის გვერდზე გადადებას, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციას და ურთიერთობების მოწესრიგებას სწორედ კონვენციის საფუძველზე^{*20}.

ქვეყნის შიდა პრაქტიკაში კონვენციის გამოყენება ასევე ქმნის შესაძლებლობას სამართლებრივი საკითხის შეფასება ეროვნულ დონეზე მოხდეს ქვეყნის კულტურული, საზოგადოებრივი და სხვა მოთხოვნილებების ჭრილში და ამით უზრუნველყოფილ იქნეს კონვენციის განმარტება „დღევანდელი პირობების გათვალისწინებით“, რათა ინდივიდმა შეძლოს საკუთარი უფლებების „პრაქტიკული და ეფექტური გამოყენება^{*21}“, მიღწეულ იქნეს თანასწორობა და სამართლიანობა, თუმცა, თავის მხრივ, ეს გულისხმობს უფლებების განმარტებას, რომელიც შესაბამისობაშია კონვენციის „ზოგად სულისკვეთებასთან^{*22}“ და უზრუნველყოფს „დემოკრატიული საზოგადოების იდეალებისა და ღირებულებების დამკვიდრებასა და განვითარებას^{*23}“.

*13 <https://www.osgf.ge/files/2016/emryonew.pdf>;

*14 IMPLEMENTATION OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS AND OF THE JUDGMENTS OF THE ECtHR IN NATIONAL CASE-LAW, A comparative analysis. Janneke GERARDS Joseph FLEUREN. Cambridge - Antwerp - Portland. 2014.;

*15 IMPLEMENTATION OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS AND OF THE JUDGMENTS OF THE ECtHR IN NATIONAL CASE-LAW, A comparative analysis. Janneke GERARDS Joseph FLEUREN. Cambridge - Antwerp - Portland. 2014.

*16 ვ. კორკელია, ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, 2003წ.

*17 ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, კორკელია კონსტანტინე, 2007, გვ. 43;

*18 Pia and Puncernau v. Andorra;

*19 IMPLEMENTATION OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS AND OF THE JUDGMENTS OF THE ECtHR IN NATIONAL CASE-LAW, A comparative analysis. Janneke GERARDS Joseph FLEUREN. Cambridge - Antwerp - Portland. 2014.

*20 Fabris v. France, ECtHR (GC) 7 February 2013, appl. no. 16574/08, para. 72.

*21 Tyrer v. the United Kingdom, ECtHR 25 April 1978, appl. no. 5856/72 and, more recently, Demir and Baykara v. Turkey, ECtHR (GC) 12 November 2008, appl. no. 34503/97;

*22 Soering v. UK, ECtHR 7 July 1989, appl. no. 14038/88;

*23 Soering v. UK, ECtHR 7 July 1989, appl. no. 14038/88;



სასამართლო ახალ რეალობაში



ინტერვიუ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლესთან, სამართლის დოქტორთან, **ალექსანდრე წულაძესთან**

მოგესალმებით. პირველ რიგში, მსურს, მადლობა გადაგიხადოთ, რომ დაგვითმეთ დრო იურიდიული დახმარების სამსახურის ჟურნალისთვის ინტერვიუს ჩასაწერად.

მოგესალმებით და გილოცავთ ამ ახალ წამოწყებას. ვიმედოვნებ, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის სამართლებრივი ჟურნალი ბიძგს მისცემს იურისტებს შორის აკადემიური დისკუსიის წარმართვას, რითაც გაამდიდრებს ქართულ სამართლებრივ სივრცეს და ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას.

ვინაიდან დღეს მსოფლიოს მთავარ გამოწვევას კორონავირუსთან (COVID-19) ბრძოლა წარმოადგენს, ინტერვიუს სწორედ ამ საკითხით დავიწყებ. საინტერესოა, რა გავლენა მოახდინა პანდემიამ საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელებაზე?

მოგესხენებათ, კორონავირუსმა ჩვენი საზოგადოება ყველა მიმართულებით ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. სასამართლო სისტემა, რა თქმა უნდა, ვერ იქნებოდა გამონაკლისი. სასამართლო ხელისუფლება, ერთი მხრივ, ცდილობს, დაიცვას მოქალაქეებისა და თა-

პროცესების დიდი ნაწილი ჩატარდა დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.



ნამშრომლების ჯანმრთელობა, მეორე მხრივ კი – სამართლიანი სასამართლოს, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობისა და პროცესის საჯაროობის პრინციპები. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სასამართლოებს არცერთი დღით შეუწყვეტიათ მუშაობა, ხოლო პროცესების დიდი ნაწილი ჩატარდა დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

აღსანიშნავია ასევე, რომ მხარეთა პროცესუალური და მატერიალური უფლებების სათანადო ხარისხით რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მომენტიდან e-court-ის პლატფორმის ყველა პაკეტი სასამართლოს მომხმარებლებისათვის უფასოდ ხელმისაწვდომი გახდა. შესაბამისად, მოქალაქეებს, შეზღუდვების პირობებშიც კი, ჰქონდათ შესაძლებლობა, სასამართლოში მიუსვლელად – სახლიდან გადაეგზავნათ ნებისმიერი პროცესუალური დოკუმენტი. მიუხედავად ასეთი შესაძლებლობის არსებობისა, სასამართლომ მაქსიმალურად გაითვალისწინა ქვეყანაში არსებული შეზღუდვები და ადმინისტრაციულ საქმეებზე ფიზიკური თუ კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვის სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადა არაერთ საქმეზე გაგრძელდა, რათა მხარეებს ჰქონოდათ კანონიერი ინტერესების დაცვის სრულყოფილი შესაძლებლობა და არ დარღვეულიყო სასამართლოსადმი მომართვის კონსტიტუციური უფლება. რა თქმა უნდა, იგივე შეღავათები არ გავრცელებულა ადმინისტრაციულ ორგანოთა მიმართ, მათი დანიშნულების, მოვალეობებისა და რესურსის გათვალისწინებით.

შეიცვალა თუ არა ადვოკატის როლი ახალ რეალობაში?

პროცესის ნებისმიერი ფორმით ჩატარებისას (იქნება ეს დისტანციური ფორმით თუ სასამარ-

პროცესის ჯეროვნად წარმართვისთვის, აუცილებელია, ადვოკატი სიღრმისეულად იცნობდეს ალტერნატიული საშუალებების ბუნებას

თლო სხდომის დარბაზში გამართული), რასაკვირველია, მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სრულყოფილად დასაცავად უმნიშვნელოვანესია ჯეროვანი და კვალიფიციური წარმომადგენლობა, რომლის როლი და დანიშნულებაც თანამედროვე სამყაროში სულ უფრო იზრდება როგორც შინაარსობრივი, ისე პროცესუალური თვალსაზრისით. კერძოდ, სამართლებრივ მრჩეველს, გარდა ტრადიციული უნარებისა (კვლევა, სამართლებრივი წერა, რიტორიკა და ა.შ.), დღეს უკვე მოეთხოვება „ქეისის კარგი მენეჯერობა“, რაც გულისხმობს კლიენტის ინტერესებისა და კონკრეტული საქმის თავისებურებიდან გამომდინარე, დავის გადაწყვეტის საშუალებებს შორის (სასამართლო, არბიტრაჟი, მედიაცია, მოლაპარაკება) საუკეთესო შედეგის ნაკლები დანახარჯით მომტანი გზის თაობაზე კლიენტის სათანადო ინფორმირებას და მისი თანხმობის შემთხვევაში საქმის მართვის შესაბამის დაგეგმვას (თანმიმდევრულობის განსაზღვრას). ცხადია, მითითებული პროცესის ჯეროვნად წარმართვისთვის, აუცილებელია, ადვოკატი სიღრმისეულად იცნობდეს ალტერნატიული საშუალებების ბუნებას და თითოეული მათგანის სპეციფიკის გათვალისწინებით შეთავაზოს კლიენტს ქეისის დაგეგმვა. მაგალითად, ადვოკატი სასამართ-



ლოში წარმომადგენლობისგან განსხვავებულად უნდა მოემზადოს მედიაციისთვის და განსხვავებულად წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მედიაციის მსვლელობისას. აღნიშნული განსხვავების აუცილებლობა თავად სასამართლოსა და მედიაციის პროცესის მიმდინარეობის, მიზნებისა და შედეგების სხვაობით არის გამოწვეული. სასამართლო პროცესში მონაწილეობა ეფუძნება შეჯიბრებითობის პრინციპს, ხოლო მედიაცია – საკუთარი და მეორე მხარის ინტერესების გააზრებით ურთიერთსასარგებლო (ინფორმირებული) არჩევანის გაკეთებისას. ასევე, დავის სასამართლოში განხილვისას მართებულია საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმაზე (მის წინაპირობებზე) მითითება, ფაქტების მათზე მისადაგება და მესამე ნეიტრალური პირის – მოსამართლის საკუთარ სიმართლეში დარწმუნება, რაც მედიაციის დროს ნაკლებად არის შედეგის მომტანი ქმედება, ვინაიდან მედიატორი არ არის აღჭურვილი დავის საკუთარი შეხებულებისამებრ გადაწყვეტის უფლებამოსილებით. მაშასადამე, უშედეგოა მისი დარწმუნება ჩვენი პოზიციის სამართლიანობაში და რო-



გორც წესი, არ არსებობს გამოსაყენებელ კანონმდებლობაზე მსჯელობის საჭიროება. ამის სანაცვლოდ, ადვოკატმა მედიაციის პროცესის ისეთ მსვლელობას უნდა შეუწყოს ხელი რომელიც დაეხმარება მის კლიენტს ოპონენტის ინტერესების გააზრებაში და მედიატორის დახმარებით საკუთარი ინტერესების მეორე მხარისთვის უსაფრთხოდ და გასაგებად მიწოდებაში. ასევე, თუ სასამართლოში წარმომადგენელს ევალუება პროცესის წაყვანა, მედიაციაში პროტაგონისტის როლი კლიენტს უნდა დავუთმოთ, ვინაიდან არავინ შეიძლება იცოდეს კლიენტის ნამდვილი ინტერესი მასზე უკეთ, ხოლო ადვოკატი მას მხარს უნდა უმაგრებდეს, აზღვევდეს სამართლებრივი შეცდომისაგან. წარმომადგენლების ამგვარი მიდგომა ამართლებს მედიაციის პროცესში და ხდის შესაძლებელს ორმხრივად სასარგებლო გამოსავლის პოვნას.

დასანანია და ვფიქრობ, ადვოკატის მხრიდან „ქეისის არასწორ მენეჯმენტს“ აქვს ადგილი, როდესაც შესაძლებელია ორმხრივად სასარგებლო პირობით მხარეთა მორიგება, თუმცა ადვოკატები არჩევენ მხოლოდ სასამართლოს გზით დავის გადაწყვეტას, რადგან წინასწარ გამორიცხავენ დავის მორიგებით დასრულების შესაძლებლობას ან არაეფექტიანი მიდგომით მონაწილეობენ მედიაციის პროცესში.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედება.



გასაგებია თქვენი პოზიცია სასამართლოსა და ადვოკატის როლთან დაკავშირებით, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია საკანონმდებლო სიახლეები. აღსანიშნავია, რომ 2019-2020 წლებში არაერთი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა. თქვენ რომელ მათგანზე გაამახვილებდით ყურადღებას?

ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედება. აღნიშნული კოდექსი ხაზს უსვამს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გატარების აუცილებლობას, განამტკიცებს ბავშვის უფლებას – მოსმენილ იქნეს და რაც მთავარია, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ეროვნული სისტემის ფუნქციონირების მიზნით, ითვალისწინებს შესაბამისი პროგრამების შექმნას. ასევე, საყურადღებოა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ამოქმედდება 2021 წლიდან და მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით უზრუნველყოფილი უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული დაბრკოლებების აღმოფხვრას.

საკულისხმოა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულმა პალატამ უკვე განიხილა დავა, რომელშიც სწორედ ბავშვის უფლებათა კოდექსის მიზნებისა და სულისკვეთების გათვალისწინებით, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით დადგენილი უფლება-მოვალეობების მხედველობაში მიღებით, სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უნდა შეუქმნას გარემო, რომელშიც იგი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, სრულყოფილ მონაწილეობას

ყურადღებას გავამახვილებდი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან დაკავშირებით გაკეთებულ განმარტებებზე.



შეძლებს. როდესაც საკითხი ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს, აუცილებელია, რომ მას ჰქონდეს სათანადოდ განვითარების რეალური შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც სახელმწიფო გადასცემს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დევნილს საცხოვრებელ სახლს, ადმინისტრაციულმა ორგანომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ასეთი პირის ინდივიდუალური საჭიროებანი (საქმე №ბს-456(კ-20)).

გარდა ზემოაღნიშნულისა, ვინაიდან ქალთა მიმართ ძალადობა ჯერ კიდევ რჩება ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად, გამოვყოფდი ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით განხორციელებულ ცვლილებებს, კერძოდ, – ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსის გავლის დამატებას იმ საკითხთა ჩამონათვალზე, რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული დამცავ ორდერში. აქამდე არსებული რეგულაციები მთლიანად მორგებული იყო მსხვერპლისა და მოძალადის განცალკევებაზე, თუმცა, შემაკავებელი/დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ხშირად იმავე ძალადობრივი ქმედებების განმეორებას ჰქონდა ადგილი. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, მსგავსი ცვლილებები ხელს შეუწყობს ქალთა ძალადობისგან დაცვას და რაც მთავარია, არა მარტო მოკლევადიან პერიოდში, არამედ უფრო ფართო პერსპექტივაშიც.

“ მთელ მსოფლიოში 2020 წლის მთავარი გამოწვევა, რა თქმა უნდა, პანდემია იყო

გარდა თქვენ მიერ ნახსენები საქმისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიმდინარე პერიოდში გაკეთებულ კიდევ რომელ განმარტებას მიიჩნევთ განსაკუთრებით საინტერესოდ და მნიშვნელოვნად?

მინდა, აღვნიშნო, რომ მიუხედავად ობიექტურ მიზეზთა გამო გამოწვეული შეფერხებისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მხლოდ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2020 წელს განიხილა და გადაწყვიტა 1000-მდე საქმე და გაკეთდა არაერთი მნიშვნელოვანი განმარტება. ყურადღებას გავამახვილებდი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან დაკავშირებით გაკეთებულ განმარტებებზე. მათ შორის, საკასაციო სასამართლომ განმარტა მითითებული კანონით შემოღებული მობილობის ინსტიტუტის მნიშვნელობა და მისი ჰეროვნად გამოყენების აუცილებლობა, რაც საჯარო სამსახურის უწყვეტობის, სტაბილურობისა და საჯარო სამსახურში პროფესიონალი კადრის შენარჩუნების მიზანს ემსახურება (საქმე №ბს-38(კ-20)). კერძოდ, მობილობამ უნდა უზრუნველყოს შტატების შემცირების შედეგად თანამდებობიდან გასათავისუფლებელ პროფესიულ საჯარო მოხელეთა ხელახალი დასაქმება. ამ მიზნით, თავდაპირველად, საჯარო დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს შიდა მობილობის მექანიზმი – რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან /და სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის პროცესში შემცირებულ თანამდებობაზე დასაქმებულ მოხელეს საჯარო დაწესებულებამ ჯერ უნდა შესთავაზოს იმავე საჯარო დაწესებულებაში არსებულ ტოლფას თანამდებობაზე დასაქმება, ხოლო თუ აღნიშნული შეუძლებელია, უნდა დაიწყოს გარე მობილობასთან დაკავშირებული პროცედურა – შემცირებას დაქვემდებარებული პირების შესახებ ინფორმაცია უნდა მიენოდოს საჯარო სამსახურის ბიუროს, რომელმაც დადგინდეს ვადაში ელექტრონულად

უნდა მოიძიოს ინფორმაცია სხვა საჯარო დაწესებულებებში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობების შესახებ. მოხელის რეზერვში ჩარიცხვა უნდა მოხდეს მხოლოდ მობილობის პროცედურის წარუმატებლად დასრულების შემდგომ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სააპელაციო/საკასაციო საჩივარზე უარის თქმისას, რამდენად ენიჭება სასამართლოს საჩივარზე უარის თქმის კანონიერების შემოწმების უფლებამოსილება (საქმე №ბს-1163(კ-18)). საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა არ უთანაბრდება სარჩელის ცნობას, რომლის კანონიერებაც ექვემდებარება სასამართლოს მიერ გადამოწმებას, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვისას დავაზე უკვე გამოტანილია სასამართლოს გადაწყვეტილება და დავა არსებითად ერთხელ უკვე გადაწყვეტილია. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ ერთ ინსტანციაში დავის დასრულების შემდეგ მხარეები თავად წყვეტენ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანის საკითხს. ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათის მიუხედავად, თავად უფლება სააპელაციო საჩივარზე დისპოზიციური ბუნებისაა. ასეთ შემთხვევაში პროცესუალურად ადმინისტრაციული ორგანოს დისპოზიციურობა შეუზღუდავია და სააპელაციო/საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი, შეამოწმოს სააპელაციო/საკასაციო საჩივარზე უარის თქმის კანონიერება, რაც არ გამორიცხავს ზემდგომ ინსტანციებში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში უარის ან ზემდგომ ინსტანციებში მხარეთა შორის დადებული მორიგების აქტის კანონიერების სასამართლოს მიერ შემოწმების შესაძლებლობას.

მართლმსაჯულების სფეროში საერთაშორისო დონეზე განვითარებულ მოვლენებზეც რომ გკითხოთ, რა მოხდა აღსანიშნავი მიმდინარე წელს?

მთელ მსოფლიოში 2020 წლის მთავარი გამოწვევა, რა თქმა უნდა, პანდემია იყო, რომლის



გამოც გაუქმდა და გადაიდო არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება. ამასთან, აუცილებელი გახდა პანდემიის პირობებში მართლმსაჯულების დაუბრკოლებლად განხორციელებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. მათ შორის აღსანიშნავია, რომ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულმა საბჭომ (CEPEJ) დაასრულა ახალ დასკვნაზე (№15 (2020)) მუშაობა, რომელიც შეეხება პროკურორთა როლსა და მათი საქმიანობის მნიშვნელობას პანდემიის პირობებში. ასევე, საყურადღებოა ევროპელ მოსამართლეთა ასოციაციის მიერ რამდენიმე კვირის წინ ევროკომისიისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც საუბარია სასამართლოს დამოუკიდებლობისადმი სახელისუფლებო და ანტისახელისუფლებო პროპაგანდისტული მედია საშუალებების მხრიდან მიმდინარე სისტემური შეტევების შესახებ. აღნიშნული პროცესი მოიცავს მოსამართლეთა წინააღმდეგ წარმოებულ სხვადასხვა მოქმედებას, მათ შორის, უნდობლობის და რიგ შემთხვევებში – სიძულვილის გამაღვივებელი ინსტიტუციონიზირებული PR-კამპანიების წარმოებას, მოსამართლეთა შერჩევა-დანაშინების პროცესის პოლიტიზირებას და ა.შ.

თქვენ ისაუბრეთ არსებულ მდგომარეობაზე, თუმცა, სანამ ინტერვიუს დავასრულებთ, საინტერესოა თქვენი მოსაზრება, პოსტკოვიდური კრიზისის დაძლევის მიზნებისთვის, რა როლი ექნება

სასამართლო ხელისუფლებას და შექნილ იქნა თუ არა ახალი გამოცდილება, რაც სამომავლოდაც გამოსადეგი იქნება მართლმსაჯულების სწრაფად და ეფექტურად განხორციელებისთვის?

სასამართლო სისტემის უპირველეს ამოცანას 2021 წელს ჩვენი საზოგადოებისთვის ცხოვრების ნორმალურ, ჩვეულ რიტმში დაბრუნების ხელშეწყობა წარმოადგენს. უდავოა, რომ სამართლიანი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება ეკონომიკური აქტივობის აღდგენის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. აქედან გამომდინარე, ჩვენი ძალისხმევა მიმართული იქნება დაგროვებული (მომლოდინე) საქმეების ეფექტური განხილვისკენ. ამასთან, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია, პანდემიის პერიოდში მიღებული გამოცდილების მომავალში სწორი გააზრება და გამოყენება. მათ შორის, განსაკუთრებით საყურადღებოა პროცესების დისტანციურად ჩატარების საკითხი. შესაძლებელია, ვიფიქროთ სამომავლოდ პროცესის ელექტრონული პლატფორმების დახმარებით ჩატარებაზე, რა თქმა უნდა, გარკვეული კატეგორიის საქმეებზე და გარკვეულ ეტაპზე, იმ ფარგლებში, რაც ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ეფექტურად და ნაკლები დანახარჯით განხორციელებას.

დიდი მადლობა საინტერესო ინტერვიუსთვის.

ესაუბრა მარიამ ბერიძე



ნინო მელაძე

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის პირველი მოადგილე



დისტანციური სამართალწარმოება: საერთაშორისო გამოცდილება, გამოწვევები და შესაძლებლობები

ჩვენ ვცხოვრობთ ტექნოლოგიური რევოლუციის ეპოქაში, სადაც ვირტუალური სამყარო, ინფორმაციული ტექნოლოგიები და ონლაინ კომუნიკაცია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ტექნოლოგიური პროგრესი გარდაუვალი პროცესია, რომელიც ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროში ჰპოვებს ასახვას და გამოწვევებს ამ მხრივ არც მართლმსაჯულების სისტემა წარმოადგენს.

ტექნოლოგიური ინოვაციები გვაძლევს შესაძლებლობებს გავაუმჯობესოთ, გავამარტივოთ, უფრო ხელმისაწვდომი გავხადოთ სერვისები, თუმცა პოზიტიურ გავლენასთან ერთად გვთავაზობს ასევე გამოწვევებს

საერთაშორისო დონეზე არსებობს საერთო კონსენსუსი, იმასთან დაკავშირებით, რომ მართლმსაჯულების სისტემა ვერ დარჩება განვითარების პროცესის მიღმა^{*1}, თუმცა მნიშვნელოვანია სწორად შეფასდეს მოდერნიზაციის პროცესების გავლენა სამართალწარმოებაზე და ტექნოლოგიების დანერგვა მოხდეს საფუძლიანი ანალიზის შედეგად, რათა მართლმსაჯულების სათანადო განხორციელება და ფუნდამენტური პრინციპების რეალიზაცია არ დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ.

თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სხვადასხვა ფორმით წარმოდგენილია და დანერგილია როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, ისე ქართული მართლმსაჯულების სისტემაში. თუმცა, გლო-

ბალური პანდემია გვიბიძგებს უარი ვთქვათ ეტაპობრივი და ბუნებრივი განვითარების პროცესზე, გარკვეულწილად, მომავალი ვაქციით დღევანდელობად და სრულფასოვნად და მოკლე დროში ავითვისოთ დისტანციური სამართალწარმოების შესაძლებლობები. ამ მიზნით, წინამდებარე სტატია შეიცავს საერთაშორისო პრაქტიკის, გამოწვევებისა და შესაძლებლობების ანალიზს.

ელექტრონული საშუალებებით სამართალწარმოების განხორციელება (ელექტრონული საქმეები, ინტერნეტ პორტალი, ვიდეოკონფერენციები, საქმეთა მართვის სისტემები და ინფორმაციის გაცვლის ბაზები^{*2}) გლობალური პანდემიამიის დაწყებამდეც აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა და იგი განხილულია და წახალისებულია მრავალი საერთაშორისო აქტით^{*3}. ამ აქტებში გაანალიზებულია ვიდეოკონფერენციის გამოყენებით მართლმსაჯულების განხორციელების ორგანიზაციული, ტექნიკური და იურიდიული ასპექტები (მათ შორის, ისეთი საკითხებიც, როგორცაა ვიდეოს გარჩევადობა, სახის გამომეტყველების, ხმისა და შესტების აღქმადობა, მხარეების, ასევე აღჭურვილობის განლაგება და ა.შ.) და დადგენილია მათი სტანდარტები.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2015 წლის 10 ნოემბრის დოკუმენტში (სასამართლოზე და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა: პოტენციალი და გამოწვევები) ყურადღება გამახვილებულია, დისტანციური სამართალწარმოების უპირატესობებზე. მათ შორის არის ფინანსური რესურსის დაზოგვა, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, სამართალწარმოების დაჩქარება^{*4}, მონაწილეთა დაცვა^{*5}, შებენიანი შესაძლებლობების მქონე პირებისთვის სასამართლოზე ეფექტური წვდომა^{*6}, უსაფრთხოება (პატიმართა გადაყვანისას)^{*7}. ამ დოკუმენტის მიხედვით, დისტანციური სამართალწარმოების გამოწვევები მოიცავს შემდეგ საკითხებს: ტექნიკური საკითხები, ადამიანთა არაკომპეტენტურობა ონლაინ რესურსებზე წვდომის თვალსაზრისით, პერსონალუ-

- *1 CEPEJ (2016)13, EUROPEAN COMMISSION FOR THE EFFICIENCY OF JUSTICE (CEPEJ), Guidelines on how to drive change towards Cyberjustice, 7 November, 2016.
- *2 სამართალწარმოებასა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის: პოტენციალი და გამოწვევები ევრო საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2015 წლის 10 ნოემბრის ანგარიში (Doc. 13918) მე-3 პუნქტი);
- *3 ევროკავშირის 2019-2023 სტრატეგია (მე-3 თავის „B“ პუნქტის მე-20 ქვეპუნქტი); ევრო პარლამენტისა და საბჭოს 2007 წლის 11 ივლისის No 861/2007 რეგულაცია, რომელიც ეხება ევროპის მცირე დავების განხილვის პროცედურა; ტრანსსასაზღვრო სამართალწარმოებაში ვიდეოკონფერენციის შესახებ ევროსაბჭოს გენერალური სამდივნოს სახელმძღვანელო;
- *4 სამართალწარმოებასა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის: პოტენციალი და გამოწვევები ევრო საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2015 წლის 10 ნოემბრის ანგარიში (Doc. 13918);
- *5 ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1784 (2011)1, მონაწილეთა დაცვა, როგორც ქვაკუთხედი სამართლიანობისთვის და შერიგებისთვის ბალკანეთში;
- *6 სამართალწარმოებასა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის: პოტენციალი და გამოწვევები ევრო საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2015 წლის 10 ნოემბრის ანგარიში (Doc. 13918);
- *7 The U.S. Department of Justice and prepared the following final report: Research on Videoconferencing at PostArrestment, Robin Davis, Ph.D., Billie Jo Matelevich-Hoang, J.D., Alexandra Barton, B.A., Sara DebusSherrill, M.A., Emily Niedzwiecki, M.S.Document No.: 248902, Date Received: June 2015, Award Number: GS-23F-8182H; 3.
- *8 სამართალწარმოებასა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის: პოტენციალი და გამოწვევები ევრო საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2015 წლის 10 ნოემბრის ანგარიში (Doc. 13918);

რი მონაცემების დაცვა, ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5, მე-6 და მე-13 მუხლებთან დაკავშირებული უფლებების გათვალისწინება^{*8} – კლიენტისა და ადვოკატის კომუნიკაციის კონფიდენციალობა სასამართლო პროცესის დაწყებამდე, მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ, ასევე პროცესის საჯაროობის/ზეპირობის და უშუალობის პრინციპები. გარდა აღ-

“ ელექტრონული საშუალებებით სამართალწარმოების განხორციელება გლობალური პანდემიის დაწყებამდეც აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა



“ დიდ ბრიტანეთში, სამოქალაქო სამართალწარმოებაში ვიდეო კონფერენციის გამოყენება დასაშვებია 1999 წლიდან

ნიშნულისა, დისტანციური სამართალწარმოების დროს, გასათვალისწინებელია პირდაპირი და არაპირდაპირი კომუნიკაციის ფსიქოლოგიური ასპექტებიც^{*9}.

დისტანციური საშუალებებით სასამართლოს სხდომების ან მისი ნაწილის ჩატარების პრაქტიკა მსოფლიოს მასშტაბით არაერთ განვითარებულ ქვეყანაში უკვე ათეული წლებია არსებობს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიდეოკონფერენცია პირველად გამოიყენეს ჯერ კიდევ 1972 წელს, ილინოისის სასამართლოში, სადაც ბრალდებულისათვის გირაოს შეფარდების საკითხი სასამართლომ განიხილა ვიდეოტელეფონის საშუალებით. ამის შემდგომ ვიდეოკონფერენციით ყველაზე ხშირად ტარდება სწორედ აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების სხდომები^{*10}, თუმცა, დასაშვებია სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განხილვა^{*11}, სასჯელის განსაზღვრის საკითხების, ასევე სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეების განხილვა (რა დროსაც ბრალდებული შესაძლოა განთავსებული იყოს დროებითი მოთავსების იზოლაციაში ან პოლიციის შენობაში^{*12}, ხოლო მოსამართლე და ადვოკატი სასამართლოს სხდომის დარბაზში)^{*13}.

დიდ ბრიტანეთში, სამოქალაქო სამართალწარმოებაში ვიდეოკონფერენციის გამოყენება დასაშვებია 1999 წლიდან (1999 წლის სასამართლოს ხელმისაწვდომობის აქტი)^{*14}. იტალიაში, მაფიასთან დაკავშირებული საქმეების განხილვის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ 1992 წელს იქნა დაშვებული ვიდეოკონფერენციების გამოყენება^{*15}.

სამართალწარმოების მიზნებისთვის ვიდეოკონფერენციები ფართოდ გამოიყენება კანადაში, ფინეთში, ავსტრალიაში, გერმანიაში, ბელგიაში, ირლანდიაში^{*16}, ჩეხეთში, ესტონეთში და ა.შ.^{*17}. ირლანდიაში და ლატვიაში გადახედისუნარო მონშეეთა ჩვენების მიცემისათვის არსებობს სპეციალური დისტანციური სერვისები^{*18}. მონშის დაკითხვა ვიდეოკონფერენციის საშუალებით დასაშვებია კანადაში, ბელგიაში, ავსტრალიაში და ა.შ.^{*19}. კანადაში, 2016 წლის შემდგომ, სამოქალაქო საქმეებზე ვიდეოკონფერენციით შესაძლებელია ჩატარდეს წინასასამართლო სხდომები, მონშის ჩვენების მიცემა, მხარეთა საკამათო სიტყვის წარმოთქმა, სააპელაციო წარმოება. ამასთან, ვიდეოკონფერენციით პროცესის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს^{*20}: მტკიცებულების მნიშვნელობა საქმის გარემოების დადგენისათვის, სასამართლოს შესაძლებლობა, გააკეთოს დასკვნები



და განსაზღვროს მონშის სანდობა, მონშის ქმედებებზე დაკვირვების საშუალება, მხარისა და ადვოკატის, მონშის შეუძლებლობა, დაესწროს პროცესს ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო, ვიდეოკონფერენციით სხდომის ჩატარების შესახებ მხარეთა პოზიციებს შორის ბალანსი, ასევე სხვა რელევანტური ფაქტორები.

ელექტრონული საშუალებებით სამართალწარმოების განხორციელება სამართლიანი სასამართლოს უფლების (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-6 მუხლი) რეალიზაციის კონტექსტში განხილულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ.

საქმეში – „სახნოვსკი რუსეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ვიდეობმულის გამოყენებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ ფორმით პროცესში მონაწილეობა, თავის მხრივ, არ არის შეუთავსებელი საქმის სამართლიან და საჯარო განხილვის ცნებასთან. თუმცა, უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, რომ განმცხადებელმა მიაღწევოს თვალი პროცესს და იქნეს მოსმენილი ყოველგვარი ტექნიკური დაბრკოლების გარეშე და ასევე, ადვოკატთან ეფექტური და კონფიდენციალური კომუნიკაცია იყოს უზრუნველყოფილი^{*21}.

საქმეში – „მარჩელო ვიოლა იტალიის წინააღმდეგ“^{*22}, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დისტანციური საშუალებებით სასამართლო პროცესების ჩატარებასთან დაკავშირებულ გარკვეულ გარემოებებზე. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ ბრალდებულის მონაწილეობა პროცესში ვიდეოკონფერენციით არ არის წინააღმდეგობაში კონვენციასთან. თუმცა, პროცესის მიმდინარეობა უნდა შეესაბამებოდეს მე-6 მუხლის მოთხოვნებს და ამ უფლების რეალიზაცია უნდა იყოს პრაქტიკული და ეფექტური. სასამართლომ აქცენტები გააკეთა შემდეგ საკითხებზე: მოცემულ საქმეში იტალიის კანონმდებლობა ითვალისწინებდა ვიდეოკონფერენციით მონაწილეობას, კანონმდებლის მიზანი იყო საქმის დროული განხილვის უზრუნველყოფა და პროცესის დანქარება, საქმე ეხებოდა მაფიას და ამ დროს საჭირო იყო საზოგადოების დაცვა და სხვა დანაშაულის თავიდან აცილება, ბრალდებულის მონაწილეობა ვიდეოკონფერენციით ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზნს: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, დანაშაულის თავიდან აცილებას, მონშეთა სიცოცხლის დაცვას, თავისუფლებას და უსაფრთხოებას და საქმის დროულ განხილვას, ვიდეოკონფერენციის დროს ბრალდებულს ჰქონდა შესაძლებლობა ყოფილიყო დანახული და მოსმენილი და ის

- *9 The Impact of Video Proceedings on Fairness and Access to Justice in Court, By Alicia Bannon and Janna Adelstein PUBLISHED SEPTEMBER 10, 2020;
- *10 Videoconferencing in the Courts: An Exploratory Study of Videoconferencing Impact on the Attorney-Client Relationship in Massachusetts. A dissertation presented By Eric T., Northeastern University Boston, 2015;
- *11 The U.S. Department of Justice and prepared the following final report: Research on Videoconferencing at PostArrestment, Robin Davis, Ph.D., Billie Jo Matelevich-Hoang, J.D., Alexandra Barton, B.A., Sara DebusSherrill, M.A., Emily Niedzwiecki, M.S.Document No.: 248902, Date Received: June 2015, Award Number: GS-23F-8182H;
- *12 Evert-Jan van der Vlis, Ministry of Security and Justice, The Hague Videoconferencing in criminal proceedings;
- *13 The U.S. Department of Justice and prepared the following final report: Research on Videoconferencing at PostArrestment, Robin Davis, Ph.D., Billie Jo Matelevich-Hoang, J.D., Alexandra Barton, B.A., Sara DebusSherrill, M.A., Emily Niedzwiecki, M.S.Document No.: 248902, Date Received: June 2015, Award Number: GS-23F-8182H;
- *14 Ministry of Justice and the justice system on GOV.UK, official website;
- *15 Evert-Jan van der Vlis, Ministry of Security and Justice, The Hague Videoconferencing in criminal proceedings;
- *16 Videoconferencing as a part of European e-Justice, 2009, Videoconferencing in Crossborder Court Proceedings Facilitating the Use with Documentation, Ministry of Justice, Finland;
- *17 Taking evidence by videoconferencing, an official website of the European Union;
- *18 CEPEJ (2016)13, EUROPEAN COMMISSION FOR THE EFFICIENCY OF JUSTICE (CEPEJ), Guidelines on how to drive change towards Cyberjustice, 7 November, 2016.
- *19 Evert-Jan van der Vlis, Ministry of Security and Justice, The Hague Videoconferencing in criminal proceedings;
- *20 R.R.O. 1990, REGULATION 194, RULES OF CIVIL PROCEDURE
- *21 SAKHNOVSKIY v. RUSSIA;
- *22 MARCELLO VIOLA v. ITALY;





ხედავდა და ისმენდა ყველას, შეფერხებები არ დაფიქსირებულა პროცესის მიმდინარეობისას და ბრალდებულის ადვოკატს ჰქონდა უფლება ყოფილიყო ბრალდებულთან ერთად და მათი კომუნიკაციის კონფიდენციალობა დაცული იყო.

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გარკვეულწილად დაადგინა ის კრიტერიუმები, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს დისტანციური სამართალწარმოებისას. კერძოდ, ესენია: საკანონმდებლო რეგულაციის არსებობა, საქმის დროული განხილვის მიზანი, მხარის დისტანციურად მონაწილეობის საჭიროება (მაგალითად, უსაფრთხოების დაცვის მიზნით), ტექნიკური გამართულობა, ადვოკატთან კონფიდენციალურად კომუნიკაციის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში, დისტანციური სამართალწარმოების დანერგვისათვის ყველაზე მარტივად დაძლევად საკითხებს შორის მითითებულია ტექნიკური ხასიათისა და ადამიანური ფაქტორიდან გამომდინარე გამონკვევები, რომელთა გადალახვა შესაძლებელია ერთის მხრივ, ტექნოლოგიების შექმნით/განვითარებით (მათ შორის

“ ვიდეოკონფერენციით მოწმეების დაკითხვა უფრო ხშირია სამოქალაქო საქმეების განხილვისას .

რის ვიდეოსიგნალების დაშიფვრით, მისი დაცვისაგან დასაცავად^{*23} და ა.შ.) და მეორეს მხრივ, ვიდეოკონფერენციების პროგრამების დეტალურად ათვისებით/გადამზადების პროგრამებით (ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2015 წლის 10 ნოემბრის დოკუმენტში (სასამართლოზე და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა: პოტენციალი და გამონკვევები), მაგალითად, მითითებულია, რომ ადვოკატები, მოსამართლეები და სასამართლოს თანამშრომლები უნდა გაეცნონ პირისპირ დაკითხვისა და ვიდეოკონფერენციით დაკითხვის განსხვავებებს. პირი, რომელიც აძლევს ჩვენებას ვიდეოკონფერენციით ძირითადად უყურებს კომპიუტერის ეკრანს, რათა დაინახოს სხვა მონაწილეები და არ იყურება კამერაში, რაც გამორიცხავს თვალთვალ კონტაქტის საშუალებას და ა.შ.^{*24}).



საერთაშორისო პრაქტიკაში, ელექტრონული სამართალწარმოების ანალიზისას უფრო მეტი ყურადღება ეთმობა სამართლებრივი ხასიათის გამონკვევებს. კერძოდ, ადვოკატისა და მხარის კომუნიკაციის კონფიდენციალობის დაცვის საკითხებს, პროცესის საჯაროობას, განსახილველ საკითხთა, თუ პროცედურათა სპეციფიკურობას და ასევე ვიდეო კონფერენციების გამოყენებით კომუნიკაციის ფსიქოლოგიურ ასპექტებს (მიკერძოება, უთანასწორო მიდგომა, ნდობის არარსებობა. მაგალითად, ზოგიერთი კვლევა აჩვენებს, რომ დისტანციური საშუალებებით აღკვეთის ღონისძიებების განხილვის პროცესებზე 51-90%-ით გაიზარდა გირაოს თანხები, გაიზარდა დეპორტაციების ოდენობა, ნაფიც მსაჯულების მიერ მოწმეთა ჩვენების ნაკლებად სანდოობა და ა.შ.^{*25}).

საქმეში – „ბრენანი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ადვოკატისა და კლიენტის კომუნიკაციის კონფიდენციალობის მნიშვნელობაზე და მიუთითა, რომ ეს არის სამართლიანი სასამართლო უფლების ძირითადი მოთხოვნა^{*26}.

ადვოკატისა და კლიენტის კომუნიკაციის კონფიდენციალობის საკითხები, საერთაშორისო დონეზე დაძლეულია შემდეგნაირად: ტრანსსასაზღვრო სამართალწარმოებაში ვიდეოკონფერენციის შესახებ ევროსაბჭოს გენერალური სამდივნოს სახელმძღვანელოს (3.2.2. პუნქტი) თანახმად, პროცესის დროს, შესაძლებელია შეიქმნას სიტუაციები, როდესაც სასამართლოს თანამშრომლებმა უნდა გამართონ მიკროფონები მაგალითად, ადვოკატსა და კლიენტს შორის კონსულტაციისათვის^{*27}. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბალტიმორში, ადვოკატმა შესაძლოა მოითხოვოს, რომ

- *23 სამართალწარმოებასა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის: პოტენციალი და გამონკვევები ევრო საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2015 წლის 10 ნოემბრის ანგარიში (Doc. 13918);
- *24 სამართალწარმოებასა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის: პოტენციალი და გამონკვევები ევრო საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2015 წლის 10 ნოემბრის ანგარიში (Doc. 13918);
- *25 The Impact of Video Proceedings on Fairness and Access to Justice in Court, By Alicia Bannon and Janna Adelstein PUBLISHED SEPTEMBER 10, 2020;
- *26 Brennan v. the United Kingdom, no. 39846/98;
- *27 Guide on videoconferencing in cross-border proceedings;
- *28 The U.S. Department of Justice and prepared the following final report: Research on Videoconferencing at PostArrestment, Robin Davis, Ph.D., Billie Jo Matelevich-Hoang, J.D., Alexandra Barton, B.A., Sara DebusSherrill, M.A., Emily Niedzwiecki, M.S.Document No.: 248902, Date Received: June 2015, Award Number: GS-23F-8182H;
- *29 Videoconferencing in the Courts: An Exploratory Study of Videoconferencing Impact on the Attorney-Client Relationship in Massachusetts. A dissertation presented By Eric T., Northeastern University Boston, 2015;

სასამართლო დარბაზი დაიცალოს, რათა მან შეძლოს კონფიდენციალურად კლიენტთან გასაუბრება. აშშ-ში ზოგიერთ შტატში წინასწარი დაკავების იზოლაციას აქვთ სპეციალური სატელეფონო ხაზი, რომელიც შესაძლებელს ხდის ადვოკატისა და კლიენტის კონფიდენციალურ საუბარს^{*28}.

მიუხედავად აღნიშნულისა, ვიდეოკონფერენციით ადვოკატისა და კლიენტის კომუნიკაციის გამონკვევებში მითითებულია კლიენტის ნდობის მოპოვება/შენახვის საკითხები, პროცესის მიმდინარეობისას კლიენტის მიერ გარკვეულ საკითხებზე ადვოკატთან დაზუსტების შეფერხება, ასევე ადვოკატის მიერ კლიენტის „დამშვიდების“ ან კონტროლის საკითხები, რათა, მაგალითად, კლიენტმა არ გაამახვილოს ყურადღება კონკრეტულ საკითხზე, იმწამიერი უკუკავშირების დაკარგვა და ა.შ.^{*29}

რაც შეეხება საჯარო განხილვის უფლებას, ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკის თანახმად, შესაძლებელია ვიდეოკონფერენციით სასამართლო პროცესის წარმართვისას პრესის წარმომადგენლებს ან სხვა პირებს ერთის მხრივ, მიეცეთ შესაძლებ-



დისტანციური სამართალწარმოება

ლობა მივიდნენ სასამართლო სხდომის დარბაზში, საიდანაც მიაღწევენ თვალს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას ან მოთხოვნის შემთხვევაში, მიიღონ ვიდეოკონფერენციაში ჩართვის შესაბამისი მონაცემები. ამასთან, ისევე როგორც სასამართლო დარბაზში დასწრების შემთხვევაში, შესაძლებელია მოსამართლის გადანაცვლებით შეიზღუდოს იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც უნდა ჩაერთონ ვიდეოკონფერენციის პროგრამაში^{*30}.

უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნებისათვის შესაძლებელია სასამართლოს მხრიდან მოხდეს პროგრამის გარკვეული შესაძლებლობების დეაქტივაცია პროცესზე დამსწრე პირებისათვის (მაგალითად, ხმის გამორთვა, მიმონერის, დოკუმენტის გაზიარების შეზღუდვა, რეაგირების (ხელის აწევის) ფუნქციონალის გამორთვა და ა.შ.).

ვიდეოკონფერენციით მონაწილის დაკითხვასთან დაკავშირებით, მონაწილის ჩვენების სანდოობის შეფასებისას ამერიკის სასამართლოები ყურადღებას ამახვილებენ შემდეგ გარემოებებზე:

1. იყო თუ არა ჩვენება მიცემული ფიცის ქვეშ;
2. იყო თუ არა ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა;
3. იყო თუ არა მონაწილის ქმედებაზე დაკვირვების შესაძლებლობა;
4. არსებობს თუ არა ან გაიზარდა თუ არა რისკი იმისა, რომ მონაწილე არასწორად დაადანაშაულებდა უდანაშაულო ბრალდებულს მისგან განცალკევებით ჩვენების მიცემის დროს. აშშ-ს სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ვიდეოკონფერენციის დროს პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მონაწილის დაკითხვისას, ვიდეოგადაცემის შემთხვევითი და უმნიშვნელო გამოსახულების სტატიკურობის მსგავსი შეფერხებები და დროში მცირედ დაყოვნებები კითხვებსა და პასუხებს შორის არ გამოიხატავს ჯვარედინი დაკითხვის ეფექტურობას ან არ ხელყოფს მსაჯულების მიერ მონაწილის ქმედების სათანადოდ შეფასებას^{*31}. ამასთან, ვიდეოკონფერენციით მონაწილის დაკითხვა უფრო ხშირია სამოქალაქო საქმეების განხილვისას^{*32}.



თანამედროვე განვითარების პირობებში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა მართლმსაჯულების სისტემაში გარდაუვალი პროცესია

ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკაში ყურადღება გამახვილებულია ასევე დაზარალებულების ვიდეოკონფერენციით დაკითხვის საკითხებზე. სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, დაზარალებულის მიერ ვიდეოკონფერენციით ჩვენების დასაშვებობა არ ხელყოფს ბრალდებულის კონფონტაციის უფლებას^{*33}. მცირეწლოვანი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის დაკითხვა აშშ-ს სასამართლომ გამართლებულად ჩათვალა ვიდეოკონფერენციის გამოყენებით, ვინაიდან სხდომაზე ჩვენების მიცემა გამოიწვევდა ბავშვის სერიოზულ ემოციურ ტანჯვას და მას არ ექნებოდა გონივრულად კომუნიკაციის შესაძლებლობა (მსგავსი პრაქტიკა არსებობს კალიფორნიაში, ფლორიდაში, ნიუ ჯერსიში, მასაჩუსეტსი)^{*34}.

ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში, აშშ-ში დადგენილია გარკვეული კატეგორიის პირთა სასამართლო პროცესზე გამოცხადების საჭიროება. მაგალითად, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ბრალდებულის დასწრება ჩაითვალა აუცილებელ საჭიროებად^{*35}. პრობლემატურად ჩაითვალა ვიდეოკონფერენციით ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევის საკითხი^{*36}.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე ნახალისებულია პატიმრების მონაწილეობით სამოქალაქო საქმეების ვიდეოკონფერენციებით განხილვა. მსგავსი მიდგომა არის სამოქალაქო საქმეებში პატიმარ მონაწილეთან მიმართებითაც (თუმცა, ამ შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია პატიმრის გაქცევის რისკი, სასამართლოსა და ციხის დაშორება, ტექნოლოგიის ხარისხი, პატიმრის სარჩელის სირთულე და ა.შ.)^{*37}.

შესაბამისად, თანამედროვე განვითარების

*30 United States District Court, Northern District of California, official website;

*31 In Minnesota v. Sewell (595 N.W.2d 207 (Minn. 1999)) the State Supreme Court of Minnesota; United States v. Gigante, 166 F.3d 75, 80 (2nd Cir. 1999);

*32 Videoconferencing in the Courtroom: Benefits, Concerns and How to move forward, Daniel Devoe and Sarita Frattaroli;

*33 Harrell v. Florida (709 So.2d 1364 (Fla. 1998));

*34 Maryland v. Graig, 497 U.S. 836 (1990);

*35 United States v. Navarro (169 F.3d 228 5th Cir. 1999); United States v. Lawrence (248 F.3d 300 (4th Cir. 2001);

*36 Videoconferencing in the Courts: An Exploratory Study of Videoconferencing Impact on the Attorney-Client Relationship in Massachusetts. A dissertation presented By Eric T., Northeastern University Boston, 2015;

*37 Videoconferencing in the Courtroom: Benefits, Concerns and How to move forward, Daniel Devoe and Sarita Frattaroli;


პირობებში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა მართლმსაჯულების სისტემაში გარდაუვალი პროცესია, თუმცა, საჭიროა სიფრთხილის გამოვლენა, რათა ამ პროცესის ხელოვნურად დაჩქარებამ არ ხელყოს სამართლიანი სასამართლოს უფლება. ამასთან, საერთაშორისო პრაქტიკა გვთავაზობს ყველა იმ გამოწვევას და შესაძლებლობას, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული და თავის მხრივ, გვიჩვენებს, რომ დისტანციური სამართალწარმოების დანერგვისათვის არსებული გამოწვევები უმეტეს შემთხვევაში დაძლევადა და შესაძლებელია კონსენსუსის მიღწევა იმ საკითხებზე, საქმეებსა თუ პროცესის სტადიებზე, რომელთა დისტანციური საშუალებებით ჩატარებაც არ დააბრკოლებს მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებას. აღნიშნული კი საჭიროებს გარკვეული საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბებასა და საპროცესო კანონმდებლობაში მის ასახვას.



ირაკლი ყანდაშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარე; სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარე



დავის გადაწყვეტის ახალი მექანიზმი: პედიასია

თანამედროვე საზოგადოება განსაკუთრებით მიდრეკილია დავებისადმი, რაც ავტომატურად იწვევს სასამართლოს გადატვირთულობას სარჩელებით, განაპირობებს გახანგრძლივებულ და დროში გაჭიანურებულ მართლმსაჯულების სისტემას და მოდავე მხარეების ფინანსურ დანახარჯებს^{*1} დავის მახასიათებელი დაძაბულობის, ნერვიულობის, ფიზიკური და ემოციური დესტაბილიზაციის, დავასთან დაკავშირებული დროის და ფინანსების დანახარჯის გათვალისწინებით, საზოგადოება და სამეწარმეო სუბიექტები მუდამ ფიქრობდნენ და დღესაც ფიქრობენ თუ როგორ და რა მექანიზმებით მოახერხონ მათი მიმდინარე კონფლიქტური სიტუაციის განეიტრალება, დაძაბულობის კერების ეფექტური ჩახშობა და იმის მოხერხება, რომ ურთიერთობები კონფლიქტის მეორე მხარესთან გაგრძელდეს ჰარმონიულად.

შესაბამისად, კონფლიქტში ჩართული მხარეები მუდამ ცდილობდნენ მოეძიებინათ ის გზები და საშუალებები, რაც მათ კონფლიქტს, ნაცვლად გახანგრძლივებული პროცესისა და დამატებითი ფინანსური რესურსის ხარჯვისა, უფრო ეფექტურად გადაწყვეტდა და მათ შორის შეამცირებდა რისკებს^{*2}, დავის მხარეებს შეუნარჩუნებდა ერთმანეთთან შემდგომი ურთიერთობის გაგრძელების შესაძლებლობას^{*3}, რაც როგორც წესი, შეუძლებელია გახანგრძლივებულ და არაპროგნოზირებადი სასამართლო საქმისწარმოების დროს^{*4}, თუმცა ობიექტურობა მოითხოვს, ამ ეტაპზე ვაღიაროთ, რომ კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის დავის გადაწყვეტის უფრო გავრცელებული ფორმა სასამართლო საქმისწარმოებაა, ვიდრე მისი რომელიმე ალტერნატიული საშუალებით მხარეებს შორის დავის გადაწყვეტის მცდელობა^{*5}.

აღსანიშნავია, რომ ამ ყველაფრის ფონზე სახელმწიფოებრივი ინტერესიც თანხვედრი იყო და არის იმ საჭიროებისა, რაზეც ზემოთ ვსაუბრობთ, რადგან ერთის მხრივ, მსგავსი შესაძლებლობების განვითარებით, სასამართლო ხელისუფლებას მასთან აკუმულირებული და მიმდინარე საქმისწარმოებების ერთგვარი განმუხტვის საშუალება ეძლევა, ხოლო მეორე მხრივ, სრულდება დიდი სოციალური ფუნქცია, როდესაც მხარეები სასამართლოს ნაცვლად, სხვა კანონიერი გზებით დავის ამოწურვის მცდელობისას უფრო მეტად ინარჩუნებენ ერთმანეთთან ურთიერთობის რესურსს, რადგან ამ ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებით მხარეებს შორის მოგებული და წაგებული მხარის სინდრომი მათ არ ეუფლებათ, რაც უადვილებთ საზოგადოების წარმომადგენლებს და ბიზნესს, ორმაგად, კონფლიქტში მყოფ მეორე მხარესთან გააგრძელონ თანაცხოვრება თუ საქმიანი ურთიერთობის ქონა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, როგორც სახელმწიფოს ინტერესშია მაკრო დონეზე, ასევე თითოეული დავის მხარის ინტერესშია მიკრო დონეზე^{*6} გამოინახოს დროის და ფინანსების კუთხით ეფექტური, დავის გადაწყვეტის ისეთი მექანიზმი, რომელიც მისცემს მხარეებს, მათ შორის, რა თქმა

- *1 Esplugues C., Marquis L., *New Developments in Civil and Commercial Mediation*, Springer, Vol. 6, 2015, 2.
- *2 Poon G.P., *The Corporate Counsel's Guide to Mediation*, First Chair Press, American Bar Association, United States of America, 2010, 9.
- *3 იქვე, 100.
- *4 Alexander N., *International and Comparative Mediation*, Wolters Kluwer, 2009, 1.
- *5 Pfisterer T., *Einigung und Mediation in Posch W., Schleifer W., Ferz S., Konfliktlösung im Konsens, Schiedsgerichtbarkeit, Diversion, Mediation*, Leykam BuchVerlag, Graz, 2010, 78.
- *6 Steffek F., *Mediation*, in *The Max Planck Encyclopedia of European Private Law*, Volume II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, 2012, 1163.
- *7 Genn H., *Judging Civil Justice*, Cambridge University Press, New York, 2010, 80.
- *8 De Palo G., Trevors M.B., *Arbitration and Mediation in the Southern Mediterranean Countries*, Kluwer Law International, 2007, 15.

უნდა, სახელმწიფოს, რესურსების რეალურად დაბოგვის საშუალებას და იქნება სოციალური მშვიდობის წინაპირობა.

აქვე აღსანიშნავია, რომ მოქალაქეებს შორის თუ პირებს შორის არსებული სამართლებრივი დავის კანონიერი აღმოფხვრის სისტემის შექმნა სახელმწიფოს ვალდებულებაა. შესაბამისად, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შექმნა (რაც ერთგვარი კრებსითი^{*7} სახელწოდებაა სხვადასხვა ალტერნატიული მექანიზმისა), ორგანიზება და ინსტიტუციონალიზაცია, სახელმწიფოს მიერ^{*8} ორკესტრირებული პროცესი უნდა იყოს ნებისმიერ დემოკრატიულ





“
რაც უფრო ადრეულ
სტადიაზე მოხდება
მედიაციის ინიცირება მით
უფრო მაღალია დავის
შეთანხმებით დასრულების
პერსპექტივა.

სახელმწიფოში შესაბამისად, მარტივია ლოგიკა, რადგან სახელმწიფო წარმოადგენს დავის ალტერნატიული საშუალებების სერვისების რეალურ მიმწოდებელს მომხმარებლებისთვის, სასამართლო, თავის მხრივ, როგორც სახელმწიფო ხელისუფალი, ვალდებულია იმ სამართლებრივი პოლიტიკის გატარებაზე, რაც არის დაკავშირებული დავის ალტერნატიული საშუალებების გამართულ საქმიანობას შეუწყოს ყოველმხრივ ხელი⁹, თუმცა, ეს არ უნდა გახდეს სასამართლოსთვის მიმართვის და სასამართლოს ხელმისაწვდომობის გარანტირებული და აღიარებული უფლების ხელის შემშლელი¹⁰.

დღეისათვის მედიაცია წარმოადგენს ყველაზე სწრაფად განვითარებად დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას მსოფლიოში¹¹ რომელსაც ახასიათებს მესამე¹² დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ნეიტრალური პირის ჩართულობით¹³, კონფიდენციალური და სტრუქტურირებული პროცესის ფარგლებში¹⁴ კონფლიქტის მხარეებისათვის დავის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის დედეგირება, რაც მედიაციის ევროპული¹⁵ და არამხოლოდ აქტის მთავარი მახასიათებელი თვისებაა. მედიაცია კონფლიქტის რეგულირების ეფექტურ ალტერნატიულ ინსტრუმენტს წარმოადგენს¹⁶.

მედიაციის დამკვიდრების მთავარი მიზანია მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა მათი ინტერესებისთვის საუკეთესო გადაწყვეტილებით დაასრულონ დავა და აღმოფხვრან კონფლიქტი

საკუთარი ხელით¹⁷, რა დროსაც უბრალოდ კი არ ასრულებენ მეორე მხარესთან დავას, არამედ, მხარესთან საქმიანი თუ პირადი ურთიერთობის სამომავლოდ ცივილურ ფორმებში გაგრძელების წინაპირობას ქმნიან, რაშიც მედიაცია რეალურად ეხმარება მხარეებს¹⁸, რადგან მედიაციის დროს ის კი არ უნდა გაირჩეს, თუ ვინ რა გააკეთა წარსულში, არამედ მხარეებმა უნდა საუკეთესო გამოსავალი მოიძიონ არსებული ჩიხური სიტუაციიდან, რათა გაგრძელდეს სამომავლო ურთიერთობა მათი ინტერესების შესაბამისად¹⁹; მედიაცია ეხმარება მხარეებს თვითგამორკვევაში, მოდავე მხარეების ერთმანეთისადმი მოთხოვნების რეალური მიზნების და მიდგომის ამოცნობაში²⁰. იურიდიულ ლიტერატურაში მედიაცია ხშირად „მომავალზე ორიენტირებული პროცესის“²¹ სახელით მოიხსენიება²²; მედიაცია იძლევა საშუალებას მხარეებმა ხანგრძლივადიანი²³ შედეგი მიიღონ პროცესის წარმატებით წარმართვის და დასრულების შემთხვევაში, მით უფრო, რომ მედიაციის გამოყენება კონფლიქტში მყოფ მხარეებს დავის ნებისმიერ ეტაპზე შეუძლიათ, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ რაც უფრო ადრეულ²⁴ სტადიაზე მოხდება მედიაციის ინიცირება, მით უფრო მაღალია დავის შეთანხმებით დასრულების პერსპექტივა²⁵.

მედიაციის მეშვეობით მხარეები ცდილობენ საკუთარი სიმართლე შეათანხმონ ერთმანეთთან²⁶, რათა სამართლის ნორმებმა არ გადაწყვიტოს ის, რაც მათ მიაჩნიათ, რომ არის სწორი, რადგან კარგად მოეხსენება ყველას,

რომ რიგ შემთხვევაში სამართლიანობა და კანონიერება არ არის თანხვედრი თეზები, შესაბამისად, მედიაციის გამოყენებით მხარეები სწორედ საკუთარი სიმართლის დაფიქსირებას ცდილობენ შეთანხმების გზით, ხოლო რამდენად არის ეს სამართლიანი²⁷ ორივე მხარისთვის, ამაზე საბოლოო გადაწყვეტილება მხარეების მიერ არის მისაღები, ზოგადად სამართლიანობა მედიაციის ცნების მახასიათებელი სტანდარტია²⁸.

მედიაციის სწორედ აღქმისთვის მნიშვნელოვანია მხარეებს კარგად ესმოდეთ, რომ მედიაციით ისინი მუდამ სარგებელს იღებენ, კერძოდ, შესაძლოა მედიაცია კონკრეტული შეთანხმებით ვერ დაასრულონ, თუმცა მათ იმაზე კარგად ეცოდინებათ კონფლიქტის მიზეზების და დავის შესახებ, ვიდრე ეს მედიაციის დაწყებამდე იყო, რაც შესაძლოა შემდგომში გახდეს წინაპირობა დავის დასრულების. შესაბამისად, მედიაციის პროცესში მონაწილეობას მხარეებისთვის ყოველთვის მოაქვს დადებითი შედეგი, თუ მხარეს ესმის მედიაციის შინაარსი და იცის, თუ როგორ გამოიყენოს ის ინფორმაცია, რაც ამ პროცესმა მისცა მას²⁹. ხშირია ლიტერატურაში, როდესაც მედიაციას ახასიათებენ ორივე მხარისთვის მომგებიან პროცესად (win-win Lösung³⁰), რადგან მედიაციის სწორი და ეფექტური გამოყენებით ორივე მხარეს შეუძლია საკუთარი ინტერესების სასარგებლო შეთანხმებას მიაღწიოს³¹; მაშინ როდესაც სასამართლო საქმისწარმოების თუ საარბიტრაჟო საქმისწარმოების შედეგად დახარჯული ადამიანური თუ ფინანსური დანახარჯით ორივე მხარე დაზარალებულია, ხოლო ერთ-ერთი მხარის მიერ მიღწეული გამარჯვება მოჩვენებითი³².



*9 Caponi R., „Just Settlement“ or „Just About Settlement“?, Mediated Agreements: A comparative Overview of the Basics, Rabels Zeitschrift, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max –Planck-Institute fur auslandisches und internationals Privatrecht, Mohr Siebeck, 79.Jahrgang 2015, 121.
*10 Deixler-H bner A., Schauer M., (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 105.
*11 Alexander N., International and Comparative Mediation, Wolters Kluwer, 2009, 1.
*12 Blake S., Browne J., Sime S., The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2016, 144.
*13 Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D., Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 50.
*14 Tutzel S., Wegen G., Wilske S., Commercial Dispute Resolution in Germany, 2nd Ed, C.H.BECK, Munchen, 2016, 191.
*15 EU-Mediationsrichtlinie 2008, Art. 3a.
*16 Berkel G., Zur Diskussion gestellt: Deal Mediation als Konfliktbeilegung, Zeitschrift f r Konfliktmanagement (ZKM), Verlag Otto Schmidt, K In, 2018, 61.
*17 Greger R., Unberath H., MediationsG : Recht der Alternativen Konfliktlosung, Kommentar , C.H.BECK, M nchen, 2012, 97.
*18 Jones G., Pexton P., ADR and Trusts: an International Guide to Arbitration and Mediation of Trust Disputes, Spiramus Press, 2015, 33.
*19 Wode M., Rabe C.S., Mediation, Springer, Berlin, 2014, 27.
*20 Alexander N., Global Trends in Mediation, 2nd Ed, Kluwer Law International, the Netherlands, 2006, 10.
*21 Trossen A., Mediation (un)gerregelt, Win-Management Verlag, M hilberg, 2014, 470.
*22 Deixler-H bner A., Schauer M., (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 188.
*23 Kaiser P., Gabler A.M., Prozessqualität und Langzeiteffekte in der Mediation, Zeitschrift fur Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 6/2014, 180.
*24 Fenn P., Commercial Conflict Management and Dispute Resolution, Routledge, New York, 2017, 68.
*25 Roberts M.M., Mediation in Family Disputes, Ashgate Publishing Ltd, Burlington, 2014, 180.
*26 Wendland M., Mediation und Zivilprozess, Mohr Siebeck, Tubingen, 2017, 216, 217.
*27 Windisch K., Fair und/oder gerecht? Fairnesskriterien in der Mediation, Zeitschrift fur Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 2/2015, 55.
*28 Steffek F., Unberath H., (eds), Genn H., Greger R., Menkel-Meadow C., Regulating Dispute Resolution ADR and Access to Justice at the Crossroads, Hart Publishing, Oxford and Portland Oregon, 2013, 17.
*29 Ahmed M., An Investigation into the Nature and Role of Non-Settled ADR in International Journal of Procedural Law, Vol. 7, intersentia, Cambridge-Antwerp-Portland, 2017, 216, 217.
*30 Deixler-H bner A., Schauer M., (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 21.
*31 ნულაძე ა., ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ, 2017, 14.
*33 Bevan A., Alternative Dispute Resolution, Sweet & Maxwell, London, 1992, 1.

სულხან გვამასიაძე

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე



ბავშვის უფლებათა კოდექსი

„ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვით ჩვენ ვემსახურებით მთელი კაცობრიობის ინტერესს“

ვაროლ ბელამი

„თუ ჩვენ გვინდა, მივაღწიოთ ნამდვილ მშვიდობას სამყაროში, უნდა დავიწყოთ ბავშვებისგან“

კრეიგ კილბურგერი

ბავშვის საუკეთესო ინტერესი, როგორც ცენტრალური ელემენტი ბავშვთა უფლებათა დაცვის კუთხით

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში ინგლისელი მწერალი ჩარლზ დიკენსი რომანში „ოლივერ ტვისტის თავგადასავალი“ აღწერდა ბავშვთა ექსპლუატაციის, ბავშვთა მიმართ ძალადობის და ბავშვთა უფლებების ცენტრალურ ელემენტს. როდესაც ოლივერი ქალაქში ქურდი ბიჭების გარემოცვაში აღმოჩნდა და აიძულებდნენ ქურდობას, მას დასახმარებლად ბატონი ბრაუნლოუ მოევლინა, რომელმაც ოლივერს უთხრა, რომ გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ როგორი იქნებოდა მისი მომავალი, ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად მხოლოდ მას უნდა მიეღო. ამდენად, ბავშვის თავისუფალი ნება და მისი გამოხატვის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესია ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით.



სწორედ ბავშვთა უფლებათა დაცვის მიზნით, საქართველოს პარლამენტმა 2016 წელს მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ხოლო 2019 წელს კი ბავშვის უფლებათა კოდექსი, რაც თავის მხრივ დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით.

ბავშვის უფლებათა კოდექსი შემდეგ ძირითად პრინციპს ეყრდნობა: ყველა სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროცედურა უნდა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესი გულისხმობს არასრულწლოვანის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაციარეაბილიტაციისა და სხვა ინტერესებს, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვანის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება.

მიუხედავად იმისა, რომ კოდექსში ნათლად არის განსაზღვრული, თუ რა არის ბავშვთა საუკეთესო ინტერესი და საიდან გამომდინარეობს

ის, ხშირ შემთხვევაში რთულია, გაიმიჯნოს, თუ სად გადის ზღვარი, მაგალითად, ბავშვის ჯანმრთელობის დაცვასა და თავისუფლებას შორის.

ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ, იცვლება ადამიანების ქცევა, რომელიც სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება ელექტრონულ მოწყობილობებზე, როგორცაა მაგალითად, სმარტფონი. თითქმის ყოველი მეორე ბავშვი ფლობს სმარტფონს და იყენებს სოციალურ ქსელებს. მრავალი ურთიერთსაინააღმდეგო კვლევა არსებობს ბავშვების მხრიდან სმარტფონების და სოციალური ქსელების გამოყენების დადებით და უარყოფით მხარეებზე, ასევე იმ საფრთხეებზე, რაც ამ გამოყენებას ახლავს თან. ერთი მხრივ, საუბარია სმარტფონების გამოყენების შემთხვევებზე სასწავლო

ბავშვის უფლებათა კოდექსი, დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით.



“**არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესი წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მთავარ პრინციპს.**”

რეაბილიტაციის და აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება, რა თქმა უნდა, საზოგადოების უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინებით.

ანალოგიური მიდგომა აქვს გაეროს ბავშვის უფლებების დაცვის კონვენციასაც, სადაც ყურადღება გამახვილებულია ბავშვის ინტერესების დაცვაზე, მასზე ნებისმიერი ქმედებათა განხორციელებისას.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის დირექტივების მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესის დადგენის პროცესში უნდა გათვალისწინებული იქნას მისი აზრი; უზრუნველყოფილი იყოს მისი თავისუფლებები; ცალ-ცალკე უნდა იქნას შეფასებული მისი ინტერესები; უნდა დაინერგოს მულტიდისციპლინური მიდგომები ინტერესები დასადგენად.

არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კუთხით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების და ბავშვთა კოდექსის მიღება უპირობოდ წინ გადადგმული ნაბიჯია, ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით. უმნიშვნელოვანესია ბოლო სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც საგრძნობლად გაიზარდა განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტების გამოყენება.

ორივე ინსტიტუტი წარმოადგენს აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილს. მისი მიზანია, კანონთან კონფლიქტში მყოფმა მოზარდმა აიღოს პასუხისმგებლობა ჩადენილ ქმედებაზე და მოახდინოს საზოგადოებაში სწრაფი ინტეგრაცია.

აღდგენითი მართლმსაჯულებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს როგორც დამნაშავესა და დაზარალებულს შორის მოლაპარაკება, აგრეთვე საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მიზნებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, იმ რისკებზე, რასაც ხშირ შემთხვევებში ძალადობრივი, რასისტული თუ აგრესიული ინფორმაციის მიღებას უკავშირდება. აქედან გამომდინარე, ნათელია, თუ რა სირთულეებთანაა დაკავშირებული, რომ ერთი მხრივ, უზრუნველყოთ ბავშვთა თავისუფლება, შეხედულებისამებრ გამოიყენონ სმარტფონები და სოციალური ქსელები და მეორე მხრივ, დავიცვათ ისინი მავნე ზეგავლენებისგან. ამ მაგალითის გამოყენებით, ნათელია, თუ რა კომპლექსური პროცესია, კონკრეტულ შემთხვევაში სწორად შეფასდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესი.

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესი წარმოადგენს ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მთავარ პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასჯელის დანიშვნის დროს, მით უფრო, როდესაც საქმე ეხება თავისუფლების აღკვეთას, მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი.

რა თქმა უნდა, ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა რთულია სისხლის სამართლის მიმართულებითაც. ბავშვის უფლებათა კომიტეტის მე-10 კომენტარის მიხედვით, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა, კანონდამრღვევი ბავშვების მიმართ გულისხმობს, სისხლის სამართლის ისეთი ტრადიციული მიდგომების შეცვლას, როგორცაა რეპრესია/დასჯა. ნაცვლად რეპრესიისა და დასჯისა, უნდა მოხდეს

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მექანიზმების განკუთვნილია არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესაძლებლობისთვის.

აღდგენითი მართლმსაჯულების მიზანია, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მოხდეს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიზანია, გამოასწოროს კონფლიქტითა და დანაშაულით გამოწვეული დავა. მოცემული პროგრამით სამართალდამრღვევი აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას, ქმედების მიზეზებს, ზემოქმედებას სხვა ადამიანზე.

მნიშვნელოვანია, რომ ამ ინსტიტუტების საშუალებით, დაზარალებულს აქვს საშუალება პირისპირ შეხვდეს კანონში კონფლიქტთან მყოფ პირს, გამოიწვიოს მასში ემოცია, იმის აღწერით, თუ რა ტკივილი მიადგა მას და ამით გამოიწვიოს დამნაშავეში დანაშაულის გრძნობის განვითარება, რაც დანაშაულის ჩამდენის რესოციალიზაციისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

კანონში კონფლიქტთან მყოფ არასრულწლოვანს აქვს საშუალება აუნაზღაუროს დაზარალებულს მიყენებული ზიანი, შეუსრულოს რაიმე დავალება, მოიხადოს ბოდიში. რა თქმა უნდა, მედიაციის პროცესში დიდი პასუხისმგებლობა აკისრია თავად მედიატორს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მშვიდი ვითარება და ემოციების შეკავებაზე იზრუნოს.


სასჯელის, მით უმეტეს, თავისუფლების მოკლევადიანი აღკვეთის ალტერნატივად უფრო გამართლებული და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესზე მორგებულია განრიდების ღონისძიების გამოყენება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება მიმართული უნდა იყოს აღზრდაზე, გამოსწორებაზე და არა დასჯაზე. დადებითად შეიძლება შეფასდეს კოდექსში ჩამოთვლილი განრიდების ღონისძიებები, რომელიც საკმაოდ ფართო შესაძლებლობებს იძლევა, არის მეტად ზოგად

დი და მოიაზრებს გაცილებით მეტს.

აქვე შეგვიძლია განვიხილოთ აღდგენითი მართლმსაჯულება გერმანიის მაგალითზე. გერმანიის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება მთლიანად ორიენტირებულია აღზრდასა და გამოსწორებაზე. შესაბამისად, დამკვიდრებულია ყველანაირი ცნობილი საშუალება, რათა აცილებული იყოს ყველაზე მძიმე სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა. ხშირია, რომ კონფლიქტი, რომელიც დანაშაულის ჩადენით მოხდა, არ წყდება სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ. ამოსავალ ნორმას ვხვდებით გერმანიის სსკ-ში, რომელიც განმარტავს, რომ ქმედების ჩამდენმა უნდა ეცადოს მთლიანად და ნაწილობრივ გაუწიოს დაზარალებულს კომპენსაცია. რაც შეეხება განრიდებას, გერმანიის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი პროკურორს აძლევს დისკრეციას, უარი თქვას სისხლისსამართლებრივ დევნაზე, თუ გატარებულია აღმზრდელობითი ღონისძიებები (მათ შორის, დაზარალებულთან შერიგება).

დასკვნისთვის შეიძლება ითქვას, რომ ჩარლზ დიკენსის რომანში „ოლივერ ტვისტის თავგადასავალი“, ოლივერ ტვისტი შემთხვევით, წიგნის გამყიდველის ჩვენების საფუძველზე გადაურჩა პატიმრობას სასტიკი მოსამართლისგან. თუნდაც ეს, მე-19 საუკუნეში დაწერილი რომანი გვაჩვენებს, რაოდენ მნიშვნელოვანია აღდგენითი მართლმსაჯულება. იმ ინსტიტუტების გამოყენება, როგორცაა მედიაცია და განრიდება მისცემდა შანსს ოლივერ ტვისტს და ბევრ სხვა ახალგაზრდას, რომ მოინანიონ დანაშაული და სუფთა ფურცლიდან დაიწყონ ცხოვრება.





ნაფიც მსაჯულთა სასამართლო -

პასუხისმგებლობის და ემოციების უდიდესი კონსენდრაციის აღბიძი

„მსაჯული ის რჩეული ვაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი, ერთის სიტყვით, ჩვენი ვაცური ვაცობა, ჩვენი ადამიანობა. იგი განხორციელებული ნამუსია და განსახორციელებელი სინდისია მთელი ერისა, ერის უკეთეს ვაცთაგან შეძლებისამებრ გაწმენდილი და კუთვნილ სიმაღლეზე დაყენებული.“

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც სასამართლო განხილვისას გარკვეულ ფაქტებს დადგენილად აღიარებს და ამის საფუძველზე გამოაქვს დასკვნა განსასჯელის ბრალეულობაზე. ის გულისხმობს პირის დამნაშავეობის საკითხის გადაწყვეტაში მართლმსაჯულების განხორციელებას არა მართო მოსამართლის, არამედ რიგითი მოქალაქეების - ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებული ინსტიტუტია, რომლის მიზანი კონკრეტულ საქმეზე სოციალურად სამართლიანი და მორალურად უმნიშვნელო გადაწყვეტილების მიღებაა. საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თანამედროვე სახით 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა. 10 წლის განმავლობაში ადვოკატებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესებში მონაწილეობის მნიშვნელოვანი გამოცდილება დაუგროვდათ. საინტერესოა, რას ფიქრობენ ისინი აღნიშნულ „ალტერნატიულ“ სასამართლოზე, მის დადებით და უარყოფით მხარეებზე, თავისებურებებზე.



გელა სიორიძე, ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი.

“
დღემდე მახსოვს ნაფიც მსაჯულთა რეაქციები, მათი გამომეტყველება უემოციო მდგომარეობიდან ნელ-ნელა იცვლებოდა ინტერესით სავსე თვალებით

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არსებობის ისეთივე ხანგრძლივ ისტორიას ითვლის, როგორსაც ჩვენი მრავლისმნახველი სამყარო. საზოგადოებაში, მათ შორის, იურისტებშიც, არ არსებობს ერთგვაროვანი დამოკიდებულება აღნიშნულ სასამართლოსთან დაკავშირებით. მას ჰყავს როგორც მომხრეთა, ასევე მოწინააღმდეგეთა მრავალრიცხოვანი არმია, თუმცა მის სასარგებლოდ ყველაზე ძლიერი არგუმენტი არის ის, რომ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს მართლმსაჯულების უშუალოდ განხორციელების უფლება და ასევე ბრალდებულს უნდა გააჩნდეს უფლება, რომ მისი საქმის განხილვა მიანდოს მისსავე თანამოქალაქეებს.


ჩემი აზრით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აქტიურად ამოქმედება ყველაზე ეფექტურად შეუწყობს ხელს ჩვენი საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე ათი წელი გავიდა საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებიდან, მათ მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობა სულაც არაა შთამბეჭდავი და ხუთი ათეულის ფარგლებშია. უნდა აღინიშნოს, რომ ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის განხილვაში იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებსაც თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი. მათ შორის, თქვენს მონა-მორჩილს. ჩემი მონაწილეობით ნაფიც მსაჯულებმა სამი საქმე განიხილეს, ხოლო კიდევ სამ საქმეზე ნაფიც მსაჯულთა შერჩევის არაერთი სხდომა გაიმართა.

მსურს, თქვენი ყურადღება გავამახვილო ნა-

ფიც მსაჯულთა მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეზე. უნდა ითქვას, რომ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი გახლავთ ის, რომ არაკონიგურულად დიდი დრო სჭირდება მათ შერჩევას, ვინაიდან ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა უმრავლესობას არ სურს ამ პროცესში მონაწილეობა და თვითაცილებას აცხადებენ. ამ საქმეზეც ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურა იმგვარად წარმართა, რომ კანდიდატთა უმრავლესობას არ სურდა ნაფიცი მსაჯულების მოვალეობის შესრულება. თუმცა სურათი კარდინალურად შეიცვალა მას შემდეგ, როდესაც ისინი შეუდგნენ ნაფიცი მსაჯულის მოვალეო-





ბების შესრულებას და სისხლის სამართლის საქმის განხილვას. თითოეული მათგანი დიდი ინტერესით იყო განწყობილი საქმის განხილვის პროცესისადმი. როდესაც სასამართლოს სხდომა რამდენჯერმე გადაიდო, არსებობდა რისკი, რომ საქმის განხილვა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე გაგრძელებულიყო. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, მათ მოსამართლის თანაშემწესთან ჰქონდათ კომუნიკაცია და არკვევდნენ, ხომ მიეცემოდათ ამ საქმის განხილვის დასრულების შესაძლებლობა.

მსურს, ასევე გავიხსენო ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილული პირველი საქმე დასავლეთ საქართველოში. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა ნებისმიერ საქმეში პირველობა. ძალიან ბევრი ვიფიქრე, სანამ ჩემ დასაცავ პირს მივცემდი რჩევას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არჩევასთან დაკავშირებით. გაორებული განცდა მქონდა – ერთი მხრივ, მინდოდა, რომ ახალი მიმართულებით გამოემყვანა საკუთარი თავი, ხოლო მეორე მხრივ, მართლაც უდიდესი პასუხისმგებლობა მქონდა დასაცავი პირის მიმართ და ერთი შეცდომის

დაშვების უფლება არ გამაჩნდა. შესაძლოა, შეცდომა საბედისწერო აღმოჩენილიყო. მახსოვს, სულ მცირე 10-ჯერ მაინც დავწერე, წავშალე და თავიდან დავწერე შესავალი სიტყვა და მისი წარმოთქმის წინ ძალიან ვღელავდი, განვიცდიდი, თუ როგორ წარიმართებოდა პროცესი.

თუმცა, როგორც კი წარმოვთქვი, „პატივცემულო ნაფიცო მსაჯულებო“, ყველაფერი ნელ-ნელა დალაგდა და ნაფიც მსაჯულებს შევთავაზეთ საქმის ვერსია დაცვის მხარის პოზიციიდან. დღემდე მახსოვს ნაფიც მსაჯულთა რეაქციები, მათი გამომეტყველება უემოციო მდგომარეობიდან ნელ-ნელა იცვლებოდა ინტერესით სავსე თვალებით. შემდგომში ისინი უკვე მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში აქტიურად მიმართავდნენ მოსამართლეს წერილობითი შეკითხვებით – მათთვის გაუგებარი საკითხების დაზუსტების მიზნით. თითქმის რვა წელია გასული ამ საქმის განხილვის დასრულებიდან და დღემდე მახსოვს ის ემოცია, რომელიც დამეუფლა ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული ვერდიქტის გამოცხადებისას, როდესაც მივხვდი,

რომ მათ ჩვენი, ანუ დაცვის მხარის მოთხოვნა დააკმაყოფილეს და ბრალდების იმ ნაწილში, რომელიც სადაოდ მიგვაჩნდა, ბრალდებული ერთხმად უდანაშაულოდ ცნეს.

შემდეგი საქმე, რომელზეც ნაფიცმა მსაჯულებმა ერთხმად გამოიტანეს გამამართლებელი ვერდიქტი, შეეხებოდა ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენას. საქმის განხილვის დაწყებიდანვე ვეცადე, რომ გამომეკვთა მოცემულ საქმეში ბრალდების მხარის მიკერძოება და საქმის არაკვალიფიციური გამოძიება, რაც გამოიხატებოდა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებების დაგვიანებით ჩატარებაში და ა.შ. უნდა ვთქვათ, რომ დაცვის მხარემ სრულად შეძლო დასახული მიზნის მიღწევა – ნაფიცი მსაჯულები დარწმუნდნენ მოცემული საქმის გამოძიების ნაკლოვანებებში და მათ საქართველოს რეალობისთვის რეკორდულად მცირე, ერთ საათზე ნაკლებ დროში ერთხმად მიიღეს გამამართლებელი ვერდიქტი.

დასაწყისში ვახსენე საზოგადოების დამოკიდებულება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი, რომელიც არ გამოირჩევა ერთგვაროვნებით და აღნიშნულ ინსტიტუტს ყავს, როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები. ცხადია, ორივე მხარეს გააჩნია საკუთარი არგუმენტები.

ჩემი აზრით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნდა იხილავდეს ყველა იმ საქმეს, რომელზეც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა. დარწმუნებული ვარ, ყველა გონიერ ადამიანს შეუძლებლად მიაჩნია საერთო შეთანხმება იმ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ამართლებს თუ არა საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ამ კითხვებს, ბუნებრივია, აქვთ არსებობის უფლება, თუმცა, ჩემი აზრით, ჩვენ ჩვენი საზოგადოების წევრებს უნდა გამოვუცხადოთ ნდობა, რომ ისინი ღირსეულად შეძლებენ ერთმანეთისაგან გაარჩიონ მტყუანი და მართალი, ხოლო მეორე ნაწილს ასევე უნდა მივცეთ უფლება, რომ მათ თვითონ აირჩიონ, ვის მიანდობენ მათი ბედის გადაწყვეტას – მოსამართლეს თუ ნაფიც მსაჯულებს.



შალვა კოშვილი
თბილისის იურიდიული
დახმარების ბიუროს უფროსი

საქართველოს მართლმსაჯულების ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თარიღია 2010 წლის 1 ოქტომბერი, როცა ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამოქმედდა. პირველ ეტაპზე ნაფიცი მსაჯულები განიხილავდნენ მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის საქმეებს. შემდგომში, ნაბიჯ-ნაბიჯ ფართოვდებოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილულ საქმეთა ოდენობაც და შინაარსიც.

საერთო ჯამში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის უფრო მეტად გაფართოება ხელს შეუწყობს საზოგადოებაში სასამართლოსადმი ნდობის ამაღლებას.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არის დიდი გამოწვევა მხარეებისთვის, განსაკუთრებით, ადვოკატისთვის. ჯერ კიდევ კანონის ამოქმედებამდე გავდიოდით მომზადებას ამ კუთხით, რადგან ნაფიცი მსაჯულების წინაშე გამოსვლა მართლმსაჯულების პროცესში ჩართული მხარისგან განსხვავებულ უნარებს მოითხოვს.

განსაკუთრებულ აღინიშნას იმსახურებს ამერიკის იურისტთა ასოციაციის – ABA-ს როლი ადვოკატების სასამართლო უნარ-ჩვევების განვითარების სფეროში. მქონდა პატივი, ვყოფილიყავი ამ კურსის მსმენელი და მოგვიანებით ტრენერი. სწავლებისას მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების სურვილით ველოდებოდით კანონის ამოქმედებას, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმის განხილვა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით.



დღემდე გამოწვევად რჩება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დროის ხანგძლივობა, რამდენიმე სასამართლო სხდომა ჭირდება 12+2 ნაფიცი მსაჯულის შერჩევას. ნაფიც მსაჯულთა შერჩევაში მონაწილეობით ბრალდებულს ეძლევა შესაძლებლობა, თვითონ აირჩიოს „მოსამართლეები“, რომლებსაც ანდობს საქმის გადაწყვეტას. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესს მუდმივად თან სდევს ორჭოფობა და ფიქრი: იქნება თუ არა მსაჯული ობიექტური, ხომ არ არის საფრთხე, რომ მსაჯული ადვილად მოექცეს ვინმეს გავლენის ქვეშ, ეყოფა კი ძალა მსაჯულს, რომ სიმართლისთვის დაუპირისპირდეს უმრავლესობას...

მთავარი კითხვა: რა თვისებებია აუცილებელი ნაფიცი მსაჯულისთვის?

პასუხისთვის ერთი უბრალო მაგალითიც გამოდგება: თუ შევძელით ერთი ისეთი მსაჯუ-

ლის შერჩევა მაინც, როგორც წარმოდგენილია ამერიკულ ფილმში „12 განრისხებული მამაკაცი“, მაშინ სასამართლოს ობიექტურობის იმედი უნდა გვქონდეს. ალბათ გახსოვთ, ამ ფილმში 11 მსაჯული გამამტყუნებელი გადაწყვეტილების სწრაფად მიღებას ითხოვს. მხოლოდ ერთი მსაჯული ეწინააღმდეგება და არგუმენტებზე მსჯელობს. საბოლოოდ, ბრალდებულს ამართლებენ, რადგან წარდგენილი მტკიცებულებების საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ, რწმუნდებიან ფაქტების უზუსტობაში და არასაკმარისობაში.

სწორად შერჩეული მსაჯული ორიენტირებულია არა საქმის სწრაფად დასრულებაზე, არამედ ფაქტების დადგენაზე და მტკიცებულებათა საკმარისობის შესწავლაზე. მსაჯულს გააზრებული უნდა ჰქონდეს უდანაშაულობის პრეზუმფცია – პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე

“
თუ შევძელით ერთი ისეთი მსაჯულის შერჩევა მაინც, როგორც წარმოდგენილია ამერიკულ ფილმში „12 განრისხებული მამაკაცი“, მაშინ სასამართლოს ობიექტურობის იმედი უნდა გვქონდეს.

მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით.

ამ მცირე ხნის განმავლობაში ნაფიც მსაჯულთა ათამდე სასამართლო სხდომაში მომინია მონაწილეობა. ყოველი ახალი საქმე ჩემთვის ახალი გამოწვევა და ახალი ემოციებია, ყოველ საქმეზე თავიდან მიწვევს ნაწილობრივ გაკვალილი გზის გავლა, მაგრამ მაინც, ახალი საქმის მსველელობა სიახლეებით და გამოწვევებით არის დატვირთული.

მახსოვს პირველად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე გამოსვლისას როგორი ემოციებით ვიყავი დატვირთული. დიდი პასუხიმგებლობაა – ურჩიო ბრალდებულს, რომ მისი საქმის ბედის გადაწყვეტა მიანდოს ადამიანებს, რომლებსაც ამ სფეროში გამოცდილება არ აქვთ, არ არიან იურისტები და დასაცავი ადამიანის ბედი მსაჯულთა ემოციურ განწყობაზე დამოკიდებული.... მახსოვს, როგორი დიდი სიფრთხილით ვარჩევდით ნაფიც მსაჯულებს, შეცდომის უფლება არ გვქონდა.

გამორჩეულად რთული და განცდებით დატვირთული იყო სასამართლო პროცესი, მონმეებს ვკითხავდით უდიდესი სიფრთხილით და ემოციებით, რადგან ნაფიცი მსაჯულების ყურადღება ბუსტად იმ დეტალებისთვის უნდა მიგვეპყრო, რაზეც დასაცავი ადამიანის მომავალი იყო დამოკიდებული. შესავალი და დასკვნითი სიტყვების წარმოთქმისას განსაკუთრებული სიფრთხილით და ემოციებით მივმართავდი ნა-



ფიც მსაჯულებს. არ არის იოლი საქმე, რომ ნაფიცი მსაჯულები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში, პირველად იღებენ მონაწილეობას საქმის განხილვაში, დაარწმუნო შენი პოზიციის ჭეშმარიტებაში, ამას უამრავი გათენებული ღამე სჭირდება... და ამ გათენებული ღამეების ბოლოს თუ შეძლებ სიტყვების მოსმენას: – „ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ არ ცნო“, მიხვდები რომ შენს შრომას ფუჭად არ ჩაუვლია. ამ სიტყვების მოსმენისთვის ღირს ადვოკატობა და მე მქონდა პატივი, არაერთ საქმეზე მომესმინა ეს სიტყვები და შენახა გამართლებულის თვალები, რომელიც შემოგცქერის როგორც მშველელს, უსამართლობის დამმარცხებელ ოსტატს.

დღეს ქართულ მართლმსაჯულებას ძალიან სჭირდება ნაფიცი მსაჯულთა სასამართლო, არ არის საკმარისი ნაფიცი მსაჯულების განსჯადი საქმეების გასაფართოებლად გადადგმული ნაბიჯები, ბრალდებულს ყველა საქმეზე უნდა ქონდეს უფლება თავისი საქმის ბედი მიანდოს ნაფიც მსაჯულებს. ამ გადაწყვეტილებით, სახელმწიფო უფრო მეტად ჩართავს საზოგადოებას მართლმსაჯულების პროცესში და საზოგადოებაც უფრო მეტად იქნება პასუხისმგებელი მართლმსაჯულების ხარისხზე.

სასამართლო ის ადგილია, სადაც სამართალს უნდა ვპოულობდეთ და სამართლის ძიებაში რაც უფრო მეტი საქმე განიხილება ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით, მით უფრო ხარისხიანი მართლმსაჯულება გვექნება ქვეყანაში.



რამ განარჩევს მამაკაცებს?

ზაზა ჯღერაცვა

„დამნაშავეა“; „არ არის დამნაშავე“ – უკვე მეთექვსმეტი წელია ეს პასუხები ქართული სასამართლოს დარბაზებში ისმის. არცთუ ისე ხშირად, მაგრამ მაინც. ამ მხრივ, განსხვავებული ვითარებაა ქართულ თეატრში, სადაც სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა დებიუტამდე ოთხი წლით ადრე ამავე პასუხების გაცემა მსახიობებს მოუწიათ. უკვე მე-14 სეზონია, რუსთაველის თეატრის სცენაზე 12 მსახიობი იკრიბება, რათა გარკვიონ, არის თუ არა დამნაშავე მამის მკვლელობაში ბრალდებული 18 წლის ახალგაზრდა ბიჭი. „12 განრისხებული მამაკაცი“ – ასე ჰქვია რუსთაველის თეატრის სპექტაკლს. სპექტაკლის პრემიერამ სტაჟიან მაყურებელს საბჭოთა

პერიოდში გამოსული ამავე სახელწოდების ფილმი გაახსენა. საბჭოთა ადამიანებში „12 განრისხებული მამაკაცი“ მაშინვე ამერიკული მართლმსაჯულების პროპაგანდად იქცა. სამართლიანი მართლმსაჯულების ერთგვარ პროპაგანდად იქცა რუსთაველის თეატრის სპექტაკლიც. ჰენრი ფონდას, მარტინ ბალსამის, რობერტ ვებერის და ფილმში მონაწილე სხვა ჰოლივუდელი ვარსკვლავების მსგავსად, ზურაბ ინგოროყვას, მურმან ჯინორიას, ლევან ხურციას, თემიკო ჭიჭინაძეს მოუწიათ იმის ჩვენება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მსაჯულის ერთ უბრალო სიტყვას, რომელზეც ადამიანის ყოფნა არ ყოფნაა დამოკიდებული.

ამერიკული ფილმის მთავარი გზავნილი უმრავლესობისა და უმცირესობის, ძალაუფლებისა და თავისუფლების კონფლიქტია. როგორ შეიძლება ერთმა ჩვეულებრივმა ადამიანმა თავისი პრინციპულობით შეცვალოს რეალობა და მიაღწიოს წარმატებას. ამერიკული ფილმის ეს გზავნილები არასდროს ყოფილა უცხო რობერტ სტურუას შემოქმედებისთვის. სტურუას სპექტაკლები ხომ არაერთხელ დამსგავსებია სასამართლოს. გასახსენებლად „კავკასიური ცარცის წრეც“ კმარა. ამიტომ მრავალწლიანი პაუზის შემდეგ არავის გაკვირვებია რეჟისორის სასამართლოსთან დაბრუნება, მათ შორის, სპექტაკლის მეორე რეჟისორს **რემო ჩხაიძეს** – „თეატრში ყოველთვის დგება საკითხი, რა სპექტაკლი დავდგათ, როგორ დავდგათ. რატომღაც მოგვივიდა აზრად, ეს ფილმი გადმოგვეკეთებინა სცენისთვის. რობიკოც თანახმა იყო და ძალიან მოეწონა ეს აზრი, რომ კინოსცენარი თეატრში გადმოგვეტანა. რობიკო ასეთ თემებს ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევს. ამას ემატებოდა ისიც, რომ მოქმედება კინოში ერთ სივრცეში, ერთ ოთახში ხდება. ტექსტიც ისეთი დინამურია და დრამატურგიულად ისეთი აწყობილია, რომ პირდაპირ ესადაგებოდა სცენაზე გადმოტანას. სტურუას ინტერესი პროცესებისადმი ალბათ შემთხვევითი არ არის, თეატრალური წარმოდგენის მსგავსად, სასამართლო პროცესზეც როლები მკაცრადაა განაწილებული, ხოლო სასამართლო დრამატურგია, თეატრალური წარმოდგენის მსგავსად, ინტრიგაზე და დაძაბულობაზეა აგებული. კვანძს კი მოსამართლის განაჩენის ნაცვლად თეატრში გმირის ფინალური მოქმედება ხსნის. ალბათ ამიტომ



მაცაა, რომ მაყურებელს მოსწონს და იზიდავს სასამართლო პროცესები, როგორც ტელევიზიაში, ასევე კინოსა და თეატრში.“

დავით კვიციანი – „უკვე მეთოთხმეტე წელია, რაც ეს სპექტაკლი ჩვენს რეპერტუარშია. უცნაურია, მაგრამ ყველა დამეთანხმება – ჩემი კოლეგები, რომ მაყურებელი ემატება, კი არ აკლდება. თანაც, იქ არ არის რაიმე რომანტიკული ისტორია, არ თამაშობს ლამაზი ქალი, რომელსაც თავისი მაყურებელი ჰყავს. ყველანი კაცები ვართ სცენაზე 12-ივე. სულ მაინტერესებს და ვფიქრობ, რა მოსწონს მაყურებელს ამ სპექტაკლში, ისეთი რა დევს, რომ ინტერესი არ ქრება. არ გამოვრიცხავ, რომ კარგი მსახიობები თამაშობენ და რეჟისორების დასმულ ამოცანებს ალბათ კარგად ვასრულებთ, მაგრამ გარდა ამისა, სპექტაკლს ხომ სიცოცხლის ხანგრძლივობის რაღაცა სხვა საიდუმლოც აქვს. მე ვფიქრობ, რომ ეს საიდუმლო დევს იმ გენიალურ დრამატურგიაში, რომელიც ჩადებული აქვს ავტორს.“

ზურაბ ინგოროყვა – „თუ არ ვცდები, 2006 წელი იყო, გაბაფხულზე გვექონდა პრემიერა და დღემდე სრული ანშლაგით მიდის ეს სპექტაკლი, მხოლოდ ერთხელ, მახსოვს, 14 იანვარს, რომ დაახლოებით 300 კაცი იყო, და ჩავთვალეთ, რომ დღეს მაყურებელი არ გვყავდა. ისე გაგვანებივრა ამ სპექტაკლმა, რომ ყველა სპექტაკლი ანშლაგით მიდის. ან 600-700 კაცი, ან სრული ანშლაგი, კარგია, როცა ისეთ სპექ-





ტაკლში თამაშობ, მაყურებელს, რომ არ ბეზრდება, პირდაპირ რომ განიცდის, დროს რომ უძლებს და ამ სეზონზე მე-100 სპექტაკლს ვითამაშებთ და საიუბილეო თარიღიც ექნება ამ სპექტაკლს.“

ტრისტან სარალიძე – „ეს პიესა, საერთოდ, კინოსცენარია. შესანიშნავი ამერიკული ფილმი გადაღებული ამ სცენარით და შესანიშნავი მსახიობები თამაშობდნენ. ცოტა კი ვიფიქრე, რად უნდოდათ ამ პიესის დადგმა-თქო, მაგრამ რაღაც წინასწარმეტყველური იყო მაინც ეს ყველაფერი. მაშინ ჩვენთან არ იყო ნაფიცი მსაჯულები, შემდეგ შემოვიდა. პოლა, დაიწყო მუშაობა. ძალიან ჩვეულებრივად შევხვდით რეჟისორებს. დეტექტიური მოტივებია, დეტექტიური სიუჟეტი, მაყურებელს ითრევს ეს დეტექტივი, იქ ბიჭია, რომელსაც ბრალს დებენ მამის მკვლელობაში და ამ ბიჭის ბედი ძალიან აინტერესებს და მაყურებელს ითრევს ეს სიუჟეტი. და შენ ამას თუ მსახიობის ოსტატობასაც მიაშველებ და რაღაც საინტერესოდ მიაწოდებ ამ ინფორმაციას, მაყურებელი, რა თქმა უნდა, ებმება.“

რეჟინალდ როუზის ტელეპიესის ქართულ რეალობაზე მორგებას რეჟისორი რებო ჩხაიძე 2006 წლის დასაწყისიდან შეუდგა. სტურუა მხოლოდ სპექტაკლის დასრულების ეტაპზე ჩერთო, თუმცა ამის მიუხედავად სპექტაკლში მაინც კარგად იკითხება მისი ხელწერა. მაგალითად, მსახიობ **დათო ჩაჩიბაიას** დღესაც კარგად ახსოვს, თუ რა უთხრა რეჟისორმა როლის უკეთ გასახსნელად – „ეს იყო ჩემი პირველი სპექტაკლი ამხელა სცენაზე, ამხელა რეჟისორთან და ასეთ მსახიობებთან ერთად, სპექტაკლამდე 3-4 დღე იყო დარჩენილი. როცა რეჟისორები დამთავრდა და ყველა დავიძარით, ბატონმა რობერტმა დამიძახა, ბაჩო, ერთი წუთით დარჩიო. რა არის იციო, იქ რომ გაქვს სცენაო, მამამ მოკლა შვილიო, სიცილი ხომ ატყდებაო, მაგრამ გაიცინეო, აი ძალიან ბევრი იცინეო, და საერთოდ, მოდი ისე გააკეთეო, რომ სპექტაკლშიო, სადაც მოახერხებ, ბევრი იცინოო. ძალიან ვიფიქრე ორი დღე, ძალიან ვიფიქრე და მარტივად, რომ ვთქვათ, ჩვენ ენაზე, როლი

“
2006 წელი იყო, გაბაფხულზე გვექონდა პრემიერა და დღემდე სრული ანშლაგით მიდის ეს სპექტაკლი

აქედან გავხსენი. სიცილში რა შეიძლება ყოფილიყო? კაცი, რომელიც უზომოდ დაძაბულია, თან სულ იცინის, უდროო დროსაც, უადგილო ადგილასაც იცინის უზომოდ. მიუხედავად იმისა, რომ არის რაღაცა სცენა, რომ მაგიდაზე ავდივარ და ჩემი და დათოს გმირი მუშტიკრივამდე გადადის ლამის.“

სპექტაკლში სტურუას პოზიტიურ როლზე ამახვილებს ყურადღებას **მურმან ჯინორიაც**: „ერთია, როცა თეატრი აიღებს პიესას, პიესა კარგია ვთქვათ, და მეორეა, როგორ შეასხამს ხორცს ამ პიესას მაყურებლის თვალწინ. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. რებო ჩხაიძე მუშაობდა ძირითადად. მან ააწყო მთავარი ხაზები, მერე ბ-ნ რობიკოც შემოუერთდა, მანაც თავის სიახლეები შემოიტანა და ამ ტანდემმა უარყოფითად კი არ იმოქმედა სპექტაკლზე, პირიქით დადებითად, იმიტომ რომ ,რაღაც პლასტები მოემატა.“

სპექტაკლზე მუშაობისას სტურუას არორდინალურ მიდგომებს იხსენებს მსახიობი **ლევან ხურცია**, რომლისთვისაც „12 განრისხებული მამაკაცი“ პირველი სპექტაკლი იყო რუსთაველის თეატრში: „მუშაობა რომ დავიწყეთ, თავიდან ჩვეულებრივად მივყევით როგორც არის სცენარის მიხედვით, შემდეგ ბ-ნი რობერტი, რომ ჩაერთო კონკრეტულად საქმეში, უკვე აბსოლუტურად სხვა მიმართულებით წავიდა სპექტაკლის დადგმა, მაგრამ აზრი, შინაარსი და ის დიდი ვნებათაღელვა, რაც დევს ამ სპექტაკლში, მთლიანად შენარჩუნებული იყო. მეტსაც ვიტყვი, კიდევ უფრო გამძაფრდა. თან მიწიერიც იყო და თან – არა. ამის გათავისება თავიდან, რა თქმა უნდა, გაგვიჭირდა. იმიტომ რომ, ძალიან ძნელია ითამაშო ძალიან ყოფით სპექტაკლი ძალიან არა ყოფითად. მაგრამ ამ თეატრის ყველაზე დიდი შარმიც სწორედ ეგ არის.“



ფილმის მსგავსად, სპექტაკლშიც „12 განრისხებულ მამაკაცი“ ახალგაზრდა კაცს მამის მკვლელობაში ედება ბრალი. 11 მსაჯული უკვე მზადაა გამოიტანოს განაჩენი... ბრალდებულს სიკვდილით დასჯიან, რომ არა მეთორმეტე მსაჯული, რომელიც ჯერ აიძულებს სხვებს დაეჭვდნენ თავიანთ არგუმენტებში, მერე კი გადაწყვეტილებასაც შეაცვლევინებს. სტურუას შემოქმედების მსგავსად, ეს თემა დღემდე აქტუალურია და არ კარგავს ინტერესს. მითუმეტეს დღეს, როცა უმრავლესობის და უმცირესობის უფლებების დაცვა კვლავ რჩება ქართული საზოგადოების მთავარ პრობლემად. დღემდე გვესმის მონოდებები, სამართლიანობაზე, ერთიანობაზე, თუმცა ხშირად არ ვლაპარაკობთ, რომ საზოგადოების განვითარებას არა უმრავლესობა, არამედ უმცირესობა უწყობს ხელს, სწორედ უმცირესობა მიუძღვის უმრავლესობას სიმართლისკენ, ისე როგორც ეს „12 განრისხებულ მამაკაციში“, როცა ერთი ადამიანის, პრინციპული მსაჯულის პოზიცია განსაზღვრავს სასიკვდილოდ განწირული ადამიანის ბედს.



შარდენი ქართულ სამართაღზე



ალბათ ძნელად მოიძებნება ავტორი, რომელსაც ისე სრულად და შთამბეჭდავად ჰქონდეს გადმოცემული XVII საუკუნის 70-იანი წლების საქართველო, როგორც ფრანგ იუველიერს და ძვირფასი ქვებით მოვაჭრე ჟან შარდენს. შარდენმა თავის მოგონებებში „მოგზაურობა სპარსეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ წიგნის 178 გვერდი სწორედ საქართველოს დაუთმო. მან ვრცლად აღწერა საკუთარი თვალით ნანახი და მრავალი უცნობი ფაქტით შეავსო საქართველოს ისტორიის ეს ბნელი მონაკვეთი.

მოგონებებში შარდენი XVII საუკუნის ქართულ მართლმსაჯულებამაც მოგვითხრობს. მას სამეგრელოში ყოფნის დროს აღწერილი აქვს სამართლის აღსრულების ისეთი წესები, როგორცაა მდღევანდელი წყლით გამოცდა და ორთაბრძოლა. ისე, როგორც გვიანფეოდალურ ევროპაში, ასევე საქართველოშიც მართლმსაჯულებას აშკარად რელიგიური საფუძველი აქვს. თუ ადამიანი მართალია, მას ვერც მდღევანდელი წყალი და ვერც ხმალი ვერაფერს დააკლებს.

იდენტურია ასევე სამართლის აღსრულების იერარქიული ნორმაც. მაგალითად, თუ მდღევანდელი წყლით გამოცდა მხოლოდ დაბალი ფენებისთვის გამოიყენებოდა, ხმლით ჭეშმარიტების დადგენის უპირატესობა მხოლოდ წარჩინებულ წოდების ადამიანებს ჰქონდათ. სიმართლის დამ-



ტკიცების ეს ორივე წესი სხვა წესებთან ერთად შესულია ვახტანგ VI სამართლის წიგნში, ამიტომაც ქართულ სამართალზე შარდენის მოგონება კიდევ უფრო დიდ ინტერესს იწვევს. აი, რას წერს შარდენი სამეგრელოში მოქმედ კანონზე:

„ყოველწლიური ჩამოვლის დროს მთავარი თავის ქვეშევრდომებისაგან კრებს ხარკს და საჩუქრებს ღებულობს იმათგანაც კი, ვინც არ არის ვალდებული ხარკი უხადოს მას. გზადაგზა გააჩენს სამართალს და არჩევს სადავო საკითხებს. მთავარს გზაშივე წარუდგენენ ხოლმე საჩივარს და მას ან იქვე გამოაქვს გადაწყვეტილება, ან მოდავეებს იწვევს იქ, სადაც ღამის გათევას ვარაუდობს. ასეთ შემთხვევაში საჩივრის წარდგენის წესი შემდეგნაირია: მომჩივანი დგება შუა გზაში, მთავრის პირისპირ და როდესაც იგი მას მიუახლოვდება, მოიდრეკს მუხლს და მუდარით მიართმევს ქალაქს.“

მთავარი ართმევს ქალაქს და გადასცემს თავის ვეზირს, რომელიც მას ხმამაღლა კითხულობს. მომჩივანი და მისი თანმხლებნი მაშინვე იწყებენ ხმამაღლა ყვირილს. ისინი ზეცისკენ ხელებაპყრობილნი ოხრავენ, ჯოხებს ურტყამენ მინას, აყენებენ მტვერს, რათა გული მოუღებონ მთავარს – „ჩვენო მეუფე, ჩვენო ღმერთო, ჩვენო ბატონო“ და სხვა საკრალურ სახელებს უწოდებენ მას.



მოპასუხე, რომელიც თავისი მომხრეებით არის მოსული, იწყებს ასევე ყვირილს და ორივე მხარე ცდილობს ერთიმეორეს გადააჭარბოს. ორივე მხარე ასახელებს მონძეებს და შემდეგ მთავარს თავისი საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვს. ყოველივე ეს, როგორც უკვე აღვნიშნე, ხდება გზადაგზა, რადგანაც მთავარი არ ჩერდება, მაგრამ მიდის ძალიან ნელა, რათა ადვილად მისდიონ მას. სხვადასხვა ბატონის გლეხების დავა წყდება მათივე ბატონების მიერ.

თვით ბატონებს შორის კი დავას ძალა სწყვეტს: იმარჯვებს ის, ვინც უფრო ძლიერია. აი, როგორ ხდება ეს: იარაღით ხელში ისინი თავს ესხმიან მტრის ჯოგს, მის ქვეშევრდომებს, მის სახლებს და მიწდვრებს, ყველაფერს არბევენ, წვავენ, სპობენ და, ბოლოს, როცა აღარაფერია გასანადგურებელი, ჩეხავენ ვაზებს, ხეხილს და სხვა სასარგებლო ხეებს.

ამ შუღლის დროს, თუ მოწინააღმდეგენი შემთხვევით შეხვდებიან ერთმანეთს, სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძვიან. დაზარალებული, რომელიც უფრო სუსტია, დაზარალებისათვის მთავარს მიმართავს, რომელიც ამის გარეშე ვერც კი შეიტყობდა ამ შუღლის ამბავს.

მთავარი გამოიძახებს მოპასუხეს, მოდავეთა საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით შერჩეული რომელიმე საპატიო პიროვნების მეშვეობით, და შეარიგებს მოდავეებს. მაგრამ ამგვარი დაზავება ჩვეულებრივად გრძელდება შურისძიებისათვის პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევამდე.



სამეგრელოში არ არის არც ერთი აზნაური, შუღლში რომ არ იყოს გარეული, ამიტომ ისინი ყოველთვის შეიარაღებულები არიან და იმდენი კაცი ახლავთ, რამდენის შენახვაც შეუძლიათ. ცხენით მგზავრობის დროს თვითონაც და მათი მხლებლებიც თავიდან ფეხამდე შეიარაღებულნი არიან. არ წვებიან ისე, თუ ხმალი გვერდით არ დაიდეს. დაძინებისას მუცელზე წვებიან და ხმალს ქვეშ ამოიდებენ ხოლმე.“

გლეხების დავის გადაწყვეტა მათივე ბატონების ნებით, ხოლო ფეოდალებს შორის დაპირისპირების გადაწყვეტა იარაღით ნათლად აჩვენებს, რომ ერთ დროს გამთლიანებულ ქართულ სახელმწიფოში არამართო ერთიანი ტერიტორია, არამედ ერთიანი სამართალიც წარსულს იყო ჩაბარებული.



ფოტორეპორტაჟი

2020 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქვეყნის მოსახლეობის ტერიტორიული ხელმისაწვდომობა უფასო სამართლებრივ დახმარებაზე. 2020 წელს გაიხსნა 16 ახალი საკონსულტაციო ცენტრი (ჭიათურა, ლაგოდეხი, დუშეთი, დმანისი, ყვარელი, ქედა, ხულო, ქობულეთი, ბაღდათი, წყალტუბო, ჩხორონწყუ, წალენჯიხა, ხობი, სენაკი, მარტვილი, აბაშა), ერთი ბავშვებზე ადაპტირებული ოთახი დუისში და ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს ახალი ოფისი. ტრადიციულად, გახსნის ცერემონიის შემდეგ იმართებოდა შეხვედრები მოსახლეობასთან, სადაც სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობდნენ.

შეხვედრა დმანისის საკონსულტაციო ცენტრის გახსნის დღეს



ზუგდიდი. 25/09/2020

ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს ახალი ოფისის გახსნა



შეხვედრა ჩხორონწყუს მოსახლეობასთან



ზუგდიდი. 25/09/2020



დმანისი. 15/07/2020



ხულო



ჩხორონწყუ. 23/09/2020

შეხვედრა ზუგდიდელებთან



ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი. 25/09/2020



ზუგდიდი. 25/09/2020

დოკუმენტური ფილმის ჩვენება ბოტანიკურ ბაღში



აბაშა. 22/09/2020




მარტვილი. 22/09/2020

საკონსულტაციო ცენტრის გახსნა




ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანი და იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაფელ კუპრაშვილი, სამსახურის 15 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე



წერილის & სიხარულის

იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებსა და კონსულტანტებს თავიანთი საქმიანობით ადამიანთა ცხოვრების მიმართულების განსაზღვრა უწევთ. საბედნიეროდ, ხშირად ხდება, როცა ყველაფერი კარგად მთავრდება და ბედის ბორბალიც ჩვენი ბენეფიციარების სასარგებლოდ დატრიალდება ხოლმე და შესაბამისად, სამსახურში შემოსულ კორესპონდენციებში მადლიერი ბენეფიციარების წერილებიც ჩნდება.



როცა კანონი ხუმრობს



ინგლისში კანონით აკრძალულია პარლამენტში რაინდის აბჯართი შესვლა. ეს კანონი 1313 წლით თარიღდება. და რადგან არავინ იცის, როდის იფეთქებს ბრიტანეთში რაინდული სული, კანონი კვლავ ძალაში რჩება.

შოტლანდიში აკრძალულია ძროხის ჭენება. კანონი 1872 წლიდან მოქმედებს. იქნებ სულაც არ არის ეს კანონი გასაუქმებელი, თუკი შოტლანდიურ ვისკი ძალას გავითვალისწინებთ?

შირი ლანკაში აკრძალულია ბუდას ქანდაკებასთან სელფის გადაღება. როცა სელფის იღებთ, ბუნებრივია, ქანდაკებასთან ზურგით გინევთ დგომა, რაც შირი ლანკაში მის უპატივცემულობად ითვლება.

2011 წლის მერე ბარსელონას ქუჩებში ნახევრადმიშველ, ან საცურაო კოსტუმში გამოწყობილ ადამიანებს 260 ევრომდე ჯარიმის გადახდა უწევთ.

ესპანეთში იკრძალება ქვიშის ციხე-კოშკების შენება პლაზაზე, დიახ, ბავშვებისთვისაც: ჯარიმა – 100 ევრო მაიორკაში, ხოლო გალიციაში – 1,500

თუ ავსტრალიაში ქორწინების ცერემონიალზე ცნობილ შეკითხვას – ვინმე არის ამ ქორწინების წინააღმდეგი? – გამოეხმაურეთ, ჯარიმის გადახდა მოგიწევთ: 10,000 დოლარი ან ორ წლამდე პატიმრობა. ჯობს, გაჩუმება აირჩიოთ.

აიდაპოში (აშშ) გეკრძალებათ ადამიანის ხორცის ჭამა. ამ დანაშაულისთვის 14 წლით პატიმრობა გემუქრებათ.

სამხრეთ აფრიკაში აკრძალულია დათვებთან ბრძოლა. მართალია, იქ დათვები არ არიან, მაგრამ რომ იყოს?

ანეკდოტები ადვოკატებზე
ამბობენ, რომ ადვოკატებზე ანეკდოტები არავის მოსწონს: თვითონ ადვოკატებს არ უცინებთ, და ხალხი ხუმრობად ვერ აღიქვამს, ნამდვილი ამბები პგონიათ.
მაინც გავბედავთ და შემოგთავაზებთ რამდენიმე ხუმრობას.

- ადვოკატი დამნაშავეს: – ორი ამბავი მაქვს, კარგი და ცუდი. რომლით დავიწყო?
- ცუდით.
- შენი სისხლის დნმ შემთხვევის ადგილზე დადასტურდა.
- კარგი რაღაა?
- ქოლესტერინის შემცველობა დაბალი გაქვს.

წარწერა ერთ-ერთი ადვოკატის ოფისში: „დანაშაული რომ ჩაიდინე, არ ნიშნავს, რომ დამნაშავე ხარ!“

- სასამართლო დარბაზში მოსამართლე ეკითხება დამნაშავეს: – რატომ ხართ მართო? სადაა თქვენი ადვოკატი?
- გადავწყვიტე, დღეს სიმართლე ვთქვა.

რა განსხვავებაა კარგ და საუკეთესო ადვოკატს შორის?
კარგი ადვოკატი კარგად იცნობს კანონს. საუკეთესო ადვოკატი კარგად იცნობს მოსამართლეს.

იურიდიული დახმარების საკონსულტაციო ცხელი ხაზი

უფასო სამართლებრივი დახმარების მიღება შესაძლებელია სამუშაო დღეებსა და საათებში, იურიდიული დახმარების სამსახურის ოფისებში:



თბილისი
სულხან კომახიძე / საკონტაქტო პირი
თამარ მეფის გამზ. №14, 0112,
+995 (32) 2954474; 2920055;
+995 (595) 364410
@ skomakhidze@legalaid.ge

მცხეთა
ალუდა ბუჩუკური
დ. აღმაშენებლის ქ. №51
ტელეფონი: +995 (32) 2513873
მობილური: +995 (595) 901705
@ abuchukuri@legalaid.ge

თელავი
ლიანა ჭუნიაშვილი
ვარდოშვილის ქ. №7
+995 (350) 271538
+995 (595) 901707
@ ltchuniashvili@legalaid.ge

სიღნაღი
თამაზ გურაშვილი
აღმაშენებლის ქ. №7
+995 (355) 231082
+995 (599) 937973
@ tgurashvili@legalaid.ge

რუსთავი
მაია ნოზაძე
ბოსტანქალაქის ქ. №6,
+995 (341) 241425
+995 (595) 901706
@ mnozadze@legalaid.ge

გორი
გიორგი ჯეირანაშვილი
სამეფოს ქ. №54
+995 (370) 279556
+995 (595) 901704
@ gjeiranashvili@legalaid.ge

ახალციხე
დავით ზარიძე
თაბუკაშვილის ქ. №17
+995 (362) 220735
+995 (599) 722176
@ dzaridze@legalaid.ge

გუგუთი
გელა ბერაძე
წერეთლის ქ. №11
+995 (492) 253637
+995 (595) 364441
@ gberadze@legalaid.ge

ქუთაისი
გელა სიორდია
სადგურის მოედანი №3ა
+995 (431) 253411; 253412
+995 (595) 901700
@ gsiordia@legalaid.ge

ზუგდიდი
რომან კვიციანი
კოსტავას ქ. №24
+995 (415) 220040
+995 (595) 901702
@ rkeidia@legalaid.ge

ფოთი
ნათია ბოჭუჯა
ვახტანგ გორგასლის ქ. №22
+995 (493) 223234
+995 (595) 901703
@ nbodjgua@legalaid.ge

ბათუმი
იაშვილი იანაზე
პუშკინის №145
+995 (595) 901701
@ izandaradze@legalaid.ge

ოზურგეთი
იაშვილი იანაზე
ილია ჭავჭავაძის ქ. №12
+995 (496) 275992
+995 (595) 308850
@ imemarnishvili@legalaid.ge

ამბროლაური
თეა ჩიკვაძე
აღმაშენებლის ქ. №24
+995 (595) 308847
@ tchikvaidze@legalaid.ge

მესტია
ავთანდილ ჯაფარიძე
სეტის მოედანი №19
+995 (551) 201947;
+995 (599) 294477
@ ajaparidze@legalaid.ge

საჩხერე
სალომე გიორგაძე
თავისუფლების ქ. №4
+995 (558) 194637
@ sgiorgadze@legalaid.ge

ახალქალაქი
ინგა გვარამაძე
თამარ მეფის №44
+995 (599) 358585
@ igvaramadze@legalaid.ge

წალკა
დავით გოგიაშვილი
არისტოტელეს №22
+995 (599) 090091
@ dgogichaishvili@legalaid.ge

მარნეული
ლალი ალუდაური
რუსთაველის №73
+995 (551) 424400
@ laludauri@legalaid.ge

დუშეთი
ნუნუ გელდიასვილი
ახმეტის მუნიციპალიტეტის
სოფელი დუისი
+995 (599) 161076
@ ngeldiashvili@legalaid.ge

შუახევი
ირინა ცინცაძე
დაბა შუახევი,
ხიმშიაშვილის ქ. №2
+995 (577) 420943
@ itsintsadze@legalaid.ge

ცაგერა
ნინო ურთმელიძე
რუსთაველის ქუჩა №65
+995 (595) 097660
@ nurtmelidze@legalaid.ge

ჭიათურა
სალომე გიორგაძე
ნინოშვილის ქუჩა #5
+995 (558) 194637
@ sgiorgadze@legalaid.ge

ლაგოდეხი
გიორგი ვესტაფიშვილი
მერაბ კოსტავას ქუჩა №1
+995 (557) 750 374
@ gevstapishvili@legalaid.ge

დუშეთი
ირინა ბარბაქაძე
დავით აღმაშენებლის ქუჩა №27
+995 (595) 337 177
@ ibarbakadze@legalaid.ge

დმანისი
ლალი ალუდაური
წმინდა ნინოს ქუჩა №39
+995 (551) 424 400
@ laludauri@legalaid.ge

ყვარელი
მერი ხაჩიძე
კუდიგორის ქუჩა №2
+995 (595) 901 753
@ mkhachidze@legalaid.ge

ბაღდათი
მაია ხვადაგიანი
შოთა რუსთაველის ქ. №21
+995 (595) 901 722
@ mkhvadagiani@legalaid.ge

წყალთუბო
მაია ხვადაგიანი
შოთა რუსთაველის ქ. №25
+995 595 901 722;
@ mkhvadagiani@legalaid.ge

ხულო
ირინა ცინცაძე
დავით აღმაშენებლის ქ. №3
+995 555 250 247;
@ tsintsadze@legalaid.ge

ქედი
ირინა ცინცაძე
26 მაისის ქ. №2
+995 555 253 274;
@ itsinstadze@legalaid.ge

ქობულეთი
ირინა ცინცაძე
თავისუფლების ქ. №13;
+995 555 253 274;
@ ikipiani@legalaid.ge

აბაშა
მაია რობაქიძე
უჩა კაჭარავას ქ. №1
+995 599 98 42 99;
@ mrobakidze@legalaid.ge

მარტვილი
მაია რობაქიძე
თავისუფლების ქ. №.10
+995 599 98 42 99;
@ mrobakidze@legalaid.ge

ჩხოროწყუ
ნინო მინჯია
დავით აღმაშენებლის ქ. №1
+995 595 901 724;
@ nminjia@legalaid.ge

წალენჯიხე
ნინო მინჯია
სალიას ქ. №5
+995 595 901 724;
@ nminjia@legalaid.ge

სენაკი
მაია რობაქიძე
აკაკი წერეთლის ქ. №1
+995 599 98 42 99;
@ mrobakidze@legalaid.ge

ხობი
სალომე ჯანჯღავა
ცოტნე დადიანის ქ. №185
+995 591 911 304;
@ sjanjgava@legalaid.ge

